საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№20 (396)
31 მაისი – 6 ივნისი, 2017

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## ბანკის ვალის მქონე მოქალაქეების რაოდენობით საქართველო მსოფლიოში მეორე ადგილზეა

11

## «რისთვის სჭირდება საქართველოს ახალი ამერიკული იარაღი, ვის უნდა ეომოს?»

7

«ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ნატოში მიგვიღებენ, მაგრამ არავინ ამბობს, ამ შემთხვევაში რა ბედი ეწევა ოკუპირებულ ტერიტორიებს»



## «ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სესიის გამართვა ვერ უშველის»

3

## «არ უნდა შევქმნათ ისეთი ვითარება, რომ რუსეთის საჰაერო ძალებმა საქართველოზე თავდასხმა განახორციელონ, თორემ ამერიკული ტყვიამფრქვევები ვერ დაგვიცავს»

2

## «რეფორმირებული» განათლების სისტემის შედეგი — 11 ათასი მოსწავლე საატესტატო გამოცდებზე ჩაიჭრა

11



## პატრონების შიშით დაზაფრული ვიცეპრემიერი

10



## «წერთ იმაზე, რასაც ყველა განიცდის, ქართველთა სათქმელს ამბობთ!» — ასე შეხვდნენ კახელები «საქართველო და მსოფლიოს» შემოქმედებით ჯგუფს

8



## თორდია, ფარცხალაძე და დაუსჯელობის სინდრომი

4



## «დამოკიდებულების დღე»

6



„როგორ ფიქრობთ, გვეზეიმება კი ან 1918 წლის 26 მაისი და ან 1991 წლის 9 აპრილი — დღეები, რომლებიც არა რეალური დამოუკიდებლობის, არამედ ამ დამოუკიდებლობის მხოლოდ ფორმალური გამოცხადების თარიღებია?“

## «რა გვაქვს საზეიმო?»

5



## ტრამპმა კვირიკაშვილისა და კლიმკინის შემდეგ ჩერნოგორიის პრემიერმინისტრიც დაამცირა

14



ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნატო განაგრძობს პროვოკაციულ პოლიტიკას რუსეთის მიმართ და, რაც მთავარია, ეს პოლიტიკა საქართველოს ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის. ჩვენი ხელისუფლება ან ვერ აცნობიერებს ამ საფრთხეს, ან მისთვის სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა საკუთარი პოლიტიკური ხელშეუხებლობა დგას, თუმცა ეს, ჯამში, არაფერს ცვლის“.**



## ვალერი კვარაცხელია: ამერიკელები კარნახობენ აქ თავიანთ მარიონეტებს, რომ არავითარ შემთხვევაში რუსეთთან დიალოგი არ დაიწყონ და ამას ეწირება ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესები

**ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე როუზ გოტემიულერმა განაცხადა, რომ ალიანსს რუსეთთან კონფლიქტის პროვოცირება კი არ სურს, არამედ არსებული პრობლემების მშვიდობიანად მოგვარებას ცდილობს. მისი აზრით, საქართველო, უკვე წლებია, ალიანსის საიმედო პარტნიორია და მყარად დგას ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. „მიხარია თქვენთან ერთად ყოფნა, დამოუკიდებელ საქართველოში. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში საქართველოს წვლილი უაღრესად მნიშვნელოვანია. ჩვენი პლანეტის სამხრეთ ნაწილში არასტაბილურობაა, რომელშიც მონაწილეობს რუსეთის ფედერაცია. ჩვენ ვეძებთ გარკვეულ მიდგომებს რუსეთთან ურთიერთობისთვის, რათა დიალოგი გავმართოთ ამ ქვეყანასთან. რა თქმა უნდა, ალიანსს არ სურს რუსეთთან კონფლიქტის პროვოცირება, არამედ უნდა, ეს ქვეყანა მშვიდობისკენ შემოაბრუნოს“, — აღნიშნა ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ. კონკრეტულად როგორ და რა გზით ცდილობს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას, რა ნაბიჯები იდგმება ამისთვის და რა შეიძლება საქართველოსთვის მაპის მინიჭების თაობაზე გაკეთებულ განცხადებებს ოფიციალური მოსკოვისგან მოჰყვეს, „საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის ექსპერტ ვალერი კვარაცხელიას დაუკავშირდა.**

— რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მიმართულია რუსეთთან კონფრონტაციისკენ. სხვანაირად, უბრალოდ, არ გამოდის. ერთია განცხადებები, მაგრამ რუსეთის აზრიც ხომ უნდა მოვისმინოთ. კრემლის პოზიცია საკმაოდ მკაფიოა და პირადად პრეზიდენტ პუტინსაც არაერთხელ უთქვამს, რომ ალიანსის გაფართოება აღმოსავლეთის მიმართულებით ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს. ახლა **რა განცხადებებიც უნდა გააკეთოს ნატოს ხელმძღვანელობამ და რამდენიც უნდა იძახოს, არ გვინდა მოსკოვთან ურთიერთობის გამწვავებაო, ნათქვამს უკან ვერ წაიღებს, მოსკოვში კი ახლაც მიაჩნიათ, რომ ალიანსის მიახლოება რუსეთის საზღვრებთან პირდაპირ ეწინააღმდეგება ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს.**

რაც შეეხება საქართველოს, ის, რომ ნატოს საპარლამენტო ასამბლეა თბილისში გაიმართა, ნიშნავს მხოლოდ ერთ რამეს: **ნატო განაგრძობს პროვოკაციულ პოლიტიკას რუსეთის მიმართ და, რაც მთავარია, ეს პოლიტიკა საქართველოს ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის. ჩვენი ხელისუფლება ან ვერ აცნობიერებს ამ საფრთხეს, ან მისთვის სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა საკუთარი პოლიტიკური ხელშეუხებლობა დგას, თუმცა ეს, ჯამში, არაფერს ცვლის. საქართველო ამ შემთხვევაში არის ბრმა იარაღი,** რომელსაც რაღაც მომენტში გამოიყენებენ და მერე რა მოუვა ამ ქვეყანას, რა სირთულეები შეექმნება, არავინ ფიქრობს...

**— განცხადებებმა, რომ ნატოს კარი ჩვენთვის ღიაა, რომ მალე მაპს მივიღებთ და ა.შ., შეიძლება თუ არა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ისე დაძაბოს, რომ შეიარაღებულ კონფლიქტამდე მივიდეთ?**

— ჩვენ გვაქვს უახლოესი წარსულის ძალიან მწარე მაგალითი და ამას ანალიზი სჭირდება. რა მოხდა 2008 წლის აგვისტოში? **როდესაც საქმე ღია კონფლიქტამდე მივიდა და სხვა გამოსავალი აღარ დაუტოვეს რუსეთს, რუსეთი შემოვიდა საქართველოში და გაანადგურა ჩვენი მთელი სამხედრო ინფრასტრუქტურა.** ახლა მოდი, ობიექტურად შევხედოთ ამ ყველაფერს. რა შეუშლის მათ ხელს, რომ იგივე გააკეთონ 2017-ში ან, ვთქვათ, 2028 წელს, როცა ეს საჭირო იქნება, ვინ ან რა შეაკავებს ამ უზარმაზარ ძალას?! ჩვენ იმის იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ან ნატო გადაგვეფარება. ძალიანაც რომ მოინდომონ, ვერ დაგვიცავენ; ვერ აგვაცილებენ იმ საფრთხეებს, რომლებიც არსებობს, რადგან რუსეთი, კიდევ ვიმეორებ, ძალიან დიდი ძალაა და ის ყოველთვის გაატარებს თავის პოლიტიკას, ყოველთვის გაიტანს და დაიცავს ბოლომდე თავის სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

**— ნატოსთან თანამშრომლობის პარალელურად შესაძლებელია რუსეთთან პირდაპირი დიალოგი?**

— თანამშრომლობას გააჩნია. ჩვენ არავინ გვეუბნება, რომ ჩაკეტილი სახელმწიფო ვიყოთ, მაგრამ აქ საუბარია პროვოკაციულ პოლიტიკაზე, რომელიც არსებითად გამოწვევაა რუსეთისთვის. ეს ერთი.

მეორეც. როგორ შეიძლება, სახელმწიფოს, რომელსაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სხვა გზა, გარდა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებისა, არ აქვს, არ უნდოდეს კრემლთან დიალოგი?! ეს, უბრალოდ, გაუგებარია, იმიტომ, რომ დღეს რუსეთთან დიალოგზე უარის თქმა ნიშნავს, რომ შენ არ გინდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, არ გინდა აფხაზეთის, სამაჩაბლოს დაბრუნება. **რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და ხაზგასასმელია, ამ გადაწყვეტილებას საქართველოს ხელისუფალი კი არ იღებს, არამედ ამერიკის შეერთებული შტატები. ამერიკელები კარნახობენ აქ თავიანთ მარიონეტებს, რომ არავითარ შემთხვევაში რუსეთთან დიალოგი არ დაიწყონ.** აი, ამას ეწირება დღეს ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესები და, სანამ ეს მაამებლური, მოღალატეობრივი პოლიტიკა არ დასრულდება, საქართველო დაცული არ იქნება. ყველაფერია მოსალოდნელი და ყველანაირი საფრთხე შეიძლება დაგვემუქროს ამ პირობებში, მათ შორის — შეიარაღებული კონფლიქტიც.



## ვალერი ხაბურძანია: არ უნდა შევქმნათ ისეთი ვითარება, რომ რუსეთის საჰაერო ძალებმა საქართველოზე თავდასხმა განახორციელონ, თორემ ამერიკული ტყვიამფრქვევები ვერ დაგვიცავს

**ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის დაარსებიდან ორი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, იან კელიმ, ჟურნალისტებთან აღნიშნული ცენტრის მნიშვნელობაზე ისაუბრა. შეხვედრაზე ელჩი საქართველოსთვის ამერიკული წარმოების M-240 ტიპის ტყვიამფრქვევების გადმოცემასაც შეეხო და აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი საქართველოს თავდაცვისუნარიანობას მნიშვნელოვნად გააძლიერებს. „მოხარული ვართ, რომ შეგვიძლია აღვჭურვოთ საქართველოს ჯარი M-240 ტიპის იარაღით. ეს არის სტანდარტული იარაღი, რომელსაც იყენებს ნატოს შეიარაღებული ძალები. ეს კიდევ უფრო ხელს შეუწყობს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესს. გარდა ამისა, ეს არის კიდევ ერთი მაგალითი და სიმბოლო ჩვენი ერთგულებისა და მტკიცე გადაწყვეტილებისა, დავეხმაროთ საქართველოს შესაძლო აგრესიის შეკავებაში“, — განაცხადა იან კელიმ. კონკრეტულად რა საფრთხეები ემუქრება საქართველოს და რა აგრესია შეიძლება ჰქონოდა მხედველობაში ამერიკის ელჩს — ამ საკითხზე კომენტარისთვის „საქართველო და მსოფლიო“ უშიშროების ყოფილ მინისტრ ვალერი ხაბურძანიას დაუკავშირდა.**

**— ბატონო ვალერი, ბოლო პერიოდში ისევ აქტუალურია საქართველოსთვის მაპის მინიჭების საკითხი. თბილისში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის მიმდინარეობისას განაცხადეს, რომ ალიანსის კარი საქართველოსთვის ღიაა. თქვენი აზრით, როგორ აისახება ეს ყველაფერი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე და რა ნაბიჯები შეიძლება გადადგას კრემლმა იმ შემთხვევაში, თუ ნატო გააღრმავებს საქართველოსთან თანამშრომლობას?**

— ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ჩატარების ადგილი, როგორც წესი, დაიგეგმა წლების წინათ და ეს ასამბლეა საქართველოში რიგითობის პრინციპით გაიმართა. აქედან გამომდინარე, **რიტორიკა, — რადგან ასამბლეა თბილისში გაიმართა, საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდა ალიანსს, არის სატყუარა და საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა. ეს ერთი. მეორეც — როცა ასამბლეის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ამბობს, პუტინს ფული არ აქვს და მსოფლიო მასშტაბით ომს ვერ გააჩაღებსო, ეს, არც მეტი, არც ნაკლები, არის წმინდა წყლის დემაგოგია.** სინამდვილეში საუბრები იყო ძალიან ზოგადი, როგორც ხდება ხოლმე და არაფერი კონკრეტული. ისევ იგივე განცხადებები, რომ ალიანსის კარი ღიაა, რომ ჩვენ მათთვის და ისინი ჩვენთვის საიმედო პარტნიორები არიან, რომ ისინი განაგრძობენ ჩვენს მხარდაჭერას და ა.შ. მე, პირადად, თუ საქართველო ოდესმე რომელიმე ორგანიზაციაში შევა და ეს რაღაც სარგებელს მოიტანს, მოხარული ვიქნები, მაგრამ, ჯერ ერთი, **არსადაც არ გვიღებენ; მეორეც — ვერ გვიღებენ, იმიტომ, რომ არის მთელი რიგი ფაქტორებისა, რომლებიც ნატოს გაფართოებას, ამ ეტაპზე მაინც, შეუძლებელს ხდის...**

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, რუსეთის პოლიტიკური სპექტრი ერთგვაროვანი არ არის. იქაც არიან პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც ამ ყველაფერზე აგებენ გარკვეულ დემაგოგიას, და არიან სუბიექტები, რომლებიც სათანადოდ აფასებენ მიმდინარე პროცესებს. **საზოგადოდ, ნატოს გაფართოება ეწინააღმდეგება რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს და ნებისმიერი ქმედება, რომლებიც ამ საკითხთან იქნება დაკავშირებული, კრემლის მხრიდან რეაგირების გარეშე არ დარჩება.**

**— ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, იან კელიმ, ამას წინათ ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ ამერიკული იარაღის გადაცემა საქართველოსთვის შესაძლო აგრესიის შეკავებას ემსახურება. ვისგან და რა აგრესია შეიძლება დაემუქროს დღეს საქართველოს?**

— თუ ისინი 2008 წლის აგვისტოს ომის მაგალითზე საუბრობენ და გამოაქვთ დასკვნა, რომ საქართველოს თავდაცვისუნარიანობა უნდა გაძლიერდეს, რათა მსგავსი საომარი მოქმედებებისას აგრესია შეკავდეს, ძალიან ცდებიან. არსებობს ასეთი ცნობილი შეგონება: დათვი თუ მოგერია, ბაბა უნდა დაუძახოო. მე, მაგალითად, დათვთან საომრად არ წავალ... **ჩვენ არ უნდა შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, რომ რუსეთის საჰაერო ძალებმა საქართველოზე თავდასხმა განახორციელონ, თორემ, ამერიკული ტყვიამფრქვევები კი არა, თვით ამერიკაც ვერ დაგვიცავს.** საერთოდ, ვფიქრობ, დღევანდელ პირობებში საქართველოს სჭირდება სწრაფი რეაგირების ჯგუფები, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან მოკლევადიანი, ლოკალური თავდასხმების შეჩერებაზე. სხვა თვალსაზრისით ჩვენ აბსოლუტურად უუნარონი ვართ და ამაზე აქცენტის გადატანა, უბრალოდ, დროის დაკარგვაა.

რაც შეეხება საფრთხეებს, არა მგონია, დღეს შეერთებული შტატები, მით უფრო რუსეთი, დაინტერესებული იყოს საქართველოს ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედების გაჩაღებით, ამიტომ საფრთხეების შეკავებაზე საუბარი არაადეკვატურად მეჩვენება. ეს ყველაფერი ხალხის მოტყუებაა და სხვა არაფერი. ასე რომ, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. ჩვენ დღეს რეგიონში, ფაქტობრივად, არ გვყავს მოკავშირე, საქართველო რეგიონში ყველაზე სუსტი თავდაცვის უნარის მქონე სახელმწიფოა.

**«არა მგონია, რომ დღეს შეერთებული შტატები, მით უფრო რუსეთი, დაინტერესებული იყოს საქართველოს ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედების გაჩაღებით, ამიტომ საფრთხეების შეკავებაზე საუბარი არაადეკვატურად მეჩვენება. ეს ყველაფერი არის ხალხის მოტყუება და სხვა არაფერი»**

გვერდი მოამზადა
**ჯაბა ჟვანიამ**

**„საქართველოში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ჩატარებას შემდეგ რუსეთი ეცდება, რეგიონში თავისი პოზიციები კიდევ უფრო გააძლიეროს და ამ ყველაფერს შეიძლება ისეთი პროცესები მოჰყვეს, რომ ნატოში შესვლის სატყუარას სანაცვლოდ ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებზე უარის თქმა მოგვთხოვონ. მსგავსი ღონისძიებების გამართვით ტერიტორიული მთლიანობის საკითხს ვერაფერს ვუშველით და ვერც ვერავის შევაშინებთ. თურქეთს ისევ თვალი უჭირავს აჭარაზე, რასაც არ მალავს. ვხედავ საფრთხეს, რომ ნატოში შესვლის შემთხვევაში არა მხოლოდ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დავკარგავთ საბოლოოდ, არამედ აჭარასაც სერიოზული საფრთხე დაემუქრება“.**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სესიის გამართვა ვერ უშველის»

**26-29 მაისს საქართველოში გაიმართა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესია, რომელსაც საქართველოს ხელისუფლებამ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა უწოდა ამ ორგანიზაციაში ჩვენი ქვეყნის გაერთიანების გზაზე. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის რა შანსი აქვს საქართველოს და როგორ აისახება მსგავსი ღონისძიებები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე — ამ საკითხზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ პოლიტოლოგებს — სოსო ცინცაძესა და თამარ კიკნაძეს, აგრეთვე, ყოფილ პარლამენტარ თამაზ მეჭიაურს დაუკავშირდა.**



**სოსო ცინცაძე:**

— ნატოს საპარლამენტო სამიტის ჩატარება არაფერს მოუტანს ქვეყანას. ნატოში არ იღებენ საქართველოს, ხელისუფლების წარმომადგენლებს კი პირიქით ჰგონიათ. ევროპაში საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ყველა აღიარებს, მაგრამ ხომ ნახეთ, გერმანელმა დიპლომატმა და ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა, **ჰერბერტ ზალბერმა ბიბილოვს** არჩევნების წარმატებით ჩატარება რომ მიულოცა, ჩვენ კი პირდაღებული ვსხედვართ. პოლიტიკასა და დიპლომატიაში მთავარი არის შედეგი და არა პროცესი. „გენიოსი“ ვიცეპრემიერი, განათლების მინისტრი **ალექსანდრე ჯეჯელავა** ამბობს — რა მნიშვნელობა აქვს, როდის და როგორ მიგვიღებენ ნატოში, მთავარი პროცესიაო. ეს მამაცხონებული, იმის მაგივრად, რომ აგვიხსნას, რატომ ჩაიჭრა 11 ათასი მოსწავლე საატესტატო გამოცდებში, დიპლომატად გვევლინება. რომ ამბობენ, ოთხი ქვეყანა, რომლებშიც საპარლამენტო ასამბლეა გაიმართა, უკვე ნატოს წევრია და საქართველოც მათ რიგებს შეუერთდებაო, რა ლოგიკით შეიძლება თქვა ეს, ვერ ვხვდები. **ნატოს მიზანი კარგად გამოჩნდა, როცა ბრიუსელში გამართულ სამიტზე საქართველოს შესახებ კრინტიც არ დაუძრავთ. საქართველომ ამ ღონისძიებას თვითონ მისცა ამხელა მნიშვნელობა და ნატოც აჰყვა.** შედეგი არის ის, რომ საქართველოში იქნება დიდი პაუზა, მით უმეტეს, როცა ოფიციალური რუსეთი სულ უფრო ნაკლებ ყურდღებას აქცევს ასეთ ღონისძიებებს. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სესიის გამართვა ვერ უშველის.



**თამარ კიკნაძე:**

— საქართველო ნატოს წევრი არ არის, მაგრამ ამ ალიანსის საკმაოდ ბევრ პროგრამაში მონაწილეობს. ნატოს მრავალრიცხოვანი სამხედრო კონტინგენტი ჰყავს, მაგრამ არც ეს და არც ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სესიის თბილისში გამართვა არ არის გარანტი იმისა, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდება. საქართველოს ნატოში შესვლა დამოკიდებულია პოლიტიკურ კონიუქტურაზე. ამაზე ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც საკმაოდ გულახდილად საუბრობენ. რაც შეეხება ტერიტორიულ მთლიანობას, ამ ეტაპზე ნატო არ არის ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის გარანტი. ვისაც ჰგონია, რომ საქართველო ნაწილ-ნაწილ შევა ნატოში, ძალიან ცდება. **ამ სახიფათო რიტორიკამ, შესაძლოა, საქართველოს დეზინტეგრაცია გამოიწვიოს.**



**თამაზ მეჭიაური:**

— თუ სამიტის ამოცანაა საქართველოს შეყვანა ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საქართველო უარს იტყვის ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებზე. დაახლოებით იგივე სცენარი შეიძლება განვითარდეს აჭარაშიც, რადგან ყარსის ხელშეკრულების დენონსაციის შემთხვევაში თურქეთს ამ მიმართულებით ხელ-ფეხი გაეხსნება. ნატოს მიზანია, რუსეთს დაანახვოს, რამხელა გავლენა აქვს საქართველოზე, **ნატო რას კარგავს, თუ ჩვენ გამოგვიყენებს ინსტრუმენტად რუსეთის წინააღმდეგ? ამერიკა, რუსეთი, ევროპა, თურქეთი — ყველა ჩვენი ტერიტორიებით ვაჭრობს.**

როდესაც ნატოს ეგიდით რამდენიმე ტანკი შემოიყვანეს, გავაკრიტიკე იმჟამინდელი თავდაცვის მინისტრი და ვთქვი, რომ რამდენიმე ტანკის შემოყვანა და წვრთნის ჩატარება არანაირ სარგებელს არ მოუტანს ქვეყნის თავდაცვას, რადგან ეს იქნება მაპროვოცირებელი ფაქტი რუსეთისთვის-მეთქი. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი. **თავდაცვისუნარიანობა არ გაძლიერებულა, სამაგიეროდ, რუსეთმა სწორედ ამის შემდეგ შემოიყვანა გაცილებით მეტი ტექნიკა, გახსნა ახალი სამხედრო ბაზები, ცხინვალის რეგიონში ჩატარდა რეფერენდუმი და, საერთოდ, რეგიონს სახელიც შეეცვალა. აირჩიეს პრეზიდენტი, რომელსაც ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარე ლამის კალთაზე ემთხვია.** საქართველოში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ჩატარებას შემდეგ რუსეთი შეეცდება, რეგიონში თავისი პოზიციები კიდევ უფრო გააძლიეროს და ამ ყველაფერს შეიძლება ისეთი პროცესები მოჰყვეს, რომ ნატოში შესვლის სატყუარას სანაცვლოდ ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებზე უარის თქმა მოგვთხოვონ. მსგავსი ღონისძიებების გამართვით ტერიტორიული მთლიანობის საკითხს ვერაფერს ვუშველით და ვერც ვერავის შევაშინებთ. **თურქეთს ისევ თვალი უჭირავს აჭარაზე, რასაც არ მალავს. ვხედავ საფრთხეს, რომ ნატოში შესვლის შემთხვევაში არა მხოლოდ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დავკარგავთ საბოლოოდ, არამედ აჭარასაც სერიოზული საფრთხე დაემუქრება.**

**«გენიოსი» ვიცეპრემიერი, განათლების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა ამბობს, — რა მნიშვნელობა აქვს, როდის და როგორ მიგვიღებენ ნატოში, მთავარი პროცესიაო. ეს მამაცხონებული, იმის მაგივრად, რომ აგვიხსნას, რატომ ჩაიჭრა 11 ათასი მოსწავლე საატესტატო გამოცდებში, დიპლომატად გვევლინება»**

მოამზადა **ეკა ზარნაძემ**

# საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, რომლის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტს უცხოელი ფლობს, საქართველოში მიწის შეძენას მხოლოდ 1 წლით შეძლებს



**კომერციულ ბანკებს, მიკროსაფინანსო და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, რომელთა საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტს უცხოელი ფლობს, მიწა საკუთრებაში მხოლოდ ერთი წლის ვადით გადაეცემა. ეს შეზღუდვა საპარლამენტო უმრავლესობის 22 დეპუტატის მიერ პარლამენტში ინიცირებულ საკანონმდებლო პაკეტშია შეტანილი.**

პაკეტი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საკუთრებაში გადაცემისას შეზღუდვებსა და პირობებს აწესებს, ხუთი კანონპროექტისგან შედგება. აღსანიშნავია, რომ ამ კანონის მოქმედება მის ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე არ გავრცელდება.

კანონპროექტის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებულ კომერციულ ბანკებს, მიკროსაფინანსო და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, რომელთა საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი წილის/აქციების მფლობელები საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირია, მიწის გირაოს/იპოთეკის სახით მიღების უფლება იმ დათქმით უნარჩუნდებათ, რომ ქონების მათ საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში ვალდებულნი არიან, ამ ფაქტის დადგომიდან ერთი წლის განმავლობაში მიწა უფლებამოსილ პირზე გაასხვისონ. ამავე შეზღუდვის გამო კომერციული ბანკი, მიკროსაფინანსო და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, რომელთა საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი უცხოელს ეკუთვნის, ვერ შეძლებს, 1 წელზე მეტი ვადით შეიძინოს საქართველოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრე იურიდიული პირის წილი/აქციები გირაოს/იპოთეკის სახით.

კანონპროექტის თანახმად, გარდა ზემოთჩამოთვლილი საფინანსო ინსტიტუტებისა, სასოფლო სამეურნეო მიწის შეძენა მხოლოდ 1 წლით შეეძლება საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომლის კაპიტალის 50%-ზე მეტი წილის/აქციის მფლობელს ერთად ან/და ჯამურად წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი; უცხო ქვეყნის კანონმდებლობით შექმნილ იურიდიულ პირს ან/და საქართველოში რეგისტრირებულ მის ფილიალს, ასევე, უცხო ქვეყნის კანონმდებლობით შექმნილ იურიდიულ პირს ან/და საქართველოში რეგისტრირებულ მის ფილიალს. იმ შემთხვევაში თუ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი ამ მოთხოვნას არ შეასრულებს, 1-წლიანი ვადის ამოწურვიდან ერთ თვეში ამავე პუნქტში აღნიშნულმა პირებმა წერილობით უნდა მიმართონ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რათა სახელმწიფომ სამინისტროს მიერ დადგენილი ფასის მიხედვით უზრუნველყოს მიწის ნაკვეთ(ებ)ის სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლა.

„დაუშვებელია საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის მიერ, რომლის საკუთრებაშია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, წილის/აქციების გასხვისება საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირზე ან/და საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე, რომლის კაპიტალის 50%-ზე მეტი წილის/აქციის მფლობელს ერთად ან/და ჯამურად წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობით შექმნილი იურიდიული პირი ან/და საქართველოში რეგისტრირებული მისი ფილიალი, ასევე უცხო ქვეყნის კანონმდებლობით შექმნილ იურიდიულ პირზე ან/და საქართველოში რეგისტრირებულ მის ფილიალზე, თუ გარიგების შედეგად, იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი ერთად ან/და ჯამურად გადადის ზემოხსენებული საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირ(ებ)ის ან/და იურიდიული პირ(ებ)ის საკუთრებაში“, — ვკითხულობთ კანონპროექტში.

**პაკეტი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საკუთრებაში გადაცემისას შეზღუდვებსა და პირობებს აწესებს, ხუთი კანონპროექტისგან შედგება. აღსანიშნავია, რომ ამ კანონის მოქმედება მის ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე არ გავრცელდება**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რაღაც დალპა და არა იმდენად დანიის სამეფოში, რამდენადაც საქართველოში, სადაც ერთმა გაწევ-გამოწევამ ნათლად დაგვანახვა, რამდენად ცუდ სისტემაში ვცხოვრობთ. ამას, სავარაუდოდ, ვერ უშველის ვერც ლუსტრაცია, ვერც დენაციფიკაცია, სანამ საზოგადოებაში სახელმწიფო მოხელის არათუ დანაშაულის, არამედ მცირე გადაცდომის მიმართ შეუწყნარებელი დამოკიდებულება არ დამკვიდრდება.**

# თორდია, ფარცხალაძე და დაუსჯელობის სინდრომი

**„თორდია-ფარცხალაძის კონფლიქტი“ ნაკლებად ინტენსიურ ფაზაში გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების უდიდეს ნაწილს არც ერთი მხარე არ ესიმპათიურება, ამ საქმისთვის ყურადღების მიქცევა მაინც ღირს, რადგან ის სახელმწიფოსა და საზოგადოების მდგომარეობის საინტერესო ინდიკატორია.**



ლაშა თორდია



ოთარ ფარცხალაძე

ლაშა თორდიას გენერალური აუდიტორის პოსტზე ყოფნის ვადა ივლისში ეწურება. ის ძველი რეჟიმის მიერ დანიშნული ერთ-ერთი „უკანასკნელი მოჰიკანია“. თუ ჩვენ გავიხსენებთ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის — გიორგი ქადაგიძისა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის — გიორგი პაპუაშვილის პოსტზე ყოფნის ბოლო თვეებს, ვნახავთ, რომ ორივე აქტიურობდა, რასაც, სავარაუდოდ, ორი ძირითადი მიზეზი განაპირობებდა: ისინი, ერთი მხრივ, ამზადებდნენ სასტარტო პოზიციებს მოღვაწეობისთვის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, ხოლო მათი მოკავშირეები „ნაცმოძრაობიდან“ ცდილობდნენ, მაქსიმალურად ესარგებლათ დარჩენილი დროით, რათა ხელისუფლებისთვის საიმიჯო ზიანი მიეყენებინათ. დღეს ეს ნაკლებად მნიშვნელოვანი ეპიზოდები თითქმის დავიწყებულია, თუმცა პაპუაშვილის მიერ აგორებული სკანდალი საკონსტიტუციოს მოსამართლეებზე ზეწოლის თაობაზე ქვეყანას საკმაოდ ძვირი დაუჯდებოდა, თუ თავმჯდომარის განცხადებებს მოსამართლეებიც გაამყარებდნენ.

ლაშა თორდია არ ჰგავს ჯეიმს ბონდს, რომელიც იუველირული სიზუსტით დაგეგმავდა შეხვედრას და ჩხუბს ოთარ ფარცხალაძესთან; გამორიცხული არაა, რომ ინციდენტი სრულიად შემთხვევითი იყო, მაგრამ აშკარაა, გადაწყვეტილება — მის შესახებ ინფორმაცია გაევრცელებინა, თორდიამ არა ცხელ გულზე, არამედ მომხდარის გაანალიზებისა და, შესაძლოა, თანამოაზრეებთან მოთათბირების შემდეგ მიიღო. სიტუაცია საკმაოდ მოსახერხებელი იყო იმისთვის, რომ მათ ორივე ზემოთ ნახსენები მიზნისთვის მიეღწიათ.

**საერთოდ, ინციდენტის განხილვა „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ დაპირისპირების ჭრილში, როგორც ამას ზოგიერთი კომენტატორი აკეთებს, არასწორია. ორივე ფიგურანტის სერიოზული კარიერული აღმასვლა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში დაიწყო, 2008-2012 წლებში, როდესაც ყველა მეტ-ნაკლებად პატიოსანი და გონიერი ადამიანი ხელისუფლებაში საბოლოოდ დარწმუნდა, რას წარმოადგენდა სააკაშვილი და მისგან დისტანცირება დაიწყო. იმ პერიოდში რეჟიმი ეძებდა ერთგულ შემსრულებლებს, რომლებიც ხელს ყველაფერზე მოაწერდნენ.** დეტალებში უცნობია, რას აკეთებდა ფარცხალაძე შსს-ში (2008 წლამდე) და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, არსებობს მხოლოდ დაუზუსტებელი, მეტწილად ნეგატიური ინფორმაცია და ზოგადი წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ ორივე უწყება სააკაშვილის მმართველობის წლებში ანგელოზების თავშესაფარს ნამდვილად არ წარმოადგენდა. იმავე პერიოდში ლაშა თორდია იყო პარლამენტის დეპუტატი „ნაცმოძრაობიდან“. ასე თუ ისე, ორივე შეიძლება ძველი რეჟიმის პირმშოდ ჩაითვალოს — შესაბამისი ეთიკითა და უნარ-ჩვევებით.

მიუხედავად იმისა, რომ ფარცხალაძემ სწრაფად იპოვა საერთო ენა ახალ ხელისუფლებასთან და მთავარ პროკურორადაც კი დანიშნეს, იმის თქმა, რომ ინციდენტში ის „ქართულ ოცნებას“, ხოლო თორდია „ნაცმოძრობას“ წარმოადგენდა, მაინც არ შეიძლება, რადგან გენერალური აუდიტორი ბოლო პერიოდში არ მოქმედებდა, როგორც შეურიგებელი ოპოზიციონერი — იყო ურთიერთგაგებაც, შეხების წერტილებიც და ა.შ. საერთოდ, **„ნაცმოძრაობა“ თუ „ევროპული საქართველო“ დღეს აღარ წარმოადგენენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ პოლუსს, ისინი ახალი სისტემის განუყოფელ ნაწილად იქცნენ, ხოლო ძველი და ახალი მმართველი პარტიების კოაბიტაცია უცნაურ სიმბიოზში გადაიზარდა.** ქართულ პოლიტიკაში წინა პლანზე ყოველთვის იდგა ინტერესები და არა იდეები. ასე რომ, შიდასახელისუფლო კონფლიქტების 99%-ს ძალიან კონკრეტული მერკანტილური გათვლები განაპირობებს. თორდია-ფარცხალაძის კონფლიქტის დროს საზოგადოებამ შეიტყო მიწის ნაკვეთების შესახებ, რომელთა ისტორიაში, როგორც ძველი, ისე ახალი ხელისუფლების წარმომადგენლების და მათთან დაახლოებული პირების ინტერესები იკვეთება. რომ არა ჩხუბი, საზოგადოება ამის თაობაზე ვერაფერს გაიგებდა, არადა, არსებობს ათიათასობით სხვა საეჭვო შემთხვევა, რომელთა შესახებ ინფორმაცია არ ხმაურდება. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ორივე ფიგურანტი წარმოადგენდა ერთ და არა ორ სხვადასხვა სისტემას.

ძველი რეჟიმის თავკაცებმა ბევრი იზრუნეს იმაზე, რომ ფარცხალაძეს თავის დროზე მთავარი პროკურორის პოსტი დაეტოვებინა. ამ კონტექსტში ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ ფარცხალაძის დიპლომთან და გერმანიაში მის გასამართლებასთან დაკავშირებული სკანდალები. თუმცა ამის შემდეგ, ფარცხალაძე, „ნაციონალებს“ თუ დავუჯერებთ, „ჩრდილოვანი გენპროკურორი“ გახდა, თანაც გამდიდრდა. ის, რომ ფარცხალაძე ძალოვან უწყებებში საკმაო გავლენით სარგებელობს, ირიბად დაადასტურა შსს-ს მაღალჩინოსნების სტუმრობამ მის ბინაში თორდიასთან ინციდენტის შემდეგ; აგრეთვე, სამართალდამცველების მოქმედებამ იმ ეპიზოდში, რომელიც თოდრიას პათოლოგიური ქცევის ამსახველ ჩანაწერს უკავშირდება.

იმ ფირის ნახვის შემდეგ, რომელზეც ასახულია, თუ როგორ დასდევს მთვრალი გენერალური აუდიტორი ბარის თანამშრომლებს პისტოლეტით ხელში, საზოგადოების დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, მივიდა დასკვნამდე, რომ მისი ადგილი ან ციხეში, ან ფსიქიატრიულშია. თუმცა აქ მნიშვნელოვანია სხვა რამ: გაირკვა, რომ დეკემბერში მომხდარ ინიციდენტის თაობაზე არც თორდია, არც მასთან ერთად მყოფი პავლე კუბლაშვილი არ დაუკითხავთ და ამას, შესაძლოა, ორი მიზეზი განაპირობებდა: ა) ხელისუფლებამ ხელი დააფარა თორდიას; ბ) ხელისუფლებამ გადაწყვიტა, კომპრომატი შეენახა და საჭირო მომენტში გამოეყენებინა. ერთი მეორეს, პრინციპში, არ გამორიცხავს.

**საერთოდ, ინციდენტის განხილვა «ქართული ოცნებისა» და «ნაცმოძრაობის» დაპირისპირების ჭრილში, როგორც ამას ზოგიერთი კომენტატორი აკეთებს, არასწორია. ორივე ფიგურანტის სერიოზული კარიერული აღმასვლა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში დაიწყო, 2008-2012 წლებში, როდესაც ყველა მეტ-ნაკლებად პატიოსანი და გონიერი ადამიანი ხელისუფლებაში საბოლოოდ დარწმუნდა, რას წარმოადგენდა სააკაშვილი და მისგან დისტანცირება დაიწყო. იმ პერიოდში რეჟიმი ეძებდა ერთგულ შემსრულებლებს, რომლებიც ხელს ყველაფერზე მოაწერდნენ**

შესაძლოა, „ნაციონალებმა“ სტრატეგიული შეცდომა დაუშვეს, როდესაც ფარცხალაძეს დანიშვნისთანავე შეუტიეს და არა მოგვიანებით — წინასაარჩევნოდ ან სხვა კრიტიკულ მომენტში. თანამდებობაზე მყოფი პირი გაცილებით შეზღუდულია თავის მოქმედებაში, ვიდრე „ჩრდილოვანი გენპროკურორი“, რომელზეც „ნაციონალები“ დღეს მოგვითხრობენ. ინციდენტი მას და თორდიას შორის არ არის საკმარისი თამაშიდან მის გასაყვანად და მხოლოდ საიმიჯო ზიანს თუ მიაყენებს. თუმცა ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ფარცხალაძე საინფორმაციო თვალსაზრისით „ჩრდილში“ მოღვაწეობს. **თორდიას პათოლოგიურ ქცევის ამსახველი ვიდეოჩანაწერის გავრცელების შემდეგ, საზოგადოებას, რომელიც ისედაც ეჭვის თვალით უყურებდა გენერალურ აუდიტორს ძველ რეჟიმთან თანამშრომლობის გამო, ძალიან გაუჭირდება, ის უმანკო მსხვერლად აღიქვას.**

რაღაც დალპა და არა იმდენად დანიის სამეფოში, რამდენადაც საქართველოში, სადაც ერთმა გაწევ-გამოწევამ ნათლად დაგვანახვა, რამდენად ცუდ სისტემაში ვცხოვრობთ. ამას, სავარაუდოდ, ვერ უშველის ვერც ლუსტრაცია, ვერც დენაციფიკაცია, სანამ საზოგადოებაში სახელმწიფო მოხელის არათუ დანაშაულის, არამედ მცირე გადაცდომის მიმართ შეუწყნარებელი დამოკიდებულება არ დამკვიდრდება. საინტერესოა, რომ მას შემდეგ, რაც ეკრანებზე გამოჩნდა მთვრალი გენერალური აუდიტორი პისტოლეტით ხელში, არავის არ დაუსვამს კითხვა მორალური პასუხისმგებლობის ან თანამდებობიდან წასვლის თაობაზე, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ ამას არანაირი აზრი არ აქვს.

სიტყვამ მოიტანა და, გერმანიის დენაციფიკაციისას გატარებული ზოგიერთი ზომა დღევანდელი საქართველოსთვის შეიძლება ფრიად სასარგებლო გამოდგეს. 1946 წლის 5 მარტს ამერიკულ ზონაში მიღებულ იქნა კანონი №104, რომელიც შემდეგ სხვა საოკუპაციო ზონებშიც გავრცელდა. დენაციფიკაციის პროცესი გერმანელების ხელში გადავიდა; მიდგომა მის მიმართ დაეფუძნა ყველა ზრდასრული გერმანელის დამნაშავეობის (და არა უდანაშაულობის) პრეზუმფციას. შეიქმნა სპეციალური სასამართლო პალატები, რომელთაც უნდა დაედგინათ, რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ესა თუ ის პიროვნება: ა) მთავარ დამნაშავეს; ბ) დამნაშავეს; გ) ნაკლებად დამნაშავეს; დ) „თანამგზავრს“; ე) უდანაშაულოს.

ყველაფერი დეტალურად იყო გაწერილი, მაგალითად, დამნაშავეები სამ ქვეჯგუფად იყოფოდნენ — აქტივისტები, მილიტარისტები და სარგებლის მაძიებელნი. ამ უკანასკნელთა იდენტიფიცირება ექვსი ნიშნის მიხედვით ხდებოდა. მათთვის დადგენილი სასჯელი იყო შრომითი ბანაკი 5 წლამდე ვადით და ქონების სრული ან ნაწილობრივი კონფისკაცია. ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენებოდა საარჩევნო უფლების ჩამორთმევა და თანამდებობის დაკავების აკრძალვა მინიმუმ 5 წლით. შედარებით მსუბუქი სანქციები გათვალისწინებული იყო „ნაკლებად დამნაშავეებისთვის“ და „თანამგზავრებისთვის“. გერმანიის ყველა მოქალაქეს უნდა მიეღო მოწმობა დენაციფიკაციის გავლის შესახებ; პროცესი ასზე მეტი კითხვისგან შემდგარი ანკეტის შევსებით იწყებოდა.

თითქმის არავინ კამათობს იმაზე, რომ სააკაშვილის რეჟიმი დანაშაულებრივ ხასიათს ატარებდა — ის ხოცავდა და აწამებდა ადამიანებს, იტაცებდა ქონებას და ამ დანაშაულს სისტემური ხასიათი ჰქონდა. ამიტომ, ალბათ, მიზანშეწონილი იქნებოდა, იმ პერიოდის ყველა სახელმწიფო მოხელისთვის (და არა ყველა მოქალაქისთვის, როგორც ეს გერმანიაში მოხდა) დამნაშავეობის პრეზუმფციის გადასახედიდან შეგვეხედა და გაგვეცხრილა ისინი, ზუსტად ისე, როგორც ეს გერმანელებმა გააკეთეს. სავარაუდოდ, მათ შორის მოიძებნება ბევრი დამნაშავეც და თანამზრახველიც, მაგრამ ხელისუფლება ამას არ გააკეთებს, საზოგადოებას კი არ ეყოფა ნებისყოფა და თანმიმდევრულობა იმისთვის, რომ ბიუროკრატიის რიგებში ტოტალური წმენდის განხორციელება მოითხოვოს და ამას კოაბიტაციის მხარდამჭერი უცხოელი პარტნიორებიც შეეწინააღმდეგებიან. სწორედ ამიტომ სახელმწიფო მოხელეები მუდამ მოიქცევიან დაახლოებით ისე, როგორც ფარცხალაძე და თორდია, ხოლო დაუსჯელობის სინდრომი კიდევ საკმაო ხანს დარჩება ბორკილად, რომელიც ქვეყნის განვითარებას შეაფერხებს.

**26 მაისი არათუ უნდა ვიზეიმოთ, არამედ უნდა გაუქმდეს 26 მაისისა და ვარდების მოედნები, ხოლო პარლამენტის წინ, 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალის გვერდით, დაიდგას 26 მაისს დაღუპულთა და სასტიკად დარბეული მოსახლეობის მემორიალიც, როგორც სიმბოლო სააკაშვილის 9-წლიანი სისხლიანი რეჟიმისა.**



ავი მუსაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა გვაქვს საზეიმო?

**საბედნიეროდ, არც ფრანგი ვარ, არც ბრიტანელი, არც ესპანელი, არც იტალიელი და არც რომელიმე სხვა ერის წარმომადგენელი... რატომ საბედნიეროდ? — იმიტომ, რომ ვარ ქართველი და, მაშასადამე, არც ერთი ჩამოთვლილი თუ ჩამოუთვლელი კულტურული ერის წარმომადგენელზე ნაკლები არ ვარ! როგორც დიდმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ რეზო თაბუკაშვილმა ანდერძად დაგვიტოვა, ჩვენი სამშობლო არ მეცოტავება, მიხარია, რომ ვარ მართლმადიდებელი ქართველი და ამით უზომოდ ბედნიერი ვარ.**



თუმცა ვინატრებდი, რომ ერთი დღით რომელიმე იმ ხალხის შვილი ვყოფილიყავი, რომლისთვისაც ეროვნული დამოუკიდებლობის დღე უდიდესი დღესასწაულია. მაგალითად, დროებით ფრანგი გავხდებოდი, რათა 14 ივლისს, ბასტილიის აღების დღეს, რომელსაც ფრანგები, როგორც დამოუკიდებლობის, თავისუფლების დღეს, ისე ზეიმობენ, გამერკვია, რა განცდა, რა ემოცია გეუფლება, როდესაც ხედავ სამშობლოსადმი სიყვარულის საყოველთაო გამოხატვას.

მკითხველმა შეიძლება იფიქროს, — რას მიედ-მოედება ეს კაცი, ხომ არ გააფრინაო, მაგრამ არა, ბატონებო და ქალბატონებო, ჩემი ეს „ბოდიალი" იმის ბრალია, რომ მორიგი **26 მაისი კი იზეიმა და გვაზეიმა ხელისუფლებამ, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის 26 მაისი ვერა და ვერ იქცა საყოველთაო ეროვნულ დღესასწაულად.**

როდესაც ახალი წლის ან აღდგომის, ანუ მართლაც საყოველთაო დღესასწაულის მოლოდინში ხარ, დღეებს ითვლი, რაღაც მღელვარებს შენში.

ჩემს ჯეელობაში ბოლშევიკური 7 ნოემბრის, 1 მაისის (აღარაფერს ვამბობ 9 მაისზე) მოლოდინის ემოციებიც მახსოვს, მაგრამ ანალოგიური რამ არც ერთ 26 მაისს არ განმიცდია.

**რატომ ვერ გახდა 26 მაისი ყველა ქართველისთვის საერთო ზეიმის დღე და ვერც ვერასოდეს გახდება?**

ამის გარკვევას ქვევით შევეცდები...

პირველი — იმიტომ, რომ **ნოე ჟორდანიას** მენშევიკურმა, სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგ, 26 მაისს იძულებით გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელზეც ქართველ მენშევიკებს ანუ სოციალ-დემოკრატებს სიზმარშიც არ უოცნებიათ, რადგან თავს რუსეთის სოციალ-დემოკრატების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდნენ. თორემ, სურვილის შემთხვევაში, ადვილად შეეძლოთ 1921 წელს რუსეთის მე-11 არმიის აგრესიის მოგერიება, რადგან შეიარაღებაც უკეთესი ჰქონდათ და გენერლებიც საუკეთესო ჰყავდათ, მაგრამ ჟორდანიამ გენერალი **გიორგი მაზნიაშვილის**, პოლკოვნიკი **ქაქუცა ჩოლოყაშვილის,** გენერალი **გიორგი კვინიტაძისა** და სხვა პროფესიონალი სამხედროების მხედრიონებს უვიცი **ვალიკო ჯუღელი** და მისი პარტიული ნიშნით შედგენილი ე.წ. სახალხო გვარდია არჩია. და, თუ დღევანდელობასთან პარალელს გავავლებთ, როგორც **სააკაშვილმა** ჩააბარა მიზანმიმართულად რუსებს ახალგორი და კოდორი, თვითონ კი უკრაინაში მოცოცხა, ასევე ჩააბარეს მენშევიკებმა სრულიად საქართველო ბოლშევიკებს და საფრანგეთში გადაიხვეწნენ.

მოკლედ, 26 მაისი თავიდანვე თარს დღედ დაგვებედა.

მეორე — მენშევიკების შემდეგ იყო ბოლშევიკი კომუნისტების 70-წლიანი მმართველობა, რომლის დასრულების შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა **ზვიად გამსახურდიამ** 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რითაც პატივი მიაგო 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა სულებს.

როგორც მახსოვს, იმ წელიწადს 26 მაისი არ გვიზეიმია და, **შემდეგი 9 აპრილები რომ დასცლოდა საქართველოს პირველ პრეზიდენტს, დღეს 9 აპრილი იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და არა შევარდნაძის მიერ თავსმოხვეული 26 მაისი.**

„თეთრი მელას" მოტივაცია გასაგები იყო — ყველაფერი უნდა წაშლილიყო, რაც ზვიად გამსახურდიას სახელს უკავშირდებოდა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, 9 აპრილი იქნება თუ 26 მაისი?

მთავარი შეკითხვა — **რა გვაქვს საზეიმო?**

და ამ შეკითხვისდან გამომდინარეობს რიტორიკული ქვეკითხვები, რომლებსაც შევეცდები, სათითაოდ ვუპასუხო:

*** საქართველო სახელმწიფოა და, თანაც, დამოუკიდებელი?** — სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა თუ მხოლოდ გერბი, დროშა და ჰიმნია, მაშინ, კი, ბატონო, მაგრამ ვისზე და რაზე აღარ არის დამოკიდებული საქართველო? იქით — ვენეციის კომისია, აქეთ — სტრასბურგის ევროსაბჭო და სასამართლო თუ ბრიუსელის ევროკავშირი, **ჯორჯ სოროსის** მიერ დაფინანსებული ასო „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" კაპიტან **ეკა გიგაურის** მეთაურობით, და მთელი არასამთავრობო სექტორი, სახალხო დამცველი, აშშ-ის ელჩი **იან კელი**, მოკლედ, მეხუთე კოლონა საქართველოში.

**რისთვის ვუხდით უზარმაზარ ხელფას-პრემიებს საქართველოს პარლამენტარებსა და მინისტრებს? ამას არ სჯობს, პირდაპირ ვენეციის კომისიის, სტრასბურგისა თუ ბრიუსელის, ასოთა მეხუთე კოლონისა და იან კელის რეკომენდაციებით ვმართოთ ქვეყანა?**

ეს ის ორგანიზაციები თუ პიროვნებები არიან, რომელთა დაუკითხავად ნაბიჯს ვერ დგამს ჩვენი ხელისუფლება.

სირცხვილისგან ყურები მეწვის, როდესაც გამახსენდება რუსეთის პრეზიდენტის შეთავაზებაზე,— პირისპირ შევხვდეთო, ჩვენი „ქსლისა მბეჭველი და პლასტილინი" პრეზიდენტის — **გიორგი მარგველაშვილის** პასუხი,—**ჯერ ჩვენს დასავლელ მეგობრებს დავეკითხებით, შეგხვდეთ თუ არაო...** აქედან გამომდინარე, ჰყავს კი საქართველოს ხელისუფლება? და, თუ კვირიკაშვილ-კობახიძე-მარგველაშვილის პოლიტიკურ მასტურბაციას ხელისუფლება ჰქვია, რა საჭიროა ასეთი ხელისუფლება?!

რისთვის ვუხდით უზარმაზარ ხელფას-პრემიებს საქართველოს პარლამენტარებსა და მინისტრებს? ამას არ სჯობს, პირდაპირ ვენეციის კომისიის, სტრასბურგისა თუ ბრიუსელის, ასოთა მეხუთე კოლონის, იან კელის რეკომენდაციებით (წაიკითხე, ბრძანებებით) ვმართოთ ქვეყანა?

* ან შეიძლება, რომ **რობი უილიამსის** უკანალის დანახვაში მილიონებს ვიხდიდეთ და გაჭირვებულ მოსახლეობას მიზერულ შემწეობას ვართმევდეთ?

* შეიძლება, რომ ტერიტორიებშემოძარცვული ქვეყანა, რომლის მოსახლეობის ნახევარი გადახვეწილია სამშობლოდან, დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობდეს?

* შეიძლება, ამ უმძიმესი დემოგრაფიული მოცემულობის პირობებში, ქართული მიწა-წყლის გაყიდვა-არ გაყიდვის შესახებ ნორმალურ ქართველს შეკითხვა არ გაუჩნდეს?

ეს კითხვები რომც არ ყოფილიყო, 2011 წლის 26 მაისს საპროტესტო აქციის სასტიკი დარბევის შემდეგ, როდესაც გვამები „თავისით ავიდნენ სახურავზე", ხოლო დილით, როცა „კვლავ გადარეცხეს სისხლი ქვაფენილს" და ჩვენმა მიწაზე მხოხავმა, ჰალსტუხის მცოხნელმა მთავარსარდალმა სამხედრო აღლუმი ჩაიბარა (სწორედ იმ დღეს დაიწყო სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის დასასრული), დამოუკიდებლობის დღის 26 მაისს აღნიშვნამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლეგიტიმაცია დაკარგა.



აქედან გამომდინარე, **26 მაისი არათუ უნდა ვიზეიმოთ, არამედ უნდა გაუქმდეს 26 მაისისა და ვარდების მოედნები, ხოლო პარლამენტის წინ, 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალის გვერდით, დაიდგას 26 მაისს დაღუპულთა და სასტიკად დარბეული მოსახლეობის მემორიალიც, როგორც სიმბოლო სააკაშვილის 9-წლიანი სისხლიანი რეჟიმისა.**

ხელისუფლებისთვის სილის გაწვნად აღვიქვი ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვა:

**„რამდენიმე წლის წინათ მე მოგიწოდებდით, რომ დაბრუნებულიყავით სამშობლოში. ახლა მოგიწოდებთ – იყავით იქ, სადაც ბრძანდებით. მაგრამ ამავე დროს, იყავით სამშობლოში. ეს საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, საქართველოსთვის. მინდა, მადლობა მოგახსენოთ იმ სულიერი თუ მატერიალური დახმარებისთვის, რასაც სამშობლოსთვის აკეთებთ"....**

პატრიარქის ეს სიტყვები რომ „გავშიფროთ", „რამდენიმე წლის წინათ", ალბათ, ხელისუფლების სათავეში "ქართული ოცნების" მოსვლას გულისხმობს, როდესაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ძალიან ეიმედებოდა, რომ ბიძინა ივანაშვილი სასიკეთოდ შეცვლიდა ვითარებას ქვეყანაში.

სხვა დანარჩენი კი ასე გავიგე: **კვირიკაშვილის** (რომელიც, როგორც ხშირად ბოლო დროს, ახლაც გვერდს „უმშვენებდა" საქართველოს სულიერ მამას) **მთავრობის იმედად თქვენი მტერი იყოს, დარჩით იქ, სადაც ხართ და სიმწრით ნაშოვნი თანხებით დაეხმარეთ თქვენს მოყვასს აქ, უბედურ საქართველოშიო...**

ისე, ერთი მართლაც საზეიმო რამ მაინც მოხდა — **სწორედ 26 მაისს 90 წლისა გარდაიცვალა ნეოლიბერალთა მთავარი იდეოლოგი, მართლმადიდებლობის, ე.ი. საქართველოს, ქართველი ერის დაუძინებელი მტერი, ამერიკელი პოლიტოლოგი და სოციოლოგი, აშშ-ის პრეზიდენტის — ჯიმი კარტერის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში, ავადსახსენებელი ზბიგნევ ბჟეზინსკი, რომელიც, იმედია, ახლა ჯოჯოხეთის კუპრში ბანაობს.**

**დავით მხეიძე**

---

მოკლედ



## ემანუელ მაკრონი: მსოფლიოში მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარება რუსეთის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია

**29 მაისს საფრანგეთისა და რუსეთის პრეზიდენტების — ემანუელ მაკრონისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრა გაიმართა, რომელიც 2 საათსა და 45 წუთს გაგრძელდა. შემდეგ მათ ერთობლივი პრესკონფერენცია ჩაატარეს.**

მაკრონის თქმით, პუტინთან შეხვედრაზე უკრაინის თემაზე, მინსკის შეთანხმებების შესრულებაზე ისაუბრეს და აუცილებელია სასწრაფოდ გაიმართოს მოლაპარაკებები ე.წ. ნორმანდიულ ფორმატში. მაკრონმა განაცხადა, რომ მსოფლიოში მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარება რუსეთის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია.



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„მოფართხალე თევზის“ როლი მაშინ შეგიძლია ითამაშო, როდესაც საკითხი პირადად შენ და შენს თავგანწირვას ეხება, მაგრამ, როდესაც შენმა „ფართხალმა“, შესაძლოა, შენი სამშობლო დააყენოს საფრთხის წინაშე, მგონია, რომ ცოტა ნაკლებად გაქვს „ფართხალისა“ და ვაჟკაცობაზე თავის გამოდების უფლება.**

# დამოკიდებულების დღე

**ორ ათეულ წელზე მეტია, საქართველოში მუდამ აქტუალურია საკითხი, რომელ დღეს უნდა აღვნიშნოთ დამოუკიდებლობის დღე — 26 მაისს თუ 9 აპრილს. მოგეხსენებათ, მეოცე საუკუნე ქართველთათვის იმითაც იყო გამორჩეული, რომ ორჯერ გამოვაცხადეთ ქვეყნის დამოუკიდებლობა: 1918 წლის 26 მაისს — ნოე ჟორდანიას მთავრობამ, ხოლო 1991 წლის 9 აპრილს — ზვიად გამსახურდიას მთავრობამ.**



1991 წლის 31 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმზე კითხვა ასე იყო ჩამოყალიბებული: „გსურთ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“

და ამ კითხვაზე საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიერ გაცემული დადებითი პასუხის შედეგად 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს „მეორე რესპუბლიკა“.

ასე რომ, საბოლოოდ მაინც 26 მაისია რეალურად საზეიმო თარიღი, თუკი საერთოდ გვეზეიმება, და სრულიად ფუჭია მოთხოვნა დამოუკიდებლობის 9 აპრილს აღნიშვნისა, რადგან გამსახურდიასეული 9 აპრილი იურიდიულად ჟორდანიასეულ 26 მაისზე დგას. თუმცა, მთავარი ის კი არ არის, ვინ რომელ თარიღს ანიჭებს უპირატესობას, არამედ ის, გვეზეიმება თუ არა დამოუკიდებლობის დღე. ეს ორივე თარიღი, უბრალოდ, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეა და არა რეალურად დამოუკიდებლობის. ჰოდა, აი, ეს არის სწორედ საკითხავი — საზეიმოა კი დამოუკიდებლობის გამოცხადება?

**რეალურ დამოუკიდებლობაზე რომ იყოს საუბარი, კი, ბატონო, მაგრამ „გამოცხადების“ და „ვერშესრულების“ დღის აღნიშვნა, თანაც ასე პომპეზურად, როგორც ეს წელს მოხდა ჩვენი ხელისუფლების მიერ, ცოტა არ იყოს, კომიკური ხომ არ არის?**

პირდაპირ შეიძლება ითქვას: **ამ დამოუკიდებლობის დეკლარირებით მხოლოდ იმას ვაკეთებთ, რომ ვიცვლით დამოკიდებულებას სხვადასხვა დამპყრობლის მიმართ, რეალური დამოუკიდებლობა კი საქართველოს გიორგი ბრწყინვალეს მეფობის შემდეგ აღარ ღირსებია.**

ჩვენ, ბოლო 100 წელიწადია, მხოლოდ სხვადასხვა დამოკიდებულებას ავიკიდებთ ხოლმე სხვადასხვა ძლიერი სახელმწიფოს მიმართ, ხოლო რეალური დამოუკიდებლობა ჩვენს ხელისუფლებებს სულაც ფეხებზე ჰკიდიათ. სწორედ რეალური დამოუკიდებლობის ასეთი დაკიდების შედეგია ის, რაც გვემართება ხოლმე. დამოკიდებულების აკიდება კი იმის მიხედვით ხდება, საქართველოს ყოველი კონკრეტული ხელისუფლება ვის, რომელ გარე ძალებს უნდა უმადლოდეს იმას, რომ ხელისუფლებაში მოხვდა.

მაგალითად, ბევრმა არც იცის ან არ იაზრებს, რომ **„პირველი რესპუბლიკის“ გამომცხადებელი საქართველოს მთავრობის სრული შემადგენლობა რეალურად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთის წარმომადგენლები იყვნენ და მათ არაფერი ეცხოთ ეროვნულისა და ქართულის.**

1917 წლის თებერვლის რევოლუციის, მეფის ტახტიდან გადაყენებისა და რუსეთის იმპერიის სათავეში **ალექსანდრე კერენსკის** მენშევიკური დროებითი მთავრობის მოსვლის შედეგად საქართველოში, როგორც რუსეთის იმპერიის ამიერკავკასიის რეგიონის ცენტრში, აღზევებული **ნოე ჟორდანია** რუსეთის იმპერიის ეროვნებით ქართველი წარმომადგენელი იყო მხოლოდ. რომ არა იმავე წლის ოქტომბერში (ახალი სტილით 7 ნოემბერი) ბოლშევიკური გადატრიალება რუსეთში, ჟორდანია და ქართველი მენშევიკები აზრადაც არ გაივლებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

1921 წლის სისხლიანი ამბებიც, ქართველი თავად-აზნაურების შვილების, „იუნკრებად“ ცნობილი მეომრების, დაპირისპირებაც რუსეთიდან შემოჭრილ სამხედრო აგრესორებთან სინამდვილეში სწორედ მენშევიკ-ბოლშევიკთა შეიარაღებული პოლიტიკური „საქმის გარჩევა“ იყო მხოლოდ და არა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა.

ანუ ეს იყო იმის შედეგი, რომ რუსეთის სათავეში მოექცა ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც დაპირისპირებული იყო საქართველოს სათავეში მოქცეულ პოლიტიკურ ძალასთან და რა ხელშეკრულებები და „ურთიერთაღიარებებიც“ უნდა დაედოთ ერთმანეთთან **ვლადიმერ ლენინსა** და ნოე ჟორდანიას, ადრე თუ გვიან საქართველოს ძალიასმიერი გზით „გაწითლება“ გარდაუვალი იქნებოდა.

მე არ ვიჭერ არც „ბოლშევიკების“ და არც „მენშევიკების“ მხარეს. უბრალოდ, იმას ვამბობ, რომ, რუსეთსა და საქართველოში ხელისუფლების სათავეებთან ერთი მიმართულების პოლიტიკური ძალები რომ მოსულიყვნენ, საქართველოსთვის, განსაკუთრებით ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მხრივ, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუნდაც რუსეთის ხელისუფლების სათავეში კერენსკისა და მის მენშევიკებს თავი შეენარჩუნებინათ და ბოლშევიკებთან არ დამარცხებულიყვნენ. მაგრამ, **ვინაიდან რუსეთი „გაწითლდა“, ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს „თეთრების“ მთავრობას, ეროვნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, უნდა დაეთმო პოზიციები. ამ შემთხვევაში ქვეყანა უამრავ უარყოფით და საზარალო შედეგს აირიდებდა თავიდან.**

თუმცა „თეთრმა“ ქართველებმა ეს არ გააკეთეს და ვითომდა „პატრიოტული“ მოტივით კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწიეს „წითლებს“. ხაზს ვუსვამ — „ეროვნულად“ მონათლული შეიარაღებული წინააღმდეგობა სინამდვილეში პოლიტიკური წინააღმდეგობა იყო, თორემ, რუსეთის სათავეში „თეთრები“ რომ დარჩენილიყვნენ, ქართველ „თეთრებსაც“ მიავიწყდებოდათ პარიოტიზმი და სრულიად ბედნიერად დარჩებოდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

**როგორ ფიქრობთ, გვეზეიმება კი ან 1918 წლის 26 მაისი და ან 1991 წლის 9 აპრილი — დღეები, რომლებიც არა რეალური დამოუკიდებლობის, არამედ ამ დამოუკიდებლობის მხოლოდ ფორმალური გამოცხადების თარიღებია?**

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მათ ადგილზე ქართველი „წითლებიც“ სწორედ ასე მოიქცეოდნენ, ანუ ქართველი გინდ „თეთრებისა“ და გინდაც „წითლების“ ნაბიჯებსა და გადაწყვეტილებებს პოლიტიკური მოსაზრებები განაპირობებდა და არა ეროვნული. შესაბამისად, **1918 წელს გამოცხადებული დამოუკიდებლობაც მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკური რუსეთის ჯიბრზე გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯი იყო და არა რეალური ეროვნული თვითგამოხატვის აქტი. „თეთრი რუსეთის“ შენარჩუნების შემთხვევაში, დამოუკიდებლობის აქტს არც კი მიიღებდნენ.** აქედან გამომდინარე, მართლაც უნდა დავფიქრდეთ, საზეიმოა თუ არა ეს დღე ჩვენთვის.

ცოტა სხვაგვარად, მაგრამ პრინციპში ანალოგიურადაა საქმე 1991 წლის 9 აპრილის შემთხვევაშიც.

იმ პერიოდის მოვლენების მიუკერძოებელი შეფასება და წყაროების გაანალიზება იძლევა დასკვნის საფუძველს — **საბჭოთა კავშირის დაშლა და მასში შემავალი რესპუბლიკების დამოუკიდებლობის გამოცხადება-აღიარება „ზევით“ იყო გადაწყვეტილი.** ამას მხოლოდ ის ფაქტიც ადასტურებს, რომ შუა აზიის რესპუბლიკებს, რომლებსაც დამოუკიდებელი სახელმწიფოები არასოდეს ჰქონიათ, ლამის ძალით გამოაცხადებინეს დამოუკიდებლობა. კრემლიდან ჩასული ემისრები იქით ეხვეწებოდნენ ყირგიზეთს, ტაჯიკეთსა და შუა აზიის სხვა რესპუბლიკებს, რომ დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ, ხოლო **საბჭოთა კავშირიდან გასვლისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გარდაქმნის შესახებ 15 რესპუბლიკიდან პირველმა თვით რუსეთმა განაცხადა.**

ფაქტია, ე.წ. ეროვნული მოძრაობის ერთიან „ფრონტს“ მოწყვეტილმა ზვიად გამსახურდიამ და მისმა გარემოცვამ სცადეს, საბჭოთა კავშირის დანგრევა და საქართველოსთვის დამოუკიდებლობის „მოპოვება“ საკუთარ „დამსახურებად“ წარმოეჩინათ და საბჭოთა კავშირის რეალურად დამშლელ ძალებს უბრალოდ „დაასწრეს“. ისევ და ისევ „ჯიბრთან“, ანუ დამოუკიდებლობის ვიღაცის „ჯინაზე“ გამოცხადებასთან გვაქვს საქმე.

არადა, რომ ეცლიათ, მოვლენები თავისი ბუნებრივი კალაპოტით წასულიყო და, როგორც მართლაც ეროვნული მოღვაწე **მერაბ კოსტავა** მოითხოვდა, ეროვნული მოძრაობის ლიდერები დარჩენილიყვნენ მხოლოდ მაკონტროლებლის როლში და სახელმწიფოს მართვაში უშუალოდ არ ჩარეულიყვნენ, შედეგიც, ალბათ, გაცილებით უკეთესი იქნებოდა ქვეყნისთვის.

დღეს მომავალ თაობას ყურებს უჭედავენ ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის მაგალითით, რომლებმაც საბჭოთა კავშირიდან გასვლის შემდეგ ევროკავშირში გაერთიანებასაც კი მიაღწიეს, მაგრამ არავინ ეუბნება გაუთვითცნობიერებელ ბავშვებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლიდან კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში ბალტიის რესპუბლიკებს ისევ კომუნისტები **(ვიტაუტას ლანდსბერგისი, კაზიმირა პრუნსკენე)** მართავდნენ და მხოლოდ „ხავერდოვანი“ გარდაქმნების შემდეგ გადაიბარეს იქ ხელისუფლება არაკომუნისტურმა ძალებმა. აი, ყოველგვარ პოლიტიკურ გარჩევებზე წინ ეროვნული ინტერესების დაყენების მაგალითი. და არა ის, რაც გამსახურდიამ გააკეთა, როდესაც ქვეყანაში მართლაც დემოკრატიული არჩევნების შედეგად პარლამენტში მეორე ადგილზე გასული კომუნისტური პარტია სრულიად გააქუმა და აკრძალა, რითაც კიდევ ერთ დიდ დაძაბულობის კერას დაუდო საფუძველი „ვილაცების ჯინაზე“. გვახსოვს მისი სრულიად უაზრო გამოთქმაც: **ედუარდ შევარდნაძე უმუშევარი უნდა დავტოვოო!** ასეთმა წინდაუხედავმა „გაჯიბრებებმა“ რა ტრაგიკული შედეგი მოუტანა პირადად გამსახურდიასა და მის ოჯახს, ეს კიდევ ცალკე თემაა, მაგრამ რა დამართა ამ ყოველივემ სახელმწიფოსა და ქვეყანას, ამაზე კარგად გვმართებს დაფიქრება.

ე.წ. ზვიადისტების უმრავლესობა დღემდე სიამაყით იხსენებს გამსახურდიას ცნობილ ფრაზას, როდესაც მან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს გასცა პასუხი კრიტიკულ შენიშვნაზე, ზვიად გამსახურდია მსოფლიო პოლიტიკური დინების საწინააღმდეგოდ ცურავსო. გახსოვთ, ზვიადმა ამაყად უპასუხა: მდინარებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიანო!

ამით დღემდე ტრაბახობენ გამსახურდიას მიმდევარნი.

არადა, მართებული იქნებოდა, გახსენებოდათ **ნოდარ დუმბაძის** „თეთრი ბაირაღების“ პერსონაჟის — ჭიჭიკო გოგოლის მიერ დამნაშავე გამცემლიძისთვის პასუხად ნათქვამი, როდესაც ეს უკანასკნელი თავის დაცვის მიზნით **თომას ჯეფერსონს** იშველიებდა — ადამიანის გონებაზე ძალადობის ნებისმიერი ფორმით გამოვლინების დაუძინებელი მტერი ვიქნებიო მუდამ, ბრძანა ამერიკული დემოკრატიის მამამო. ჭიჭიკო გოგოლი მას არხეინად უპასუხებს: გამცემლიძევ, ჯეფერსონი მაგას რომ ამბობდა, 1-მილიონიანი ჯარი ჰყავდა და 100 იმდენი ადამიანი მხარს უჭერდა კიდევო!

მაშ, მიპასუხეთ: რის იმედად ცდილობდა ზვიად გამსახურდია, არა მკვდარი, არამედ „მოფართხალე“ თევზის ამპლუაში წარდგომოდა მსოფლიოს გიგანტი სახელმწიფოების ლიდერებს? მით უფრო, როდესაც მის წინააღმდეგ უკვე არა მხოლოდ რუსეთი, არამედ მსოფლიოს დემოკრატიის აკვნად წოდებული აშშ-იც კი განეწყო? „მოფართხალე თევზის“ როლი მაშინ შეგიძლია ითამაშო, როდესაც საკითხი პირადად შენ და შენს თავგანწირვას ეხება, მაგრამ, როდესაც შენმა „ფართხალმა“, შესაძლოა, შენი სამშობლო საფრთხის წინაშე დააყენოს, მგონია, რომ ცოტა ნაკლებად გაქვს „ფართხალისა“ და ვაჟკაცობაზე თავის გამოდების უფლება.

და, **როდესაც შენი „ფართხალის“ გამო, მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები (და არა მხოლოდ რუსეთი) ურთიერთშეთანხმებით (დიახ, ეს აშკარად მსოფლიო გიგანტთა შეთქმულებაა საქართველოს წინააღმდეგ) შენს ქვეყანას მართლა „მკვდარ თევზს“ დაამსგავსებენ და უკვე დინების მიმართულებით კი არ გააცურებენ, არამედ, საერთოდ, „მშრალზე“ ამოაგდებენ; როდესაც მინისტრის მერვე მოადგილესაც კი ვერ ნიშნავ „დილმის პოლიტიკურ ბაზასთან“ შეუთანხმებლად და როდესაც შენი აღმაშენებელი მეფის დიად გამარჯვებასაც ვერ აღნიშნავ „ისტორიულ მეგობრად“ გამოცხადებული დაუძინებელი მტრის შიშით...** როგორ ფიქრობთ, გვეზეიმება კი ან 1918 წლის 26 მაისი და ან 1991 წლის 9 აპრილი — დღეები, რომლებიც არა რეალური დამოუკიდებლობის, არამედ ამ დამოუკიდებლობის მხოლოდ ფორმალური გამოცხადების თარიღებია?

**რეალურ დამოუკიდებლობაზე რომ იყოს საუბარი, კი, ბატონო, მაგრამ «გამოცხადების» და «ვერშესრულების» დღის აღნიშვნა, თანაც ასე პომპეზურად, როგორც ეს წელს მოხდა ჩვენი ხელისუფლების მიერ, ცოტა არ იყოს, კომიკური ხომ არ არის?**

**ამერიკის შეერთებული შტატები გვეუბნება, ახალი იარაღი გჭირდებათო და ეს იმის მიუხედავად, რომ ფული არ გვაქვს, მაგრამ შტატებმა აქაც გამონახა გამოსავალი — ფულს გვასესხებს და ამ ფულით თავისივე იარაღს მოგვყიდის. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ამერიკას ყოველთვის ეგულება ისეთი ქვეყანა, რომელსაც ფულს ასესხებს, შემდეგ კი თავის პროდუქციას მიჰყიდის.**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რისთვის სჭირდება საქართველოს ახალი ამერიკული იარაღი, ვის უნდა ეომოს?

## ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ნატოში მიგვიღებენ, მაგრამ არავინ ამბობს, ამ შემთხვევაში რა ბედი ეწევა ოკუპირებულ ტერიტორიებს



**ნამდვილად ვერ გეტყვით, დღეს ზუსტად რამდენია საქართველოს საგარეო ვალი, მაგრამ, ნელ-ნელა 20 მილიარდს რომ უახლოვდება, ფაქტია. ამ პირობებში ახალი ვალის აღება, წესითა და რიგით, დიდი სიფრთხილით უნდა მოხდეს და, რაც მთავარია, უნდა დაგვისაბუთონ, რომ ახალი ვალი აუცილებლობით არის გამოწვეული. არადა, ახლა ირკვევა, რომ ახალი ვალის აღება გადაწყვიტა ხელისუფლებამ და ამ ფულით იარაღის შეძენას აპირებს.**

მოდი, რეალურად შევხედოთ მოვლენებს — ვის შეიძლება ეომოს საქართველო რეგიონში? პირველ რიგში, **რუსეთს**, რომელთანაც განწირულები ვართ; მეორეა **თურქეთი**, რომელთანაც ასევე განწირულები ვართ. რაც შეეხება **სომხეთსა** და **აზერბაიჯანს**, პირველის შემთხვევაში სამხედრო კონფლიქტი ისევ რუსეთთან ომის ტოლფასია, მეორის შემთხვევაში კი — თურქეთთან. რჩება **ირანი**, თუ, რა თქმა უნდა, მოვახერხებთ და არაპირდაპირ მეზობელს ომს გამოვუცხადებთ (ასეთები მოგვიხერხებია?!). ანუ, რა გამოდის: ნებისმიერ შემთხვევაში, ვისთანაც უნდა მოგვიხდეს სამხედრო კონფლიქტი, მარცხისთვის ვართ განწირულნი.

სწორედ ამ ყველაფრის ფონზე, **ამერიკის შეერთებული შტატები გვეუბნება, ახალი იარაღი გჭირდებათო, და ეს იმის მიუხედავად, რომ ფული არ გვაქვს. მაგრამ შტატებმა აქაც გამონახა გამოსავალი — ფულს გვასესხებს და ამ ფულით თავისივე იარაღს მოგვყიდის. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ამერიკას ყოველთვის ეგულება ისეთი ქვეყანა, რომელსაც ფულს ასესხებს, შემდეგ კი თავის პროდუქციას მიჰყიდის.**

„2008 წელს საბოლოოდ ჩვენ დავინახეთ ყველა ის სისუსტე, რომელთა გამოსწორებასაც გარკვეული წლების განმავლობაში ვცდილობდით. მთავარი სიახლე შეიარაღებულ ძალებში რაც გვაქვს, არის ის, რომ ჩვენ არა მარტო სტრუქტურულად შევიცვალეთ, არამედ ვცდილობთ, შევცვალოთ ჩვენი შეიარაღებული ძალების ომის წარმოების პრინციპები. ომის წარმოების პრინციპი, რომელიც მისაღებია ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. ჩვენი შეიარაღებული ძალების მომზადება პირდაპირ მიმართული იქნება იმ საფრთხეების გამკლავებისთვის, რომელიც დღეს საქართველოს წინაშე არსებობს." — განაცხადა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა **ვლადიმერ ჩაჩიბაიამ** ნატოს საპარლამენტოს ასამბლეის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას.

ერთი შეხედვით, **ძალიან უცნაურია ნატოს საპარლამენტო ანსამბლეაზე 2008 წლის ომის გახსენება, მაგრამ რეალურად დღევანდელი სიტუაცია ძალიან ჰგავს იმ პერიოდს, როცა 2008 წელს, კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის საბაბით, მიხეილ სააკაშვილმა სამაჩაბლოში ომი დაიწყო და ტორტის მსუყე ნაჭერივით ჩამოგვაჭრეს ის 150-ზე მეტი სოფელი, რომელიც ახლა ქართველებისგან არის დაცლილი და მავთულხლართის მეორე მხარესაა. მაშინაც, ისევე, როგორც ახლა, გვიკიჟინებდნენ, რომ ნატოსთან, როგორც არასდროს, ახლოს ვართ, გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენი არმია უძლეველი რომ გახდეს, დამატებითი შეიარაღება არ გვაწყენდა, ბალტიისპირეთის ქვეყნების ლიდერები ამბობდნენ, სულ ცოტა გაკლიათო და...**

„მე რამდენჯერმე ვისაუბრე ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე, რომ საქართველო მზად არის ნატოს წევრობისთვის და რიგ შემთხვევებში, უფრო მზად არის, ვიდრე ნატოს წევრი ზოგიერთი ქვეყანა, მაგრამ რუსეთის ფაქტორი ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. სამწუხაროდ, ჩვენ მიმართაც მსგავს არგუმენტებს იყენებდნენ, როდესაც ნატოში 1999 წელს არ მიგვიღეს. იმ დროს ბევრი ექსპერტი დარწმუნებული იყო, რომ ჩვენ მზად ვიყავით ნატოს წევრობისთვის, თუმცა მხოლოდ 5 წლის შემდეგ მიგვიღეს. ნატოს წევრ რიგ ქვეყნებში, რომლებსაც არ დავასახელებ, აწუხებთ ის, რომ რუსეთის პროვოცირება არ მოახდინონ. მე მათ ვუპასუხებდი, რომ რუსეთის ირგვლივ მყოფ ქვეყნებში უსაფრთხოების ნაკლებობა და ვაკუუმი წარმოადგენს ყველაზე დიდ პროვოკაციას", — რამდენიმე დღის წინათ განაცხადა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცეპრეზიდენტმა, ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში, ლიტვის დელეგაციის ხელმძღვანელმა **რასა იუკნევიჩენემ.**

**ახალი შეიარაღების შესყიდვა ხომ არ არის იმის მცდელობა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ხელისუფლებამ აფხაზეთში მოინდომოს კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა, დაგვემართოს ის, რაც 2008 წელს დაგვემართა და შემდეგ უკვე ევროპელმა თუ ამერიკელმა პარტნიორებმა გვითხრან, რომ, რაც მოხდა — მოხდა და ნატოში გვიღებენ მხოლოდ იმიტომ, რომ შევინარჩუნოთ ის, რაც დაგვრჩა და დავივიწყოთ ის, რაც გვქონდა?!**

საქართველოსთვის იარაღის შეძენის პარალელურად, ამერიკა ქურთების შეიარაღებასაც გეგმავს. მოგეხსენებათ, **ქურთების მუშათა პარტია თურქეთში ავტონომიას ითხოვს, თურქეთი ნატოს წევრია და გააფთრებით ცდილობს ქურთების ინტერესების უგულვებელყოფას. ამ დროს კი ამერიკა მათ შეიარაღებას აპირებს და აცხადებს, რომ ქურთები სირიაში ტერორისტების წინააღმდეგ იბრძოლებენ. საინტერესოა, ვინ არის იმის გარანტორი, რომ 18 მილიონი ქურთი, რომლებიც ამჟამად თურქეთ-სირიის ტერიტორიაზე იმყოფებიან, ამერიკულ იარაღს თურქეთს არ მიუტრიალებს?!** თუმცა, სჯობს, ისევ საქართველოს დავუბრუნდეთ...

ნატოს საპარლამენტო ანსამბლეას მმართველ გუნდში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. **ხელისუფლების წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ შორს არ არის დრო, როცა ნატო თავის რიგებში მიგვიღებს, მაგრამ იმას არავინ ამბობს, ამ შემთხვევაში რა ბედი ეწევა იმ ტერიტორიებს, რომლებიც ოკუპირებულია?! ახალი შეიარაღების შესყიდვა ხომ არ არის იმის მცდელობა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ხელისუფლებამ აფხაზეთში მოინდომოს კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა, დაგვემართოს ის, რაც 2008 წელს დაგვემართა და შემდეგ უკვე ევროპელმა თუ ამერიკელმა პარტნიორებმა გვითხრან, რომ, რაც მოხდა — მოხდა და ნატოში გვიღებენ მხოლოდ იმიტომ, რომ შევინარჩუნოთ ის, რაც დაგვრჩა და დავივიწყოთ ის, რაც გვქონდა?!** ხომ არ მოხდება იმასთან შეგუება, რომ დაკარგულს ვეღარ დავიბრუნებთ და აჯობებს, ევროპელებსა და ამერიკელებს დავუჯეროთ? ბოლო წლებია, სულ ასე ვიქცევით — მათი გვჯერა იმიტომ, რომ თურმე ძალა ევროპაშია, ყველაზე სტრატეგიული პარტნიორი ამერიკაა და მათ უნდა ვენდოთ, რადგან ჩვენზე ფიქრით თურმე ვაშინგტონში **ტრამპს** არ სძინავს, გერმანიაში — **მერკელს** და საფრანგეთში — **მაკრონს**... მაგრამ, მაკრონის უძილობას მაინდამაინც ჩვენზე ფიქრს ნუ დავაბრალებთ, 63 წლის ცოლი 39 წლის ქმარს რომ არ აძინებდეს, ჩვეულებრივი ამბავი უნდა იყოს.

და კიდევ ერთი ჩვეულებრივი ამბავი, რომელსაც გვაგუებენ და გვიხსნიან, რომ ეს კარგია; ლუქსემბურგის პრემიერმინისტრი, **ქსავიე ბეტელი** მისივე სქესის წარმომადგენელზე, 38 წლის ბელგიელ არქიტექტორ **გოტიე დესტენეზე** 2015 წელს დაქორწინდა, მას შემდეგ, რაც ლუქსემბურგში ერთნაირსქესიანთა ქორწინება დაკანონდა. ჰოდა, ნატოს მინისტერიალზე ბეტელი „ცოლთან" ერთად იყო ჩამოსული და... ევროპელები და ამერიკელები ამაზეც გვეუბნებიან, კარგიაო და ევროკავშირისკენ თუ ნატოსკენ სავალ გზაზე ერთ-ერთ ბარიერად ასეთ მოვლენებთან შეგუებაც გვაქვს, თუმცა, როგორც გვიხსნიან „პრადვინუტები", თუ გვინდა, ევროპელობა, ეს უნდა ვაღიაროთ. ვაღიაროთ, ბატონებო, მაგრამ ახლა, როცა რუსთაველის წლად გვაქვს გამოცხადებული მიმდინარე წელი, გენიალურ შოთას ეს აფორიზმი გადაგვიკეთეთ: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია..."

**ბესო ბარბაქაძე**



### კლინიკები ვალდებული იქნებიან, მოქალაქეს ყველა შემთხვევაში გაუწიონ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება, თუკი მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება

**ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" კანონსა და „სისხლის სამართლის კოდექსში" დაგეგმილი ცვლილებები.**

სამედიცინო დაწესებულებებს კანონით დაეკისრება ვალდებულება, ყველა შემთხვევაში გაუწიონ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება მოქალაქეს, თუკი მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისთვის გადაუდებელ სამედიცინო დახმარებაზე უარის თქმა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამოიწვევს.



### სააკაშვილს პარტიის რეგისტრაციაზე უარი განუცხადეს

**„უკრაინის იუსტიციის სამინისტრომ ოდესის ოლქის ყოფილ გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს პარტიის რეგისტრაციაზე უარი უთხრა", — განაცხადა სააკაშვილის გუნდის წევრმა ოლგა გალაბალამ.**

გალაბალას თქმით, უკრაინის იუსტიციის სამინისტრომ პარტიის დარეგისტრირებაზე უარი უთხრა სააკაშვილს, დაარეგისტრირა „მიხეილ სააკაშვილის ბლოკი", რომელსაც სააკაშვილთან კავშირი არ აქვს. თავის მხრივ, სააკაშვილმა განაცხადა, რომ უკრაინის ხელისუფლებამ დაარეგისტრირა პარტია, რომლის ხელმძღვანელიც თავს მიხეილ სააკაშვილად ასაღებს. მისივე თქმით, ხელისუფლება გეგმავს, შექმნას „ჯიბის პარტია" მისი სახელით, რათა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმები მიიღოს.

### მშენებარე კორპუსის მე-9 სართულიდან გადმოვარდნის შედეგად ადამიანი დაიღუპა

**30 მაისს თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე მშენებარე კორპუსიდან მუშა გადმოვარდა და დაიღუპა.** დაღუპული 35 წლის გოგი ხვიდანია. მუშების თქმით, გოგი ხვიდანმა მუშაობა ორი თვის წინათ დაიწყო. ის მეცხრე სართულის ხარაჩოზე იდგა და შენობის ფასადზე სამუშაოებს ასრულებდა, როცა გადმოვარდა.

საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო. ეს მუხლი სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას ეხება, რომელმაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. დამნაშავე ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ხუთ წლამდე ვადით ან თავისუფლების აღკვეთით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამ წლამდე ან უამისოდ.

ალსანიშნავია, რომ ამავე ობიექტზე შარშან 26 წლის თემურ გურგენაშვილი დაიღუპა.



შეხვედრა მკითხველთან

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„პოლიტიკური სპექტრი მოსაშორებელია, არც ერთი პოლიტიკოსის დანახვა აღარ უნდა ხალხს. თუკი ვინმე გონებაგახსნილი და ქვეყნის მოყვარული გამოჩნდება, იშორებენ. ქვეყანა ბიძინა ივანიშვილის ფულმა დაღუპა. ჩვენ მისი ფულის მძევლებად ვიქეცით. საქართველოს არ ჰყავს განსხვავებული აზრის მქონე პოლიტიკოსები, ოპოზიციონერები, რომლებიც იტყვიან, რომ სოციალიზმი კარგია, რომლებიც ნატოს, ამერიკას, არასამთავრობოების მითითებებს არ დაემორჩილებიან... არ გვინდა ნატო, ევროკავშირი, ამერიკა! არ ვეთანხმები მათ, ვინც იტყვის, რომ თურქეთი ჩვენი მეგობარია!“**

# «წერთ იმაზე, რასაც ყველა განიცდის, ქართველთა სათქმელს ამბობთ!» — ასე შეხვდნენ კახელები «საქართველო და მსოფლიოს» შემოქმედებით ჯგუფს

**„არა თავისა თვისისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ვჰმუშაკობ, არამედ სიყვარულისთვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნას ივერია საშუალებითა წერილითა სარწმუნოთა“, – წერდა სოლომონ დოდაშვილი, დიდი ქართველი პედაგოგი. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე გვასწავლიდნენ, რომ ის, რაც მნიშვნელოვანია, ჟურნალისტმა საინტერესოდ და სათანდოდ უნდა გადმოსცეს და წარმოაჩინოს. ჟურნალისტიკა არის ამბის თხრობა, რომელსაც თავისი მიზანი აქვს. ეს მიზანი კი ხალხისთვის ინფორმაციის საინტერესოდ და გასაგებად მიწოდებაა. ისე უნდა მიაწოდო ინფორმაცია, რომ ხალხმა მოგისმინოს...**

**სწორედ „საინტერესოდ და სათანადოდ გადაცემული ამბების“ დაფასება იყო 25 მაისს „საქართველო და მსოფლიოს“ შემოქმედებით ჯგუფთან მკითხველთა შეხვედრა კახეთის ორ ქალაქში — გურჯაანსა და თელავში. „გინა ბედნიერებისათვის ვჰმუშაკობ, არამედ სიყვარულისთვის მამულისა“, — ამ სიტყვების შინაარსი გონებითა და გულით შევიგრძენით ამ შეხვედრისას.**

**ყველანაირ ზემოქმედებას გაუძლო — გაგვძარცვეს, დაგვარბიეს, ლამის ქვეყნის მტრებადაც შეგვრაცხეს, მაგრამ ჩვენი შრომა „სიყვარულისთვის მამულისა“ კახეთში შეკრებილი ხალხის თვალებში დავინახეთ. გურჯაანში გაზეთის ერთგულ მკითხველთა ჯგუფი დაგვხვდა. მათ ჩვენი გაცნობა და თავიანთი გულისნადების გადმოცემა სურდათ.**



## „მთავრობას, რომელიც ყველაფერს უცხოელებს უთანხმებს, მთავრობა არ ჰქვია“

**ნუგზარ ნიკოლაიშვილი, გურჯაანის მკვიდრი:**

— მოხარული ვარ „საქართველო და მსოფლიოს“ წარმომადგენლებს რომ გხედავთ. ხალხის სათქმელს ამბობთ, სიმართლეს ღაღადებთ, მხოლოდ თქვენ ახერხებთ, თქვათ ის, რის თქმასაც ბევრი ვერ ბედავს.

გიყურებთ და ვხედავ, რომ კარგი ქართველები ხართ, თამამები, თქვენ იმას ამბობთ, რასაც ხალხი ფიქრობს. თქვენ და ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი სწორედ იმ გზაზე დგახართ, რომელსაც ქვეყნის გადარჩენა შეუძლია.

მოქმედი პოლიტიკური ელიტა მოსაშორებელია, არც ერთი პოლიტიკოსის დანახვა აღარ უნდა ხალხს. თუკი ვინმე გონებაგახსნილი და ქვეყნის მოყვარული გამოჩნდება, ხალხი მას აუცილებლად დაუდგება მხარში.

**ქვეყანა ბიძინა ივანიშვილის ფულმა დაღუპა.** ჩვენ ივანიშვილის ფულის მძევლებად ვიქეცით. საქართველოს არ ჰყავს განსხვავებული აზრის მქონე პოლიტიკოსები, ოპოზიცონერები, რომლებიც იტყვიან, რომ სოციალიზმი კარგია, რომლებიც ნატოს, ამერიკას, არასამთავრობოების მითითებებს არ დაემორჩილებიან. 200 პარტიააა და ყველას ერთნაირი პროგრამა აქვს. ოპოზიციონერად იმას ჩავთვლი, ვინც იტყვის, რომ რუსეთთან ურთიერთობა ქვეყანაში არსებულ უამრავ პრობლემას მოაგვარებს, მათ შორის — წართმეული ტერიტორიების. **არ გვინდა ნატო, ევროკავშირი, ამერიკა! არ ვეთანხმები მათ, ვინც იტყვის, რომ თურქეთი ჩვენი მეგობარია!** საქართველოს მთავრობა არ ჰყავს. მთავრობას, რომელიც ყველაფერს უცხოელებს უთანხმებს, მთავრობა არ ჰქვია. შევარდნაძისდროინდელი გახრწნილი პოლიტიკოსები არაფერში არგიან ქვეყანას... **სააკაშვილმა ისე გააფუჭა ყველაფერი, 100 წელი ველარ გავსწორდებით წელში. ივანიშვილმა ხომ მთლად დაგვამხო თავზე ქვეყანა. მხოლოდ ფულზე ფიქრობს ყველა. რაც ახლა ქვეყანაში ხდება, ყურო, ნუ გაიგონებ...**

სააკაშვილის ცუდმა საქმეებმა ხალხს მოთმინების ფიალა აუვსო. სწორედ ამიტომ მშვიდად, რევოლუციის გარეშე გაუშვეს და მის ადგილზე მოიყვანეს **ივანიშვილი**, რომელსაც სწრაფად გააკეთებინეს ყველაფერი. ივანიშვილი კარგი კაცის სახელით შემოიყვანეს, რაც წინასწარ იყო გათვლილი. მათ, ამ ქვეყნის ნამდვილ მმართველებს, სურდათ, ბიძინა ნამდვილ ქართველად შეგვერაცხა და მიგველო, როგორც გადამრჩენი. ჩვენც ავირჩიეთ და რა შეგვრჩა ხელში? — სააკაშვილის შემცვლელი. თუ კვლავ უცხოელის იმედად დავრჩებით, ყოველთვის შეეცდებიან, თავიანთი ინტერესების გამტარებელი დაგვასვან თავზე ისე, როგორც ეს ბოლო არჩევნებზე გააკეთეს, როცა **პაატა ბურჭულაძის** შემოგდებას შეეცადნენ...

თანამოაზრეები ბევრი გვყავს, ბევრნი ვართ, მაგრამ ჩვენ ვინ გვისმენს?! ქვეყანას სჭირდება კაცი, რომელიც ახალ იდეას შემოიტანს და თანაც გასვრილი არ იქნება. გურჯაანში ბევრია ისეთი, ვინც ფიქრობს, რომ ახალი ძალაა საჭირო.

გურჯაანში ჩამოსვლა გთხოვეთ „საქართველო და მსოფლიოს“ თანამშრომლებს, თქვენი გაცნობა და თქვენთან საუბარი გვინდოდა მიმდინარე პროცესებზე, გულის გადაშლა. მადლობა, რომ ამ მძიმე პერიოდში, მძიმე პოლიტიკურ სიტუაციაში სიმართლის თქმის არ გეშინიათ. თქვენი ვალია, წეროთ სიმართლე; ჩვენი ვალია, მოვისმონოთ და შევიგნოთ. მას შემდეგ, რაც კახეთში ეს გაზეთი გამოჩნდა, ბევრი ადამიანის ცნობიერება შეიცვალა.



## „ბღავილის, ღრიალის, წივილ-კივილის, ზარების დარისხების დროა!“

**ბორის კაკაბაძე, პენსიონერი:**

— „საქართველო და მსოფლიოს“ უდიდესი წვლილი მიუძღვის საზოგადოების გამოღვიძებაში. ვისაც სწორი აზრის მოსმენა სურს, ყველამ უნდა წაიკითხოს „საქართველო და მსოფლიო“. დარწმუნებული ვარ, ამ გაზეთის გამოსვლას ბევრი ქართველი ელოდება და ჩვენ უნდა შევძლოთ გაერთიანება, ერთად დგომა, საქართველოს მტრებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. „საქართველო და მსოფლიოს“ შემოქმედებითი ჯგუფი ყოველდღიურად იბრძვის, რათა სიმართლე სააშკარაოზე გამოიტანოს. დარწმუნებული ვარ, დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. გაზეთი მიგვითითებს სწორი გზისკენ და ერთმანეთთან გვაკავშირებს, მას მეტი არაფერი შეუძლია. ახლა ჩვენ უნდა ვივაჟკაცოთ, ავიყოლიოთ ხალხი. ჩვენ გენში გვაქვს ძალა, რომლითაც გადარჩენას შევძლებთ. ლიდერიც გამოჩნდება ისეთი, როგორიც საჭიროა — პატრიოტი, ვაჟკაცი და საქმის მცოდნე. არიან ამ ქვეყანაში ასეთები, მაგრამ მათ დესტრუქციული ძალები ბლოკავენ, ანტიქართველებს კი ხელს უწყობენ. ერთი შეხედვით, საზოგადოება თითქოს მზად არის, ქუჩაში გამოვიდეს და გააპროტესტოს ქვეყანაში გაუსაძლისი ყოფა, მაგრამ ხანდახან მეჩვენება, რომ ადამიანები უარესის მოლოდინში არიან. იმაზე უარესს კი, რაც ახლა ხდება, ეს ქვეყანა ველარ გადაიტანს, წელში გავწყდებით. **ბღავილის, ღრიალის, წივილ-კივილის, ზარების დარისხების დროა. შინ არ უნდა ვისხდეთ და მშვიდად არ უნდა ვუყურებდეთ ამ ყველაფერს.** მტერი ძლიერია, მაგრამ ჩვენც უნდა გავძლიერდეთ, დრო აღარ ითმენს. არადა, ხალხი თითქოს საღათას ძილშია. მოვიდა ახალი ხელისუფლება, იმედი გვქონდა, რაღაცას შეცვლიდა, მაგრამ უფრო მომწამვლელ ბანგად გვექცა. ძლიერ ძალად უნდა ჩამოვყალიბდეთ. შესაცვლელია ჰიმნიც და დროშაც, დღეს ჩვენი, ქართველების, არაფერი არ არის. ერთად დავდგეთ და შევძლებთ, მსოფლიოს ჩვენი ძალა დავანახვოთ.



## „ეს არის ტრიბუნა ყველა ქართველისა, რომლებიც საღად აზროვნებენ“

**დავით მხეიძე, პუბლიცისტი:**

— საქმე იქამდე მივიდა, რომ ქართველ ერს ფიზიკურ გადარჩენაზე უწევს ფიქრი. წარსულზე საუბარი არაფრის მომტანია, ყველამ იცის, ვინ ვინ არის და რა გზა გამოვიარეთ. ყველას გვესმის და ფაქტია, რომ სისტემა შესაცვლელია. ახალგაზრდები შემოიკრიბეთ, გაზეთი კი შეძლებისდაგვარად დადგება თქვენ გვერდით. ჩვენ ისედაც ვდგავართ ამ ქვეყნის სადარაჯოზე. პუბლიცისტისთვის სასიამოვნო მოსასმენია ის, რასაც ახლა თქვენგან ვისმენ. ასეთ შემთხვევაში ფიქრობ, რომ შენს საქმეს შედეგი მოაქვს. ჩვენს გაზეთს ხშირად ესხმიან თავს, უამრავ სალანძღავ სიტყვას გვკადრებენ. ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში „საქართველო და მსოფლიოს“ ერთი საათი ჰქონდა დათმობილი, მაგრამ დახურეს ეს გადაცემა, აგრეთვე, დახურეს ჩემი გადაცემა „ავი მუსაიფი“. ეს გაზეთი არის ყველას ტრიბუნა, ყველა ქართველის, რომელიც საღად აზროვნებს. ყველას ვაძლევთ საშუალებას, გულისტკივილი გამოთქვას ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

## „საქართველო და მსოფლიოს“ გამოსვლას ველოდებით და მერე ხელიდან ხელში გადადის“

**გუგული ყოინაშვილი, გურჯაანის მკვიდრი:**

— „საქართველო და მსოფლიოს“ გამოსვლას ველოდებით და მერე ხელიდან ხელში გადადის, ასე ვაგებინებთ ინფორმაციას ერთმანეთს. პურის ფული გვიჭირს, შვილო, და გაზეთს, როგორი საინტერესოც უნდა იყოს, ყოველთვის ვერ ვყიდულობთ.

„ობიექტივს“ ვუყურებდი. ბოლო პერიოდში ვხედავ, რომ ნატოს რეკლამას უშვებენ. დავურეკე წამყვან **მერაბ ჭიქაშვილს** და ვუთხარი, — თვალებში „მაზოლები“ გამიჩნდა ამ რეკლამით, არ იცით, რა გველის ნატოში რომ შევიდეთ-მეთქი? პასუხი არ გამცა. ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ, თუ ამ გზით განვაგრძობთ სიარულს, ქართველები სამშობლოში უმცირესობა ვიქნებით.



## „2020 იქნება ცვლილების წელი“

**ირაკლი უზილავა, პოლიტოლოგი:**

— საქართველოში ბოლო 25 წლის განმავლობაში ყოველ 9 წელიწადში ხელისუფლება იცვლება. ეს ხან რევოლუციით ხდება, ხან — ნახევრად რევოლუციით. ერთი სიტყვით, ნეგატიური მუხტი გროვდება და ამას ცხრა წელიწადი სჭირდება, ამიტომ 2020 იქნება ცვლილების წელი, რისთვისაც მზადება ცოტა ადრე დაიწყება. თქვენ აშკარად მესამე ძალას ითხოვთ. მაქვს ასეთი შეკითხვა — 2019 წელს, როდესაც ხელისუფლების შესაცვლელად დაიწყება მოძრაობა, კახეთში არსებობს რესურსი, რომ ახალ, ეროვნულ ძალას რეალურად ამოუდგეს მხარში? ამ შეკითხვას იმიტომ ვსვამ, რომ ახალი ცრუ ეროვნული პარტიები შეიქმნება და კვლავ შეეცდებიან ხელისუფლების ჩანაცვლებას.



## „მხოლოდ რუსეთს შეუძლია ჩვენი გადარჩენა, სხვა აზრი მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს“

**მერაბ ზურაბაშვილი, გურჯაანის მკვიდრი:**

— ხალხი იმედგაცრუებული და დაბნეულია, დარაზმვა სჭირდება. ახალი პოლიტიკური ძალის შექმნა დროის მოთხოვნაა, მოთხოვნაა ისიც, რომ ძალა, რომელიც გამოჩნდება, ქართული სულის მქონე და მკვეთრად ანტიდასავლური უნდა იყოს. გლეხი კაცი ვარ და კარგად ვიცი გლეხკაცის გასაჭირი. ჰაერივით გვჭირდება ბაზარი. **ყოველ წელს ვყრი მოყვანილ მოსავალს. აწარმოეთო, — გვეუბნებიან, დარგეთ, დათესეთო... მუშაობა არავის ეზარება, უბრალოდ, სად გავასაღოთ, არ ვიცით.**

საქართველო რომ აღორძინდეს, სოფლის მეურნეობა უნდა აღდგეს. ყიდვა-გაყიდვით დოვლათი არ იქმნება. ქვეყნის გადასარჩენად ახალი ძალაა საჭირო. **ყველა რაიონში უნდა ვიპოვოთ თანამოაზრეები, არ გვეზარება, წავალთ, შევხვდებით, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მივაწვდით, თვალს ავუხელთ. თქვენგან, ქალაქელებისგან, კი ვითხოვთ, რომ თავკაცი მოვძებნოთ, აღმოვაჩინოთ. ასეთი ადამიანები არსებობენ.**

რეალობას ჩავხედოთ თვალებში. გვიტევენ ყველა მხრიდან, სურთ, პირუტყვებად გვაქციონ, მხოლოდ ეროვნულ ძალას შეუძლია ჩვენი გადარჩენა, სხვა აზრი მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს.

*** გურჯაანიდან თელავში გავემგზავრეთ. საოცრად ლამაზი ადგილი შეერჩიათ ჩვენს დასახვედრად — მეფე ერეკლეს ძეგლთან, მისი სასახლის ახლოს. ეს ადგილი თელავის ცენტრშია, იქ, სადაც უამრავი ადამიანი დადის, მათ შორის, ტურისტები. სიდინჯით გამორჩეულმა კახელებმა ჩვენი იმ ადგილას დახვედრით გამვლელ-გამომვლელის ყურადღება მიიქციეს. ტურისტებმა კი ჩვენთან ერთად ფოტოების გადაღება მოისურვეს...**

▶

# დიდებული გაზეთია „საქართველო და მსოფლიო“, ქართულ, ეროვნულ საწყისებზე დაფუძნებული და სიმართლეს ქადაგებს. განაგრძეთ ამ გზით სიარული. ვამაყობ, თქვენთან ერთად რომ ვსხედვართ ერეკლე მეფის ძეგლთან და მინდა, ამ დიდებული კაცის გზით ვიაროთ.

შეხვედრა მკითხველთან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





## «არ ვარ პრორუსი, არც პროევროპელი, მე ქართველი ვარ და ერეკლეს გზას ვადგავარ. მეფე ერეკლეს პერიოდში ცუდი ვითარება იყო ქვეყანაში, მან ყველას მიმართა დახმარების თხოვნით, მათ შორის, ევროპასაც, მაგრამ არავინ დაგვეხმარა რუსეთის გარდა»

### „ქართველების სულიერი და კულტურული გენოციდი მიმდინარეობს ცრუ ღირებულებების თავსმოხვევით“

**ივანე ბუჩუკური**, თელავის მკვიდრი:

**— დიდებული გაზეთია „საქართველო და მსოფლიო“, ქართულ, ეროვნულ საწყისებზე დაფუძნებული და სიმართლეს ქადაგებს. განაგრძეთ ამ გზით სიარული. ვამაყობ, თქვენთან ერთად რომ ვსხედვართ ერეკლე მეფის ძეგლთან და მინდა, ამ დიდებული კაცის გზით ვიაროთ.**

დღეს ქართველი სამშობლოში დაჩაგრულია. სამაგიეროდ, ხარობს თურქი, არაბი და სხვა უცხოტომელი. საუბრობენ დაკარგული მიწების 20%-ზე, მაგრამ არ ახსენებენ დანარჩენ 80%-ს, რომელსაც ცხვირწინ გვართმევენ. დღეს ქართველების სულიერი და კულტურული გენოციდი მიმდინარეობს ცრუ ღირებულებების თავსმოხვევით.

რუსეთი მართლმადიდებელი ქვეყანაა. დიდი ხნის ჩაგვრის შემდეგ ქართულმა სულმა სწორედ რუსეთთან ურთიერთობით წამოიწია წინ, სწორედ იმხანად გაჩნდნენ ამ ქვეყანაში დიდი ადამიანები, მაშინ შეძლეს ქართველმა გენიოსებმა შექმნა შედევრებისა, რომლებით დღესაც ვამაყობთ.

ისიც სათქმელია, რომ ერეკლე მეფის წმინდანად შერაცხვა მოვითხოვეთ და თავს გვარიდებენ, პასუხს არ გვცემენ...



### „მთავრობას ფულს რატომ ვუხდით ჩვენი ჯიბიდან, თუ ის სხვის დაკრულზე ცეკვავს?“

**გიორგი პაატაშვილი**, თელავის მკვიდრი:

— „საქართველო და მსოფლიო“ არაჩვეულებრივი გაზეთია. სასიხარულოა, ეს გაზეთი რომ გამოდის ამ სიცრუით სავსე გარემოში — არ გეშინიათ, ხმამაღლა თქვათ, რამ ჩაგვაგდო ამ საშინელ დღეში. ხმამაღლა ლაპარაკობთ იმაზე, რომ საგარეო კურსი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ აიღო, დამღუპველია და გადარჩენის შანსი ცოტა გვაქვს. თქვენ წერთ იმაზე, რასაც ყველა განიცდის, გულს ფხანთ მკითხველს, ქართველთა სათქმელს ამბობთ.

გაგვაყიდვინეს ყველაფერი, დაგვაჯერეს, რომ ასე სჯობდა. კილოგრამ საფერავში ლარს გვიხდიან, თვითონ კი 55 დოლარად ყიდიან. დოვლათი როგორ შევქმნათ? სოფლის მეურნეობის გარეშე ცხოვრება შესაძლებელია? ან ევროპაში შესატანი რა გვაქვს, ან ჩვენ ვინ შეგვატანინებს რამეს? ხელოვნურად ჩაგვიკლეს ყველაფრის სურვილი. თავიდანვე იყო ჩაფიქრებული, რომ მიწები უცხოტომელებისთვის მიეყიდათ. გაგვაბრიყვეს, გაგვანადგურეს.

საბანკო პოლიტიკაც გადასახედია, მოსასპობია. მოსახლეობის დიდი ნაწილი უსახლკაროდ დარჩა ბანკის მიზეზით. იმ ოჯახის შვილები ნორმალურები იქნებიან? ქვეყნიდან გააქციეს ადამიანები, მილიონიღა დავრჩით, ქართველს ვგულისხმობ და არა გვარგადაკეთებულებს.

**27 წელიწადი დაგვჭირდა, მივმხვდარიყავით, რომ წყობა, რომელშიც ვცხოვრობდით, გადასაგდები არ იყო.**

**მიყვარს თქვენი გაზეთი და ამის მიზეზი ჟურნალისტებისა და პუბლიცისტების უნიკალურ წერილებთან ერთად სტალინის შესახებ მასალებიც არის.** უდიდესი პიროვნების სახელის განადგურების უფლება მივეცით ქვეყნის მოღალატეებს, ვერ დავიცავით დიდი ქართველი, ქართველი, რომელიც მსოფლიოს აზანზარებდა. სტალინის საქართველო ახლა ყველას ხელწამოსაკრავია. კაცობრიობის ისტორიაში პირველად გამოჩნდა კაცი, რომელმაც მუშასა და გლეხს აგრძნობინა, რომ ადამიანები იყვნენ. დღეს ვხვდებით ჩვენს შეცდომას, მაგრამ გვიანია. **ქართული მიწის გამყიდველი მღვდელი იქნება, ხელისუფლების წარმომადგენელი, ბიზნესმენი თუ ვინც გნებავთ, ყველა დახვრეტილი ეყოლებოდა სტალინს** და მართალიც იქნებოდა.

მხოლოდ პიროვნებების შეცვლა არაფერს გვაძლევს, სისტემა თუ არ შეიცვალა, არაფერი გამოვა. მოვა ვილაც ახალი, ისიც გაფუჭდება, მტრების იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მოექცევა, რადგან ფულს დახარბდება. ამიტომ სისტემა უნდა შეიცვალოს, საგარეო კურსი. ნატოსა და ევროკავშირის ძახილმა სადამდეც მიგვიყვანა, დავინახეთ, გამოცდილება კარგი მივიღეთ — გაჭირვებისას პამპერსები და წყალი გამოგვიგზავნეს. დაგვცინიან, მასხრად გვიგდებენ. საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებას თავის ჭკუაზე გვაცვლევინებენ, თავს გვახვევენ, თუ რამეს დამოუკიდებლად გადავწყვეტთ. არ მესმის, მთავრობას ფულს რატომ ვუხდით ჩვენი ჯიბიდან, თუ ის სხვის დაკრულზე ცეკვავს?! წინა ხელისუფლების წარმომადგენლები, ის სადისტებიც, ილიას გზაზე ლაპარაკობდნენ და ესენიც. კაბინეტებში ილიას სურათები უკიდიათ გვარგადაკეთებულებს, მაგრამ წარმოდგენა არ აქვთ, რას ქადაგებდა ილია...

რუსეთს ვაგინებთ, რისთვის? მეზობელს გამოვცვლით? — ვერა, ამიტომ ურთიერთობის მოგვარებაზე უნდა ვიფიქროთ. ქვეყანაში უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზებს რომ ვეპატიჟებით, ხომ უნდა იფიქროს ვინმემ, რომ ეს ჩვენს მეზობელს არ მოეწონება? რუსეთი თავს იცავს და ჩვენ ჩვენი ხელისუფლების უგუნურებით აშშ-სა და რუსეთს შუა ვიჭყლიტებით.

თუ რუსეთი მტერია, მით უმეტეს, უნდა დაელაპარაკო, მოყვრად რომ აქციო... **თუმცა რა უნდა შეასმინო იმ ქვეყნის ხელისუფლებას, რომელიც ამბობს, ევროკავშირს უნდა ვკითხოთ, რუსეთის პრეზიდენტს დაველაპარაკოთ თუ არაო.**

ფუნქცია დაკარგა საქართველომ. უწინარესად, ფუნქცია გვაქვს შესაძენი, თუ ეს ვერ მოვახერხეთ, ვერ ვიარსებებთ. არ ვარ პრორუსი, არც პროევროპელი, მე ქართველი ვარ და ერეკლეს გზას ვადგავარ. მეფე ერეკლეს პერიოდში ცუდი ვითარება იყო ქვეყანაში, მან ყველას მიმართა დახმარების თხოვნით, მათ შორის, ევროპასაც, მაგრამ არავინ დაგვეხმარა რუსეთის გარდა. თითქმის ნახევარი მილიონი ქართველი ვიყავით დარჩენილი, როდესაც გეორგიევსკის ტრაქტატი გაფორმდა. ეს რომ არ მომხდარიყო, ლეკები ტომრებით გაგვიყვანდნენ აქედან. ასე რომ, ერეკლე მეფეზე ჭკვიანური ნაბიჯი ცოტას თუ გადაუდგამს. კომუნისტები რომ წავიდნენ, 5,5 მილიონი ვიყავით... რუსეთმა ორჯერ გაგვაერთიანა, ფიზიკურად გადაგვარჩინა და დღეს ოკუპანტი უნდა დავუძახოთ?! **თურქთან ვიმეგობრო და რუსი მტრად შევრაცხო?** თურქმა არ შეიძლება მითხრას, დიდგორობა აღვნიშნო თუ კრწანისობა... საქართველოს ხელისუფლებას ან ტვინი არ აქვს, ან გამყიდველია.

მინდა, კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა „საქართველო და მსოფლიოს“. ძალიან მომწონს თქვენი ყველა რესპონდენტი, თითოეული მათგანი ისე გყავთ შერჩეული, რომ ყველა ქართველის სათქმელს ამბობს, შესანიშნავები ხართ ჟურნალისტებიც, რადგან ზუსტად იმ შეკითხვებს სვამთ, რომლებიც ხალხს გულს ფხანს. გთხოვთ, ყურადღება გაამახვილოთ 1921 წელზე, რა მდგომარეობა იყო იმხანად საქართველოში, როგორ იყო დანაწევრებული. გაციებულ ანგლოსაქსებთან ყოფნა ქართველებს არ გვინდა. ეს ყველამ გაიგოს. დენთის სუნი ტრიალებს ქვეყანაში და კახეთი ყველაფრისთვის მზად არის.

**ემოციური საუბრის შემდეგ თელაველებმა სტალინის მამის — ბესარიონ ჯუღაშვილის — საფლავის მონახულება შემოგვთავაზეს.** საღამო კახური, მადლიანი სუფრით დასრულდა. გვიმასპინძლა საამაყო თელაველმა, აკადემიკოსმა ედიშერ მამუკელაშვილმა. მასთან საუბრისას მივხვდით, ვისი გავლენა იგრძნობოდა გულანთებულ კახელებში, ვინ შთააგონებდა მათ, რა უნდა აკეთონ.

## «რუსეთს ვაგინებთ, რისთვის? მეზობელს გამოვცვლით? — ვერა, ამიტომ ურთიერთობის მოგვარებაზე უნდა ვიფიქროთ»



### „რა ქართველები ხართ, რა სული გაქვთ, რომ თქვენი სახელმწიფოს ძირითად კანონს სხვას აკონტროლებინებთ?!“

**ედიშერ მამუკელაშვილი**, აკადემიკოსი:

— ჩემი ყველაზე დიდი გულისტკივილია საქართველოს მომავალი. საით მიდის საქართველო? ვინ არის ის, ვისაც ხელი ჩაუკიდია და მიჰყავს?

გვეუბნებიან, თავისუფალი ხართო, არადა, ხელისუფლების თქმით, კონსტიტუციას ვერ დაამტკიცებს, თუ ევროპამ არ დაადასტურა მისი სიზუსტე, ვენეციის კომისიამ თუ არ აღიარა. ვეკითხები მათ: **რა ქართველები ხართ, რა სული გაქვთ, რომ თქვენი სახელმწიფოს ძირითად კანონს სხვას აკონტროლებინებთ?**

არავის სურს, ხალხის ხმას, მისი გულისცემას მოუსმინოს.

მოვლენები შევაფასოთ ისე, როგორც არის, თავისი დადებითი და უარყოფითი მომენტებით. ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი გვეუბნება, რომ საქართველო რუსეთის კოლონია იყო, მონა. გადავხედოთ 1921-დან 1990 წლამდე განვლილ პერიოდს და სინამდვილე დავინახოთ. დიდ რუსეთს სტალინი მართავდა, ადამიანებზე მაღლა მდგომი ადამიანი. ნუთუ მისი მმართველობის პერიოდში დიდ რუსეთს პატარა საქართველოსთვის რაიმეს გაბედვა შეეძლო?

საქართველოს საკმარისი ბიუჯეტი არასოდეს ჰქონია, ჩვენი ქვეყანა საკავშირო დოტაციაზე იყო, დიდი რუსეთი ინახავდა პატარა საქართველოს, თანაც — საუკეთესოდ. ყველაფერი ტყუილია, რასაც უცხოელები სტალინზე გვეუბნებიან.

ვის სასიამოვნოდ ქადაგებენ ჩვენი პოლიტიკოსები, რომელ ნატოში შედიან, იქ, სადაც დახმარებისთვის საწევროს ფული უნდა გადავიხადოთ და თან არც ვიცით, დაგვეხმარებიან თუ არა? ჩვენ არ გვაქვს განცდა, რომ დამოუკიდებელი ქვეყნის მოქალაქენი ვართ. დღეს, პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, არის ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის.

**მოამზადა**
**ეკა ნასყიდაშვილმა**



## საკონსტიტუციო პროექტის განხილვაზე «ევროპული საქართველოსა» და «ქართული ოცნების» მხარდამჭერები ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ

**საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში საკონსტიტუციო პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვაზე ერთმანეთს „ევროპული საქართველოსა“ და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები სიტყვიერად დაუპირისპირდნენ.**

დაპირისპირება ძირითადად ამ პოლიტიკური პარტიების საქმიანობას ეხებოდა. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები „ევროპულ საქართველოს“ „ნაციონალური მოძრაობის“ წარსულზე მიუთითებდნენ და ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდს ახსენებდნენ. ხოლო „ევროპული საქართველოს“ მხარდამჭერები „ქართულ ოცნებას“ უმოქმედობაში ადანაშაულებდნენ.

სიტყვიერი დაპირისპირება ორი პარტიის მხარდამჭერებს შორის კითხვა-პასუხის დროს დაიწყო. ამის გამო კითხვა-პასუხის რეჟიმი რამდენჯერმე შეწყდა.



## ბიზნესმენისთვის ფულის გამოძალვის ბრალდებით 2 პირი დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დიდი ოდენობით თანხის გამოძალვის ბრალდებით 1958 წელს დაბადებული რ.ჟ. და 1983 წელს დაბადებული ბ.ჯ. თბილისში, შარტავას ქუჩაზე, დააკავეს.**

„გამოძიებით დადგინდა, რომ რ.ჟ. და ბ.ჯ. ერთ-ერთ ბიზნესმენს სიცოცხლის მოსპობის მუქარით 200 ათას აშშ დოლარს სძალავდნენ. სამართალდამცველებმა ბრალდებულები მანამდე დააკავეს, სანამ ბიზნესმენი მათ მოთხოვნილ თანხას გადასცემდა“, — ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

«ბლუხას» შესაძლებლობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე „ქართული ოცნება“ ხალხს ჰპირდებოდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა რუსეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლად, რაც ხელს შეუწყობდა ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობის გაუმჯობესების სურვილი არაერთხელ მკაფიოდ გამოხატეს რუსეთის ხელისუფლების პირველმა პირებმა, საქართველოს ხელისუფლება არაფერს აკეთებს ამ მიმართულებით, პირიქით — ამერიკელი პატრონების შიშით დაზაფრული, ცდილობს, რაც შეიძლება შორს დაიჭიროს თავი რუსეთისგან. ასე მოხდა სტამბოლშიც, როცა „ბლუჯა-ბლუჯა“ მინისტრმა ხელიდან გაუშვა ხელსაყრელი შემთხვევა, რუსეთის პრემიერს საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს საკითხზე დალაპარაკებოდა.**

# პატრონების შიშით დაზაფრული ვიცეპრემიერი

## «ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო»

**საქართველოს ხელისუფლება ე.წ. სტრატეგიული მეგობრის — აშშ-ის შიშით დამოუკიდებლად ნაბიჯს რომ ვერ დგამს და, საქართველოს კი არა, უცხო ძალების ინტერესების დაცვით არის დაკავებული, კიდევ ერთხელ გამოჩნდა სტამბოლში რამდენიმე დღის წინათ გამართულ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის საიუბილეო სამიტზე, სადაც ჩვენი ქვეყნის ვიცეპრემიერს, ფინანსთა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილს, რომელსაც ხალხმა „ბლუჯა“ შეარქვა, შესაძლებლობა მიეცა, საქართველოს საჭირბოროტო საკითხებზე დალაპარაკებოდა რუსეთის პრემიერმინისტრ დიმიტრი მედვედევს, მაგრამ ქუმსიშვილმა ეს არ გააკეთა, რადგან ამერიკელი პატრონებისგან დატუქსვის შეეშინდა.**



შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) დაარსების 25-ე წლისთავის გამო 22 მაისს სტამბოლში გაიმართა BSEC-ის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა სამიტი, რომელშიც საქართველოს დელეგაციასთან ერთად მონაწილეობდნენ საბერძნეთისა და მოლდოვას პრეზიდენტები, აზერბაიჯანის მილიმეჯლისის (პარლამენტი) თავმჯდომარე, რუსეთის ფედერაციის პრემიერმინისტრი, ბულგარეთის ვიცეპრეზიდენტი, საქართველოს პირველი ვიცეპრემიერი, ფინანსთა მინისტრი **დიმიტრი ქუმსიშვილი**, სერბეთისა და უკრაინის ვიცეპრემიერები, რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ალბანეთისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრების პირველი მოადგილეები.

საიუბილეო სამიტზე მიიღეს დეკლარაცია, რომელშიც კიდევ ერთხელ ჩაიწერა BSEC-ის წევრი ქვეყნების მიერ გაეროს წესდებით, ჰელსინკის დასკვნითი აქტითა და პარიზის ქარტიით გათვალისწინებული პრინციპებისა და წესების დაცვით მხარდაჭერა...

**სამიტის მონაწილეთა ე.წ. პროტოკოლურმა ფოტომ, რომელზეც დიმიტრი ქუმსიშვილი რუსეთის პრემიერმინისტრ დიმიტრი მედვედევის გვერდით დგას, საქართველოში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, — როგორ გაბედა ქუმსიშვილმა ოკუპანტი ქვეყნის პრემიერ მინისტრის გვერდით დადგომაო. „ბლუჯა-ბლუჯა“ მინისტრმა კი, რომელსაც ლარის დანახვაზე „ტანში ჟრუანტელი უვლის“, თავი იმართლა: „არ ყოფილა არანაირი შეხვედრა, რაც შეეხება ფოტოს, ეს იყო პროტოკოლური ფოტო, ჩვენ, ყველანი, შეგვიყვანეს იმ ადგილას და დაგვაყენეს“.**

ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე „ქართული ოცნება“ ხალხს ჰპირდებოდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა რუსეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლად, რაც ხელს შეუწყობდა ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობის გაუმჯობესების სურვილი არაერთხელ მკაფიოდ გამოხატა რუსეთის ხელისუფლების პირველმა პირებმა, საქართველოს ხელისუფლება არაფერს აკეთებს ამ მიმართულებით, პირიქით, ამერიკელი პატრონების შიშით დაზაფრული, ცდილობს, რაც შეიძლება შორს დაიჭიროს თავი რუსეთისგან. ასე მოხდა სტამბოლშიც, როცა „ბლუჯა-ბლუჯა“ მინისტრმა ხელიდან გაუშვა ხელსაყრელი შემთხვევა რუსეთის პრემიერს საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს საკითხზე დალაპარაკებოდა.

თუმცა რა დალაპარაკება-მოლაპარაკება, როდესაც ქუმსიშვილს ვერ (თუ არ) მოუგვარებია პრობლემები საქართველოს მოქალაქეებისა, რომელთა უმრავლესობა უმუშევარია და ბანკის ვალებში იხრჩობა, თვითონ ფინანსთა მინისტრს კი მევახშე ორგანიზაციაში აქვს წილი და ამ წილის მეშვეობით საკმაო შემოსავალსაც იღებს...

ნათქვამია: „ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო“...

**ლუკა მაისურაძე**

**ცნობისთვის: შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (ინგლ. Black Sea Economic Cooperation, აკრონიმი BSEC ბისეკი) შეიქმნა 1992 წლის 25 ივნისს თერთმეტი ქვეყნის სახელმწიფოს მეთაურთა მიერ სტამბოლის სამიტის დეკლარაციისა და ბოსფორის შეთანხმების ხელმოწერით. ორგანიზაციის მიზანი მრავალმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ინიციატივების მხარდაჭერა და წევრ ქვეყანათა შორის ინტეგრაციისა და ჰარმონიული თანაარსებობის წახალისებაა შავი ზღვის რეგიონში. 1999 წლის 1 მაისს, ბისეკის ქარტიის ძალაში შესვლის დღიდან, ორგანიზაციამ საერთაშორისო იურიდიული პირის ძალაუფლება მიიღო და სრულუფლებიან რეგიონულ ეკონომიკურ ორგანიზაციად გარდაიქმნა. 2004 წლის აპრილში ორგანიზაციაში სერბეთის შესვლით წევრთა რაოდენობა 12-მდე გაიზარდა. ორგანიზაცია მჭიდრო კავშირშია შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკთან — საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტთან, რომლის შტაბ-ბინა სალონიკში მდებარეობს.**



**სამიტის მონაწილეთა ე.წ. პროტოკოლურმა ფოტომ, რომელზეც დიმიტრი ქუმსიშვილი რუსეთის პრემიერმინისტრ დიმიტრი მედვედევის გვერდით დგას, საქართველოში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, — როგორ გაბედა ქუმსიშვილმა ოკუპანტი ქვეყნის პრემიერ მინისტრის გვერდით დადგომაო. «ბლუჯა-ბლუჯა» მინისტრმა კი, რომელსაც ლარის დანახვაზე «ტანში ჟრუანტელი უვლის», თავი იმართლა: «არ ყოფილა არანაირი შეხვედრა, რაც შეეხება ფოტოს, ეს იყო პროტოკოლური ფოტო, ჩვენ, ყველანი, შეგვიყვანეს იმ ადგილას და დაგვაყენეს»**

# კომერციულმა ბანკებმა 3 თვეში 162,6 მილიონი ლარის ქონება დაისაკუთრეს

**კომერციული ბანკების მიერ დასაკუთრებულმა უძრავ-მოძრავმა ქონებამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში 12.4 პროცენტით მოიმატა. კომერციული ბანკების ანგარიშგებების მიხედვით, 2017 წლის პირველ კვარტალში ბანკებმა 162 660 940 ლარის უძრავი და მოძრავი ქონება დაისაკუთრეს, რაც 18 003 590 ლარით მეტია 2016 წლის პირველი კვარტლის მონაცემებზე.**



2017 წლის პირველ კვარტალში სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ 4 905 863 ლარი დაისაკუთრა (2016 წლის ანალოგიურ პერიოდში — 9 995 331 ლარი), სს „ტერაბანკმა“ — 10 707 118 ლარი (2016 წლის ანალოგიურ პერიოდში — 11 226 735 ლარი), სს „ბანკი ქართუმ“ — 16 366 700 ლარი (5 223 198 ლარი), სს „საქართველოს ბანკმა“ — 65 247 470 ლარი (60 400 288 ლარი), სს „სილქ როუდ ბანკმა“ — 1 647 918 ლარი (3 889 906 ლარი), სს „თიბისი ბანკმა“ — 47 034 119 ლარი (42 422 840 ლარი), სს „ლიბერთი ბანკმა“ — 115 602 ლარი (476 723 ლარი), სს „ბანკი რესპუბლიკამ“ — 10 516 434 ლარი (6 298 150 ლარი), სს „ბაზისბანკმა“ — 4 517 590 ლარი (4 548 679 ლარი), სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკმა — საქართველო“ — 840 000 ლარი, სს „ხალიკ ბანკი საქართველომ“ — 339 465 ლარი, სს „ფინკა ბანკი საქართველომ“ — 184 933 ლარი (175 500 ლარი), სს „კრედო ბანკმა“ — 237 728 ლარი.

„პირველი საკრედიტო კავშირის“ ხელმძღვანელის — გივი კორინთელის განცხადებით, ფიზიკური პირების ქონებას ბანკი იშვიათ შემთხვევებში ისაკუთრებს. რეალურად ეს იურიდიული პირების ქონებაა, რომელიც გაიქვითა ან აუქციონზე გაიყიდა.

**ჯეჯელავა უმუშევრობის „დაგენერირების“ თავიდან ასაცილებლად „დაგუგვლით“ იოლი სწავლისკენ, უფრო ზუსტად, უსწავლელობისკენ მოუწოდებს (პროფესიული განათლების მიღებისკენ მოწოდება მეტი არაფერია) ქართველ ახალგაზრდებს და არაფერს ამბობს პედაგოგების დაბალ კვალიფიკაციაზე, უვარგის სახელმძღვანელოებზე, ე.წ. საგანმანათლებლო რესურსცენტრების უეფექტობაზე და ა.შ.**

სისტემის კრახი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მხოლოდ განათლება იყო და არის წყარო ყოველგვარი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისა“.

*აკაკი წერეთელი*

# «რეფორმირებული» განათლების სისტემის შედეგი — 11 ათასი მოსწავლე საატესტატო გამოცდებზე ჩაიჭრა

**განათლების სისტემას, ამ უმნიშვნელოვანეს სფეროს ნებისმიერი ერისთვის, უკვე წლებია, საქართველოში ნორმალური ხელმძღვანელი არ ჰყოლია.**
**შეგახსენებთ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე სხვადასხვა პერიოდში იყვნენ: ალექსანდრე ლომაია, გია ნოდია, ნიკა გვარამია, დიმიტრი შაშკინი, ხატია დეკანოიძე, გიორგი მარგველაშვილი, თამარ სანიკიძე, ამჟამად კი განათლების სისტემას ქართულ ზღაპრებსა და საზეპიროებთან მებრძოლი, „დაგუგვლის“ მოყვარული და „ფრთიანი ფრაზებით“ განთქმული ალექსანდრე ჯეჯელავა ხელმძღვანელობს. აი ამ ადამიანების მიერ „რეფორმირებული“ განათლების სისტემის ნაყოფია ის, რაც ახლახან შეიქნა ცნობილი: XII კლასის საატესტატო გამოცდებზე საჭირო ზღვარი 11 ათასმა მოსწავლემ, თითქმის მესამედმა, ვერ გადალახა...**



„დაახლოებით 11 ათასი მოსწავლეა, რომლებმაც ვერ გადალახეს გამოცდების ზღვარი. ტექნიკური საგანი უფრო უჭირთ, ვიდრე სხვა საგნები. ისმის ჩივილები, რომ პროგრამას არ ემთხვეოდა გამოცდის შინაარსი, მაგრამ ეს ასე არ არის. კომპიუტერებით ადაპტირებული ტესტირება იმას გულისხმობს, ზუსტად სტანდარტული ამოცანებით კი არ მიდის პროცესი, არამედ მოწმდება, ცოდნის გამოყენება რამდენად შეუძლია მოსწავლეს“, — განაცხადა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **ალექსანდრე ჯეჯელავამ**, რომელიც ამ კატასტროფულ შედეგში, საატესტატო გამოცდებში 11 ათასი მოსწავლის ჩაჭრაში, ყველას ადანაშაულებს, საკუთარი თავისა და იმ სისტემის გარდა, რომელიც მან და მისმა წინამორბედმა მინისტრებმა შექმნეს.

**საატესტატო გამოცდებზე 11 ათასი ბავშვის ჩაჭრა ისეთი მცირერიცხოვანი ერისთვის, როგორიც ქართველი ერია, კატასტროფის ტოლფასია, რადგან განათლებული თაობის გარეშე ერი, ქვეყანა განწირულია დასაღუპავად. ამიტომ სასწრაფოდ არის შესაცვლელი განათლების სისტემა, თანაც საფუძვლიანად — მინისტრ-პედაგოგებიანად, თუმცა აქაც, ისევე, როგორც ყველა სფეროში, კადრების დეფიციტია.**

ჯეჯელავა კი გამოსავალს პროფესიული განათლების პოპულარობის მომატებაში ხედავს (ტექსტს უცვლელად გთავაზობთ — ნ.კ.):

„ჩვენთან უმაღლესი განათლების გადაჭარბებული პოპულარობაა. მიუხედავად იმისა, ახალგაზრდა კარგად სწავლობს, ცუდად სწავლობს, ავლენს აკადემიურ უნარებს, არ ავლენს, მაინც ცდილობს, რომ სრული 12 კლასის ატესტატი მიიღოს და უმაღლესში გააგრძელოს სწავლა. ამ შემთხვევაში გერმანიასთან განსხვავება ის არის, რომ ბავშვები, რომლებიც იქ ვერ ჩააბარებენ გამოცდას, აღარ გადიან მასზე და ირჩევენ ალტერნატივას. გრძელვადიან პერსპექტივაში, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენთან პროფესიული განათლების პოპულარობა იზრდება, ყოველ წელს მეტი ახალგაზრდა გადაწყვეტს, რომ მეტი ენერგია დაახარჯონ პრაქტიკულ უნარებს, რაც შრომით ბაზარზე გამოადგებათ. რაც უფრო მეტი მოსწავლე შეეცდება, რომ წავიდეს პრაქტიკული უნარების განვითარების მიმართულებით, მით ნაკლები იქნება ეს პრობლემა. ჩვენ გვაქვს სისტემა, რომელიც უმუშევრობას თავიდანვე აგენერირებს“, — განაცხადა ჯეჯელავამ, რომელიც უმუშევრობის „დაგენერირების“ თავიდან ასაცილებლად, „დაგუგვლით“ იოლი სწავლისკენ, უფრო ზუსტად, უსწავლელობისკენ მოუწოდებს (პროფესიული განათლების მიღებისკენ მოწოდება მეტი არაფერია) ქართველ ახალგაზრდებს და არაფერს ამბობს პედაგოგების დაბალ კვალიფიკაციაზე, უვარგის სახელმძღვანელოებზე, ე.წ. საგანმანათლებლო რესურსცენტრების უეფექტობაზე, უმაღლესი განათლების ხარისხზე და ა.შ.

**აღსანიშნავია, რომ ზემოჩამოთვლილმა მინისტრებმა განათლება სწორედ იმ განათლების საბჭოურ სისტემაში მიიღეს, რომლის „რეფორმირებასაც“ ასე გამწარებით ცდილობენ დღეს.**



აი არასრული ჩამონათვალი საბჭოთა განათლების სისტემაში განათლებამიღებული მეცნიერებისა, რომლებიც დღეს უცხოეთში წარმატებით მოღვაწეობენ:

**ლეო ბოკერია** — კარდიოქირურგი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

**სოსო ნანობაშვილი** — სისხლძარღვთა ქირურგი, ვენის (ავსტრია) სამედიცინო უნივერსიტეტისა და ვენის კერძო კლინიკების ქირურგი, პროფესორი;

**გია დვალი** — ნიუ-იორკის უნივერსიტეტისა და მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის პროფესორი თეორიულ ფიზიკაში. მუშაობს ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის განხრით და მონაწილეობს ადრონული კოლაიდერის ექსპერიმენტში (CERN);

**ირაკლი მინაშვილი** — ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის — CERN -ის ასოცირებული წევრი და ატლას ექსპერიმენტის კალორიმეტრის მომსახურების ჯგუფის ხელმძღვანელი;

**ანდრო კაჭარავა** — იულიხის კვლევითი ცენტრის (გერმანია) ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტში კოლაბორაციის სპიკერი;

**მერაბ კოკაია** — პროფესორი ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) ნევროლოგიურ განყოფილებაში;

**თეა კეკელიძე** — ნოვარტისის ბიოსამედიცინო კვლევების ტრანსნაციონალური ფარმაცევტული კომპანიის ინსტიტუტების სამეცნიერო ურთიერთობებისა და სამეცნიერო განხილვების უფროსი;

**ვასილ ჯორჯაძე** — ბრუქჰავენის (აშშ) ეროვნულ ლაბორატორიაში მეცნიერ-თანამშრომელი და ერთ-ერთი კონტრაქტორი;

**გაბრიელ ჯინჯიხაშვილი** — The Israel electrics Corporation-ის უფროსი ექსპერტ-ინჟინერი, მისი საქმიანობა გათანაბრებულია დეპარტამენტის უფროსთან;

**დავით ყოლბაია** — ვარშავის უნივერსიტეტში კავკასიოლოგიური მიმართულების ხელმძღვანელი;

**ირაკლი გარიშვილი** — Lawrence Livermore National Laboratory-ის (აშშ) ფიზიკოსი და დოქტორის ხარისხის მფლობელი;

**ალექსი ღონღაძე** — ATLAS-ის ექსპერიმენტის (CERN) ინჟინერ ფიზიკოსი;

**სოფიო პატარაია** — ATLAS-ის ექსპერიმენტის მკვლევარი CERN-ში.

**ალექსი მესტვირიშვილი** — აიოვას უნივერსიტეტის (აშშ) უფროსი მეცნიერი.

**თეიმურაზ ფირაშვილი** — მათემატიკოსი, ლესტერის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) პროფესორი. ჰუმბოლტდის საზოგადოების პრემიის ლაურეატი. საფრანგეთის რიგი უნივერსიტეტების (სტრასბურგი, ნიცა, ნანტი, მონპელიე, პარიზი-13) სადოქტორო დისერტაციების ჟიურის წევრი;

**ალექსანდრე შარმაზანაშვილი** — ATLAS-ის მონტაჟში (CERN) მონაწილე ინჟინერთა ჯგუფის ხელმძღვანელი;

**ზურაბ გუგუჩია** — Paul Scherrer-ის ინსტიტუტის (შვეიცარია) დოქტორი ფიზიკის დარგში.

აი, ამ ადამიანებმა მიიღეს განათლება საბჭოთა პერიოდში, „დამოუკიდებელი“ საქართველოს განათლების მინისტრების „მოღვაწეობის“ შედეგად კი დღეს 11 ათასი მოსწავლე (!) საატესტატო გამოცდებზე ჩაიჭრა...

**ნიკა კორინთელი**

**P.S. დღეს ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად ლაპარაკობენ ილია ჭავჭავაძის გზით სვლაზე, თუმცა საეჭვოა, იცოდნენ, რომელი გზით სიარულისკენ მოუწოდებდა დიდი ილია ქართველ ერს. ამიტომ ამ პოლიტიკოსებს შევახსენებთ ილია ჭავჭავაძის ფრაზას: „ქვეყანა იმით კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონება-გახსნილი, გულ-ანთებული კაცები არა ჰყავს!“**

**„ბოლო პერიოდში კომერციული ბანკების მოგების ზრდა უპირატესად დაკავშირებულია მოსახლეობის ჭარბ ვალთან“, — დაწერა სოციალურ ქსელში ეკონომისტმა მიხეილ დუნდუამ.**

# ბანკის ვალის მქონე მოქალაქეების რაოდენობით საქართველო მსოფლიოში მეორე ადგილზეა

## ყოველი 1000 ადამიანიდან 676-ს ბანკის ვალი აქვს

„საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ კომერციულ ბანკებში დავალიანების მქონე მოქალაქეების რაოდენობით საქართველო მსოფლიოში მეორე ადგილზეა. ჩვენთან ყოველი 1000 ადამიანიდან 676-ს აქვს ბანკის ვალი (2015წ.).

სავალუტო ფონდი ჯერ კიდევ 2013 წლის მონაცემებზე დაყრდნობით შეშფოთებას გამოხატავდა, რომ საქართველოში ყოველი მესამე სესხის ამღები ფიზიკური პირი ყოველთვიურად თავისი შემოსავლის ნახევარზე მეტს ბანკის ვალის მომსახურებისათვის იხდიდა. დღეს ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იქნება.

ფიზიკურ პირებზე სესხის გაცემისას სესხის დაფარვის გრაფიკი ისე უნდა იყოს განაწილებული, რომ მოქალაქე მისი პირადი შემოსავლის 30%-ზე მეტს არ იხდიდეს ყოველთვიურად სესხის დასაფარავად. უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხებისთვის კი ეს ლიმიტი არაუმეტეს 20%-ისა უნდა იყოს.

2012 წლის შემდეგ ეროვნულმა ბანკმა, სამწუხაროდ, შეიძლება ითქვას, განზრახ, სრულიად უყურადღებოდ დატოვა მოსახლეობის ჭარბვალიანობის პრობლემა. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო აქტიური საბანკო სარეკლამო შეთავაზებები: „გთავაზობთ სესხს შემოსავლების დადასტურების გარეშე“. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ევრორეგულაციების მიხედვით, შემოსავლების დადასტურების გარეშე სესხის გაცემა მკაცრ სანქციებს უნდა ექვემდებარებოდეს და სესხის დაფარვის გრაფიკი მოქალაქის შემოსავლის ადეკვატური უნდა იყოს. ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს, რათა საბანკო სექტორი აქტიურად ჩადგეს ეკონომიკის განვითარებისა და არა ჭარბვალიანობის დამძიმების სამსახურში“, — დაწერა დუნდუამ.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დასავლეთი ახალშობილ საბჭოეთს გაერთიანებული ძალით დაესხა თავს 1918 წელს, რათა აკვანში მოეხრჩო თავისუფლებისმოყვარე ჩვილი სახელმწიფო, მაგრამ რკინის ხელებმა ყრმა ულმობელ სიკვდილს გამოსტაცა და თავისუფლების გზაზე დააყენა. დასავლეთი 1941 წელს მეორედ მოადგა კრემლს ამირანის შესაპყრობად, მაგრამ ამირანის ხმალი უკვე ნაწრთობი იყო ცარიცინში. მან მტერი უკუაქცია და ბერლინში, გამდნარი ფოლადის ოკეანეში ჩაახრჩო.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №19 (395)

# სტალინი — მსოფლიო ლიდერთა შორის უპირველესი

**ზოგიერთი მკვლევარი თუ მეცნიერი, ისტორიკოსი თუ ბელეტრისტი, ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ სტალინმა თავისი ნიჭი და მტკიცე ნებისყოფა მას შემდეგ გამოავლინა, როცა „მრისხანე“ ოპოზიციას გაუსწორდა, მანამდე კი ქვეყანაში რეიტინგით III-IV ადგილს იყოფდა კონკურენტებთან. ვფიქრობ, ეს ასე არ არის. 1930-იანი წლების ბოლოს და მანამდეც ქვეყანაში დატრიალებულ პოლიტიკურ ქარტეხილებს სტალინის არაკომპეტენტური „ადვოკატები“ სტალინის საქმის კურსში არყოფნას მიაწერენ და აცხადებენ, რომ სტალინის ზურგს უკან ხდებოდა ყველაფერი ის, რაც მრავალი ათეული წლის განმავლობაში განსჯის საგანია.**

სტალინი პირველი იყო რევოლუციის მომზადებაში, პირველი იყო გადატრიალების მომენტში — 1917 წლის 7 ნოემბერს და პირველობას არავის უთმობდა 1922 წლის აპრილიდან 1953 წლის 2 მარტამდე, ვიდრე სახელმწიფო გადატრიალებას მოაწყობდა შეთქმულთა ბანდა **ხრუშჩოვის, მალენკოვისა** და **მიქოიანის** მონაწილეობით.

დღეს მასონური ლოჟების ხელშეწყობითა და უდიდესი კაპიტალის დაბანდებით ცდილობენ, ჯებირი აღუმართონ სტალინს და მასთან ერთად მსოფლიოს ხალხთა თანასწორუფლებიანობისთვის ბრძოლის მოგუგუნე ტალღას, მაგრამ არ არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია წინ აღუდგეს ბუნების მოვლენებს და შეაჩეროს კაპიტალიზმის ბუნებრივად მომწიფებული ხრწნის პროცესი. **დასავლეთი ახალშობილ საბჭოეთს გაერთიანებული ძალით დაესხა თავს 1918 წელს, რათა აკვანში მოეხრჩო თავისუფლებისმოყვარე ჩვილი სახელმწიფო, მაგრამ რკინის ხელებმა ყრმა ულმობელ სიკვდილს გამოსტაცა და თავისუფლების გზაზე დააყენა. დასავლეთი 1941 წელს მეორედ მოადგა კრემლს ამირანის შესაპყრობად. მაგრამ ამირანის ხმალი უკვე ნაწრთობი იყო ცარიცინში. მან მტერი უკუაქცია და ბერლინში, გამდნარი ფოლადის ოკეანეში ჩაახრჩო.** სტალინის მძიმე ნაბიჯებისგან ცა ქუხდა, მიწა გრგვინავდა. ქვეყანა არნახული სიჩქარით მიჰქროდა თავისუფლების გალაქტიკაში. ბედნიერი ხალხი ვერ ფარავდა სიხარულსა და სიყვარულს თავისი მხსნელი ბელადისადმი. მას უერთდებოდა მსოფლიოს ჩაგრული ხალხი და იყო მოწოდება **„პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!“.**

სიბერითა და ღალატით განწირული ნეშტი მიწამ მიიბარა, სული და სტალინური იდეა კი უკვდავებამ გადაიბარა.

**მკვდრის წინააღმდეგ ამხედრებულმა შინაურმა თუ გარეშე მტრებმა მოინდომეს, აღეგავათ პირისაგან მიწისა სტალინის სახელი და მისი იდეა ადამიანთა თანასწორუფლებიანობისა, მაგრამ, რაც მეტი იყო მცდელობა სტალინის დისკრედიტაციისა, მით უფრო უახლოვდებოდა ადამიანებს ღმერთკაცის იდეები.**

1991 წელს კრემლს მესამედ ეწვია ხმალმომარჯვებული სატანა, რომელმაც განგმირა ხალხებისთვის ბედნიერების მომტანი საბჭოეთი და კიდევ ერთხელ გაუხანგრძლივა მსოფლიო სიმდიდრის მფლობელ ერთეულებს სიცოცხლისუნარიანობა.

სტალინის პოპულარობა სწორედ 1991 წელს დაეცა მინიმუმამდე – 10%-მდე, მაგრამ იმ დღიდან, როგორც მოსკოვიდან ბერლინამდე სდია სტალინმა მტერს, თავისი ბასრი პოლიტიკური მახვილით კვლავაც უტევს სტალინური იდეა დასავლელ ფინანსურ და ფიზიკურ დამპყრობლებს. ამ მახვილის წინაშე კი უძლურია ფინანსები და მასობრივი განადგურების იარაღიც კი.

**სტალინიზმი საფუძვლიანად იკიდებს ფეხს არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ადამიანები ერთმანეთს მოუწოდებენ უოლ სტრიტზე, ტრაფალგარზე, ელისეს მინდვრებზე, ბრანდენბურგის მოედანსა და წითელ მოედანზე გამოსვლისკენ, რათა ერთხმად დაიძახონ — „თავისუფლება მსოფლიოს ხალხებს, სტალინის დროშით წინ, კაპიტალიზმის სრული განადგურებისაკენ!“.**

სტალინი პირველი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებაში, პირველი იყო მისი დროის მსოფლიო ლიდერებს შორის, პირველი იყო კაპიტალიზმის უღლისაგან ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში, პირველი იქნება, ვინც საბოლოოდ დაასამარებს ერთ მუჭა კაპიტალისტებს, რომელთა ხელშიცაა მთელი მსოფლიოს სიმდიდრის ორი მესამედი. სტალინის სახელი იქნება დროშა ხალხთა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გზაზე. **სტალინის გონმა შექმნა სახელმწიფო, რომლის სწორი და ტოლი ჯერ არ შეუქმნია პლანეტაზე მცხოვრები არც ერთი ეროვნებისა და რჯულის ხალხს. სტალინმა გამოხაზა და შემდგომ ხორცი შეასხა იდეას, რომლის აღსრულებაზეც 400 წლის განმავლობაში ოცნებობდნენ უტოპიური სოციალიზმის სათავეებთან მდგომი გენიოსები. „სხვას ვის შეეძლო ამ მადლის პოვნა და ამ სამოთხის კარის გაღება?!“.**

მხოლოდ სტალინს შეეფერება გენიოსი პოეტის — **აკაკი წერეთლის** სიტყვები: „ხან მიწისა ვარ, ხან ცისა“. მხოლოდ ცით მოვლენილ ადამიანს შეეძლო, შეექმნა ამქვეყნიური სამოთხე, რომელშიც იზეიმებდა ჩაგრული ხალხი და მჩაგვრელებზე დიქტატურას განახორციელებდა. მხოლოდ ცითმოვლენილისთვის შეიძლებოდა ეწოდებინათ სხვადასხვა რჯულისა და ერის ადამიანებს „ადამიანთა მოდგმის, ხალხთა მამა“, რაც შესანიშნავად ასახა თავის ლექსში ქართველმა პოეტმა **ნაზი კილასონიამ:**

**„ზანგის გულმაც დაიკვნესა,**
**ერთი მადლი კიდევ ჰქენი,**
**ჯერ ნუ წახვალ, ხალხის მამავ,**
**მონობიდან დაგვიხსენი“.**

დედამიწის მოსახლეობის ორი მესამედი კვლავ სიღატაკის მიღმა ცხოვრობს და მათი რაოდენობა არათუ იკლებს, არამედ განუხრელად იმატებს მოწინავე ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვით — მანქანებმა გამორეკეს მილიონობით მუშახელი ფაბრიკა-ქარხნებიდან და საცხოვრებელი სახლებიდანაც კი. კერძო კაპიტალი დღეს ხალხის მასებისთვის ტიფი, ესპანური გრიპი, შავი ჭირი, ქოლერა და ჟამიანობაა, რომელიც არცთუ შორეულ წარსულში, სტალინის მოსვლამდე, მძვინვარებდა პლანეტაზე. **სწორედ სტალინი იყო ის, ვინც „მშიერს ხმიადი და ტიტველს ტანზე პერანგი“ მისცა, ვინც თითოეულ მშრომელს ოჯახში უფასოდ აუნთო ატომური ჩირაღდანი ჰიროსიმა-ნაგასაკის ნაცვლად; სტალინი იყო ის, ვინც სასკოლო მერხიდან კოსმოსში კაცი აფრინა; სტალინი იყო, ვინც უდაბნო ააყვავა, ვინც 5 ზღვა ერთმანეთთან შეაერთა და ერთ სანაოსნო სისტემად აქცია; სტალინი იყო, ვინც თავისი არწივები მოსკოვიდან ძირს დაუშვებლად ჯერ ჩრდილოეთ პოლუსზე, ხოლო შემდეგ ამერიკის კონტინენტზე გადააფრინა; სტალინი იყო, ვინც დედამიწის ერთ მეექვსედზე ბუნება დაამარცხა და დამწვარ ყამირს სავსე თავთავი დაასხა.** სტალინი გამარჯვების სიმბოლოდ და ძირს დაუხრელ დროშად იქცა ხალხებისთვის. დიდი **ბერნარდ შოუს** სიტყვებით რომ ვთქვათ: **„ყველა ქვეყნის ლიდერი პიგმეაა, ვეფხვ სტალინთან შედარებით“.** სწორედ ამიტომ მიმაჩნია ჭეშმარიტებად „ლევადა ცენტრის“ ხელმძღვანელ **ლევ გუდკოვის** შეფასებაც: **„სტალინი მსოფლიო ლიდერთა შორის უპირველესია“.**

სტალინს ბევრი რამ აშორებს ჩვეულებრივი მოკვდავისაგან და სწორედ ამიტომაც არის მისი სახელი უკვდავი, მაგრამ სტალინის ცხოვრების წესი და ჩვეულება ძალიან უახლოვდება ადამიანურს, რაც მას არა საკრალურს, არამედ მოსაფერებელსა და შესაყვარებელს ხდის ჩვეულებრივი ადამიანისთვის. მე სწორედ ამას მინდა მივაპყრო მკითხველის ყურადღება:

1922 წლის 3 აპრილს **ტროცკის** დაჟინებული მოთხოვნითა და ლენინის თანხმობით, სტალინი ჩამოაშორეს აქტიური რევოლუციური და სახელმწიფოებრივი მართვის ბერკეტებს და გადაიყვანეს საკანცელარიო სამუშაოზე, რომელსაც მანამდე **სვერდლოვის** მეუღლე ასრულებდა და იგი არჩეული იქნა კომუნისტური პარტიის ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად. ამ თანამდებობაზე იმუშავა 1953 წლის 2 მარტამდე.

არჩევის დღიდანვე სტალინმა პარტიას მიზნად დაუსახა ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა და შექმნა პარტიის სრულიად ახალი სამოქმედო პროგრამა, რომელიც ისე დაამტკიცეს პოლიტბიუროზე, რომ მის შინაარსში არათუ ავადმყოფი ლენინი, პოლიტბიუროს სხვა სალად მოაზროვნე და „ჭკუით გატენილი“ წევრებიც ვერ გაერკვნენ.

სტალინმა პარტიის წესდების მუხლების სრული დაცვით დაიწყო თავისი მოვალეობების შესრულება, რის გამოც ჯერ კიდევ ქაოსში მყოფი ახალშექმნილი ქვეყნის ხელისუფალნი საგონებელში ჩააგდო. ტროცკი თავისსავე დაგებულ მახეში გაება. სტალინმა მტკიცედ მოსთხოვა პარტიის ყველა წევრს, განუხრელად რანგისა და თანამდებობისა, დამორჩილებოდნენ პარტიის წესდებას.



სტალინის გონმა შექმნა სახელმწიფო, რომლის სწორი და ტოლი ჯერ არ შეუქმნია პლანეტაზე მცხოვრები არც ერთი ეროვნებისა და რჯულის ხალხს. სტალინმა გამოხაზა და შემდგომ ხორცი შეასხა იდეას, რომლის აღსრულებაზეც 400 წლის განმავლობაში ოცნებობდნენ უტოპიური სოციალიზმის სათავეებთან მდგომი გენიოსები

როდესაც სტალინმა მისთვის არცთუ მოსაწონი „ნეპის“ გატარებაზე პასუხისმგებელ ამხანაგებს დაუძახა და მკაცრი მითითებები მისცა, ტროცკის ერთ-ერთმა დამქაშმა, ძველმა რევოლუციონერმა **ანტონოვ-ოვსეენკომ** 1924 წლის 2 იანვარს სტალინს წერილი მისწერა: „თქვენ თქვენს სამსახურში გჭირდებათ აბსოლუტურად „კანონმორჩილი“ ადამიანები. მე ასეთებს არ მივეკუთვნები“.

სტალინმა, რა თქმა უნდა, არ მოუთმინა თვითნებობა რევოლუციური სამხედრო საბჭოს პოლიტსამმართველოს უფროსს და, მიუხედავად იმისა, რომ ანტონოვ-ოვსეენკო ტროცკის უშუალო თანამშრომელი იყო, გაათავისუფლა თანამდებობიდან და ჩეხოსლოვაკიაში ქვეყნის სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშნა.

სტალინი მიუკერძოებელი იყო ყველას მიმართ. აი, მაგალითი:

1925 წელს სტალინი დასასვენებლად გაემგავრა სოჭში. როგორც ჩანს, სადაც ის ისვენებდა, მოუხერხებელი ადგილი იყო და ამიტომ სთხოვა ხელმძღვანელობას, კერძოდ, **აბრამ ბელენკის**, გამოენახა მისთვის მყუდრო ადგილი მუხალატკაში (ყირიმში) ისე, რომ არავინ შეეწუხებინათ და არ გამოესახლებინათ აგარაკიდან. ბელენკიმ, რომელიც საგონებელში ჩააგდო სტალინის თხოვნამ, დავალება რომ შეესრულებინა, სასწრაფოდ გამოასახლა მუხალადკის ერთ-ერთი პრესტიჟული აგარაკიდან სახელმწიფო გამომცემლობის („გოსიზდატის“) დირექტორი **ბროიდო** და აგარაკი კომპარტიის გენერალური მდივნის მისაღებად მოაწესრიგა.

სტალინმა, როდესაც აგარაკიდან ბროიდოს გამოსახლების შესახებ შეიტყო, უარი განაცხადა ადგილის შეცვლაზე, ხოლო მოლოტოვს სასწრაფო შიფროგრამა გაუგზავნა მოსკოვში: „ბელენკიმ დაუშვა შეცდომა, რაც მის მუშაობაში პირველი არ არის და მის უხეშობასა და უტაქტობაზე მეტყველებს და ჩირქს სცხებს როგორც პარტიის, ისე ხელისუფლების ავტორიტეტს. დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთ ბელენკი თანამდებობიდან, სხვაგან გადაიყვანეთ და მის ადგილზე დანიშნეთ სხვა, ვინც გნებავთ. საქმე არ ითმენს, იმოქმედეთ დაუყოვნებლივ“. მეორე დღეს სტალინმა ბოდიშის წერილით მიმართა ბროიდოს იმ უხერხულობისთვის, რომელიც შეექმნა მის (სტალინის) გამო და სთხოვა, კუთვნილ აგარაკზე დაბრუნებულიყო და გაეგრძელებინა დასვენება.

სტალინისთვის ბინის შეცვლის გამო სამეურნეო სამმართველოს მუშაკმა გადაწყვეტილება მიიღო და გენერალური მდივნის ახალი ბინა ახალი ავეჯით შეავსო, ▶

# მკვდრის წინააღმდეგ ამხედრებულმა შინაურმა თუ გარეშე მტრებმა მოინდომეს, აღეგავათ პირისაგან მიწისა სტალინის სახელი და მისი იდეა ადამიანთა თანასწორუფლებიანობისა, მაგრამ, რაც მეტი იყო მცდელობა სტალინის დისკრედიტაციისა, მით უფრო უახლოვდებოდა ადამიანებს ღმერთკაცის იდეები.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀რის გამოც სტალინმა შემდეგი შინაარსის წერილით მიმართა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მიხეილ კალინინს:**

„ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამეურნეო სამმართველოს მუშაკმა გამოიჩინა თვითშემოქმედება და ჩემს ბინაში შეიტანა ახალი ავეჯი, რომელიც სრულიად არ იყო საჭირო და არც ამისი ბრძანება გამიცია, რადგან ძველი ავეჯიც კარგად ასრულებდა თავის მოვალეობას. ასეთი მოქმედებები შეიმჩნეოდა გასულ პერიოდშიც, ამიტომ ძალიან გთხოვთ, მიიღოთ სათანადო ზომები, მიაგნოთ დამნაშავეს და დასაჯოთ ის, არც მეტი არც ნაკლები, სახელმწიფო ინტერესებისა და ქონების დაუდევრად მოპყრობისთვის. მიიღეთ სასწრაფო ზომები ჩემი ბინის ახალნაყიდი ავეჯისგან გამოსათავისუფლებლად და საწყობში ან, სადაც გნებავთ, მის განთავსებაზე. კომუნისტური სალმით, ი. სტალინი. 12.06.1925 წ.“.

მკითხველმა უნდა მაპატიოს მცირე გადახვევისთვის. **ირაკლი აბაშიძის** დისშვილი — **გურამ ხარაიძე**, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ **ნიკო მუსხელიშვილის** თანაშემწედ მუშაობდა, სუფრასთან მსხდომ მეგობრებს მოგვიყვა:

„მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმზე სამეურნეო საკითხებთან ერთად წამოიჭრა დამლაგებლის საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების საკითხიც, რომლის განხილვასაც დაგვიანებით მოსულმა ბატონმა ნიკო მუსხელიშვილმა მოუსწრო. როდესაც პრეზიდენტმა გაარკვია დამნაშავისა და სასჯელის ურთიერთდაკავშირების საკითხი, პრეზიდიუმს მიმართა, რომ ეს სასჯელი არ შეესაბამებოდა დანაშაულის სიმძიმეს და წინადადება შეიტანა, ჩამოეხრჩოთ დამლაგებელი“.

სწორედ ეს მწარე იუმორით სავსე ამბავი წარმომიდგა თვალწინ, როდესაც სტალინის პირადი არქივის ჩანაწერებს ვეცნობოდი, სადაც ასეთი რამ არის აღწერილი:

პოლიტბიურო იხილავდა 1926-1930 წლებში საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის — **ბრიუხანოვის** — სოციალური ყოფის საკითხს, რომელზეც ცხარე კამათი გაიმართა. სტალინი კამათში გამომსვლელს არასდროს აწყვეტინებდა აზრის გამოთქმას, მაგრამ, როგორც ჩანს, დაღალა უსაგნო კამათმა, რომელიც სრულიად უაზრო საკითხს ეხებოდა, და ქაღალდის ნაგლეჯზე უბრალოდ მიაწერა სიტყვები: „პ. ბ. ყველა წევრს: ბრიუხანოვი ყველა ძველი და ახლანდელი ბრალდების გამო ჩამოვკიდოთ ყვერებით, თუ ამას გაუძლო — მართალი ყოფილა; თუ ვერა — დავახრჩოთ მდინარეში“. პოლიტბიუროს წევრებმა ერთმანეთს გადააწოდეს სტალინის მიერ შედგენილი ეს მწარე, დამტუქსველი იუმორის მქონე ტექსტი და საკითხიც განხილვიდან მოიხსნა.

**ბატონმა ნიკო მუსხელიშვილმა, რომელსაც ატომური ბომბის შექმნის პერიოდში ხშირად უწევდა პოლიტბიუროს ზოგიერთ წევრთან ურთიერთობა, ალბათ, სწორედ მაშინ მოისმინა სტალინის მწარე იუმორით შეზავებული ტექსტის შესახებ, რომელიც შემდგომ ასე მოხდენილად გამოიყენა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე.**

სტალინი ლმობიერი და მომთმენი იყო თავისი რევოლუციური მეგობრების მიმართ. ამის ნათელი მაგალითია მისი „საპროტექციო“ წერილი, რომელიც ხელზე გაატანა ძველ თანამებრძოლს ლენინგრადში.

„გამარჯობა, კირიჩ,

ძალიან გთხოვ, დაეხმარო, რითაც შეგიძლია, ძველ კომუნისტსა და სამთო საქმის კარგ სპეციალისტს, გ. რადჩენკოს. ის ცოტა ხნის წინათ დანიშნეს გეოლოგიური კომიტეტის თავმჯდომარედ. მას სურს, შემოიკრიბოს საქმის მცოდნე და ერთგული ადამიანები. ამის შერჩევის საშუალება და გამოცდილება მას არ აქვს. გთხოვ, გულით დაეხმარო, ჩემო კირიჩ. მაგრად გართმევ ხელს. ი. სტალინი. 16/03/1929 წელი“.

მკითხველი მიხვდება, რა გულწრფელობითა და თანადგომით ცდილობს სტალინი თანამებრძოლის დახმარებას და როგორ მეგობრობას ამჟღავნებს **სერგო კიროვის** მიმართ, რომელიც ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა.

1947 წელს სტალინმა თავისი გადასახლების ადგილიდან — ტურუხანსკის რაიონის სოფელ კურეიკიდან, იქ მცხოვრები **ვასილ სოლომინისგან** მიიღო წერილი, რომელშიც ეწერა, რომ არის მასწავლებელი, რომელიც სტალინსა და მის მეგობარ სვერდლოვს უმასპინძლდებოდა. ახლა პენსიონერია, მეორე ჯგუფის ინვალიდი და უჭირს ცხოვრება, ამიტომ სთხოვს, რომ დაეხმაროს.

სტალინმა წერილით უპასუხა სოლომინს:

„მე თქვენ აქამდე არ დამვიწყებიხართ და არც სხვა ამხანაგები ტურუხანსკიდან. ვიმედოვნებ, არც ამის შემდეგ დამავიწყდებით. გიგზავნით ჩემი დეპუტატობის გასამრჯელოს — 6000 მანეთს. ეს თანხა ბევრი არ არის, მაგრამ ცოტა მაინც შეგეშველებათ. გისურვებთ ჯანმრთელობას. ი. სტალინი“.



**სწორედ სტალინი იყო ის, ვინც «მშიერს ხმიადი და ტიტველს ტანზე პერანგი» მისცა, ვინც თითოეულ მშრომელს ოჯახში უფასოდ აუნთო ატომური ჩირაღდანი ჰიროსიმა-ნაგასაკის ნაცვლად; სტალინი იყო ის, ვინც საცოლო მერხიდან კოსმოსში კაცი აფრინა; სტალინი იყო, ვინც უდაბნო ააყვავა, ვინც 5 ზღვა ერთმანეთთან შეაერთა და ერთ სანაოსნო სისტემად აქცია; სტალინი იყო, ვინც თავისი არწივები მოსკოვიდან ძირს დაუშვებლად ჯერ ჩრდილოეთ პოლუსზე, ხოლო შემდეგ ამერიკის კონტინენტზე გადააფრინა; სტალინი იყო, ვინც დედამიწის ერთ მეექვსედზე ბუნება დაამარცხა და დამწვარ ყამირს სავსე თავთავი დაასხა**

საარქივო მასალებში არის 19 მარტს ტურუხანსკიდან გამოგზავნილი დეპეშა თანხის მიღების თაობაზე.

1929 წლის 13 სექტემბერს **მოლოტოვმა** და **ორჯონიკიძემ** წერილით მიმართეს სტალინს. ისინი მკაცრ რეაგირებას მოითხოვდნენ „პრავდაში“ გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილზე, რომელიც მთავრობის საქმიანობას შეეხებოდა. მოლოტოვი და ორჯონიკიძე სვამდნენ საკითხს, ცენტრალურ კომიტეტს მიეღო შესაბამისი დადგენილება მსგავსი გამოვლინების აღკვეთის წინააღმდეგ და მოლოტოვს ამის შესახებ გაემახვილებინა ყურადღება მოსკოვის მოსალოდნელ პარტიულ კონფერენციაზე გამოსვლისას.

იმავე დღეს სტალინმა წერილობითვე აცნობა მოლოტოვსა და ორჯონიკიძეს:

**„თქვენი მოთხოვნა, ვფიქრობ, რისკის შემცველია, რადგან ის აღიქმება, როგორც კრიტიკის ჩახშობის მცდელობა, რაც ყოვლად დაუშვებელია. ეს დააზიანებს ცენტრალურ კომიტეტს და თვით მოლოტოვს, რომელსაც დასწამებენ კრიტიკის უარყოფას. სამართლიანი კრიტიკა აქტიურს ხდის ხალხის მასებს, შექმნან გაუსაძლისი პირობები ყოველგვარი და ყველა ბიუროკრატისათვის“.**

მოლოტოვი და ორჯონიკიძე, რა თქმა უნდა, დაეთანხმნენ სტალინის რკინისებურ ლოგიკას და საკითხიც ამით ამოიწურა. სტალინი კრიტიკისა და თვითკრიტიკის საკითხს არაერთგზის დაუბრუნდა თავის გამოსვლებსა თუ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებში.

გენერალური მდივანი თავის მოგონებებში ხშირად იხსენებს კავკასიაში გატარებული რევოლუციური ცხოვრების წლებს და გარშემო მყოფ ადამიანებს, რომლებსაც შეძლებისდაგვარად ხელს უმართავდა და ეხმარებოდა. ამის ერთ-ერთი მაგალითია თბილისში მცხოვრები ექიმის — **პეტრე დონდაროვის** წერილი სტალინისადმი, რომელიც მან გენერალურ მდივანს 1933 წლის 21 ნოემბერს გაუგზავნა. პეტრე დონდაროვი სტალინს აცნობებდა, რომ ახლობლებს, რომლებიც გაჭირვების დროს შეიკედლა, ახლა ბინიდან ასახლებდნენ, რასაც სრულიად დაუსაბუთებლად მხარს უჭერდა სახალხო სასამართლო.



**სტალინმა წერილით უპასუხა სოლომინს: «მე თქვენ აქამდე არ დამვიწყებიხართ და არც სხვა ამხანაგები — ტურუხანსკიდან. ვიმედოვნებ, არც ამის შემდეგ დამავიწყდებით. გიგზავნით ჩემი დეპუტატობის გასამრჯელოს — 6000 მანეთს. ეს თანხა ბევრი არ არის, მაგრამ ცოტა მაინც შეგეშველებათ. გისურვებთ ჯანმრთელობას. ი. სტალინი»**

გაეცნო რა აღნიშნულ წერილს 8 დეკემბერს (ე.ი. 17 დღის შემდეგ. — გრ. ონიანი) სტალინმა თბილისში გაგზავნა დეპეშა:

„სასწრაფო. ტიფლისი. საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს. ბერიას, აღნიაშვილს, დოგადოვს.

ასლი: ტიფლისი, კამოს ქ. 62, ექიმ პეტრე დონდაროვს.

გთხოვთ, სასწრაფოდ შეწყვიტოთ სასამართლო „ვოლოკიტა“ (საქმის არაკეთილსინდისიერად წარმოება თანამდებობის პირების მიერ — გ.ო.) პეტრე დონდაროვის ბინის საკითხზე და ბინა დაუყოვნებლივ დაუბრუნოთ დონდაროვს სრულ განკარგულებაში. პეტრე დონდაროვს ვიცნობ, როგორც პატიოსან და შეუცვლელ პიროვნებას. მისი დამსახურება წარსულში მუშათა კლასის წინაშე არაფრით ჩამოუვარდება ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკის დამსახურებას. გთხოვთ, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, სისრულეში მოიყვანოთ და დააკმაყოფილოთ დონდაროვის ყველა პრეტენზია. შესრულება მომახსენეთ. შტალინი“.

იმავე დღეს საქართველოს ცკ-ის მდივანმა **აღნიაშვილმა** სტალინის სახელზე გაგზავნა დეპეშა, რომ ექიმი პეტრე დონდაროვის ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**P.S. ყველა დოკუმენტური მასალა ამოკრეფილია სტალინის პირადი არქივიდან, ფონდი 558, აღწერა 11. საქმისა და გვერდის ჩვენებას არ ვუთითებ, რადგან მთელი მასალა ერთ აღწერაშია მოქცეული.**

ვასალი და სიუზერენი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტრამპსა და მარკოვიჩს შორის ინციდენტი ნატოს ახალი შტაბ-ბინის დათვალიერებისას მოხდა: ტრამპმა წინ მდგომ მარკოვიჩს ხელი უხეშად ჰკრა და განზე გასწია... აშშ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლის თქმით, ტრამპმა, უბრალოდ, დაიცვა ნატოს წევრი-სახელმწიფოების ლიდერთა განლაგების სქემა ფოტოგადაღების წინ. ჩერნოგორიის პრემიერმინისტრმაც განაცხადა, რომ არაფერი სწყენია ამერიკის პრეზიდენტისგან (აბა, სხვას რას იტყოდა?! — ნ.კ.): „ეს, უბრალოდ, უწყინარი სიტუაცია იყო. ბუნებრივია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი წინა რიგში უნდა იდგეს“. ასეა — ფინიას არ შეუძლია პატრონს გაუნაწყენდეს, რადგან ამისთვის მკაცრად დაისჯება, პატრონმა კი ფინიას კუთვნილ ადგილზე მიუთითა.**

# ტრამპმა კვირიკაშვილისა და კლიმკინის შემდეგ ჩერნოგორიის პრემიერმინისტრიც დაამცირა

## ანუ ფინია პატრონს ვერ გაუნაწყენდება

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, ისევე, როგორც ქვეყანას, რომელიც მსოფლიოზე ბატონობისკენ მიისწრაფვის, როგორც ჩანს, ჩვეულებად აქვს ე.წ. სტრატეგიული მეგობარი ქვეყნების ლიდერების დამცირება და მათ ზუსტად ისე ექცევა, როგორც ბატონი — ყმას.**

ასე იყო **დონალდ ტრამპისა** და საქართველოს პრემიერმინისტრ **გიორგი კვირიკაშვილის**, აგრეთვე, ტრამპისა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ **პავლე კლიმკინის** შეხვედრისას, როცა სავარძელში მოკალათებულმა აშშ-ის პრეზიდენტმა საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებების წარმომადგენლები ფეხზე დააყენა და ისე მიიღო, როგორც ბატონმა ხელისბიჭები (სხვათა შორის, ანალოგიურად მოიქცა ტრამპი ნატოს გენმდივან **იენს სტოლტენბერგისა** და ბრიტანეთის პრემიერმინისტრ **ტერეზა მეისთან** შეხვედრისას), ახლა კი, 25 მაისს, ბრიუსელში გამართულ ნატოს სამიტზე იმის გამო, რომ წინა პლანზე გამოჩენილიყო, ჩერნოგორიის პრემიერმინისტრ **დუშკო მარკოვიჩს** „უჯიკა“ და განზე უხეშად გასწია.

ვაშინგტონში ნატოს სამიტზე მომხდარს „უწყინარი“ სიტუაცია უწოდეს, ასეთივე თვალსაზრისი აქვს ჩერნოგორიის პრემიერმინისტრ დუშკო მარკოვიჩსაც, რომელიც ისევე, როგორც ტრამპი, პირველად მონაწილეობდა ნატოს სამიტზე: ამერიკის ლიდერი ამა წლის იანვრიდან შეუდგა პრეზიდენტის მოვალეობების შესრულებას, ჩერნოგორია კი ცოტა ხნის წინათ მიიღეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრად.


ტრამპი და კლიმკინი


ტრამპი და კვირიკაშვილი


ტრამპისა და მაკრონის ხელის ჩამორთმევა




სტოლტენბერგი, ტრამპი და ტერეზა მეი





ტრამპმა მარკოვიჩს „უჯიკა“

### რა მოხდა

ტრამპსა და მარკოვიჩს შორის ინციდენტი ნატოს ახალი შტაბ-ბინის დათვალიერებისას მოხდა: ტრამპმა წინ მდგომ მარკოვიჩს ხელი უხეშად ჰკრა და განზე გასწია (ნახეთ ვიდეო: https://youtu.be/2Pe0AW_PRYg).

ახალი ოფისის შენობამ აღაფრთოვანა ამერიკის პრეზიდენტი. „არასოდეს მიკითხავს, რა დაჯდა ეს შენობა, ამას არც გავაკეთებ, მაგრამ ეს ძალიან ლამაზია“, — განაცხადა ტრამპმა შენობის დათვალიერების შემდეგ.

**ნატოს ახალი შტაბ-ბინა ნატოს სამიტის დაწყების წინ გაიხსნა. მისი მშენებლობა, აგრეთვე, ოფისის გადატანა მილიარდ ევროზე მეტი დაჯდა. ახალი შენობის საერთო ფართობი 250 ათასი კვ. მეტრია, ის ალიანსის ძველი ოფისის მოპირდაპირე მხარეს ააშენეს.**

### „უწყინარი სიტუაცია“

თეთრი სახლის პრესმდივანმა **შონ სპაისერმა** განაცხადა, რომ ტრამპსა და მარკოვიჩს შორის ინციდენტის ვიდეოჩანაწერი არ უნახავს. აშშ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლის თქმით, ტრამპმა, უბრალოდ, დაიცვა ნატოს წევრი-სახელმწიფოების ლიდერთა განლაგების სქემა ფოტოგადაღების წინ. ჩერნოგორიის პრემიერმინისტრმაც განაცხადა, რომ არაფერი სწყენია ამერიკის პრეზიდენტისგან (აბა, სხვას რას იტყოდა?! — ნ.კ.): **„ეს, უბრალოდ, უწყინარი სიტუაცია იყო. ბუნებრივია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი წინა რიგში უნდა იდგეს“.** ასეა — ფინიას არ შეუძლია პატრონს გაუნაწყენდეს, რადგან ამისთვის მკაცრად დაისჯება, პატრონმა კი ფინიას კუთვნილ ადგილზე მიუთითა.

### ხელის ჩამორთმევა

თავის პირველ სამიტზე ტრამპი სერიოზულ „მოწინააღმდეგეს“ შეეჯახა. აშშ-ის პრეზიდენტი განთქმულია ხელის ძლიერი ჩამორთმევით და ამის გამო არაერთხელ ჩავარდნილა უხერხულ სიტუაციაში.

ბრიუსელის სამიტზე კი თვითონ ტრამპს მოუწია დათმობა მისალმების ამ „სახეობაში“ — მისი ოპონენტი „ხელის ჩამორთმევის ბრძოლაში“ იყო ნატოს სამიტის კიდევ ერთი ახალბედა — საფრანგეთის პრეზიდენტი **ემანუელ მაკრონი**, რომელიც, როგორც ჩანს, კარგა ხანს ემზადებოდა ამ ბრძოლისთვის.

სააგენტო „რეიტერი“ წერს, ტრამპი და მაკრონი ისე ძლიერად უჭერდნენ ერთმანეთს ხელს, თითები გაუთეთრდათო.

ხელის ჩამორთმევის ჭიდილში გაიმარჯვა მაკრონმა: „ფოტოების მიხედვით, ამერიკის პრეზიდენტმა პირველმა მოადუნა ხელი. თუმცა ამ კონფუზს ხელი არ შეუშლია ორი პრეზიდენტის მოლაპარაკებებისთვის. დონალდ ტრამპმა და ემანუელ მაკრონმა მოილაპარაკეს, რომ გააძლიერებენ ბრძოლას ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ“.

**ნიკა კორინთელი**

**დონალდ ტრამპმა მიაღწია დასახულ მიზნებს როგორც ერ-რიადში, ისე ბრიუსელში, სადაც პარტნიორებს ლამის შანტაჟისტის როლში მოევლინა. ამ მხრივ, „პრინციპული რეალიზმის“ პოლიტიკამ კარგი შედეგი მოუტანა, მაგრამ სტრატეგიულ პერსპექტივაში ახლო აღმოსავლეთში ორი, ერთმანეთთან დაპირისპირებული ბლოკის ფორმირება დიდი ომისა და რეგიონის ტოტალური დესტაბილიზაციის საფრთხეს უკავშირდება. აშშ-მა ამ არეულობისას შეიძლება გარკვეული სარგებელი ნახოს, თუმცა ტრამპის ადმინისტრაციის გეოპოლიტიკური ეგოიზმი სავარაუდო კონფლიქტის მთავარ მონაწილეებსა და მათ მეზობლებს, მათ შორის საქართველოს, ძალიან ძვირი დაუჯდებათ.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დონალდ ტრამპის რეალიზმი და ეგოიზმი

**დონალდ ტრამპის ვიზიტმა ახლო აღმოსავლეთში და ნატოს სამიტმა ბრიუსელში, სადაც მთავარი მოქმედი პირი სწორედ აშშ-ის პრეზიდენტი გახლდათ, ნათლად აჩვენა, რომ ახალი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკას რამდენიმე საგულისხმო თავისებურება ახასიათებს. მთლიანობაში კი, ის შეიძლება შეფასდეს, როგორც პრაგმატული და, ამასთანავე, უკიდურესად ეგოისტური.**



**ტრამპმა საუდის არაბეთთან შეიარაღების მიწოდებაზე უპრეცედენტოდ მასშტაბური შეთანხმება გააფორმა. ასეულობით მილიარდი დოლარის დაკვეთა, რომელსაც აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი მიიღებს, სავარაუდოდ, გააუმჯობესებს ამერიკის ეკონომიკის მდგომარეობას, რაც ტრამპის მთავარი წინასაარჩევნო დაპირება იყო**

მედიამ დიდი ყურადღება დაუთმო აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტის სახალისო დეტალებს; მაგალითად, ცეკვას ხმლებით საუდის არაბეთში და ანეკდოტურ რეპლიკას, რომლითაც **ტრამპმა** ისრაელის პრეზიდენტს **რეუვენ რივლინს** მიმართა: „ჩვენ ახლახან დავბრუნდით ახლო აღმოსავლეთიდან“. რივლინმა საჭიროდ არ ჩათვალა, აეხსნა სტუმრისთვის, რომ ისრაელიც ახლო აღმოსავლეთში მდებარეობს, თუმცა თავის პოლიტიკურ განცხადებებში ტრამპი სავსებით ადეკვატური იყო.

როგორც უმცროსმა **ბუშმა**, ისე **ობამამ** პრეზიდენტობის დასაწყისში მკაფიოდ გამოხატეს, რომ რეგიონულ პოლიტიკაში წამყვანი როლის შესრულებას აპირებდნენ, მაშინ, როდესაც საუბრობდნენ ტერორიზმის დამარცხებაზე, **სადამ ჰუსეინის** ჩამოგდებაზე, პალესტინური კონფლიქტის დარეგულირებაზე თუ „არაბული გაზაფხულის“ მხარდაჭერაზე, რომელიც სისხლიან ქაოსში გადაიზარდა. წინამორბედებისგან განსხვავებით, დონალდ ტრამპს არ უცდია აშშ-ის წარმოჩენა პროცესების ლოკომოტივად. ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რეგიონის ბედნიერ მომავალზე, უპირველესად, ადგილობრივმა ქვეყნებმა უნდა იზრუნონ.

საპრეზიდენტო კამპანიის პერიოდში ტრამპი მწვავედ აკრიტიკებდა ობამას ირანთან „ბირთვული გარიგებისთვის“, რასაც სანქციების ნაწილის მოხსნა და ორი ქვეყნის ურთიერთობებში „დათბობის“ დაწყება მოჰყვა. გაპრეზიდენტების შემდეგ კი ტრამპმა ირანი ტერორიზმის მთავარ სპონსორად გამოაცხადა. საუდის არაბეთსა და ისრაელში, რომლებიც ირანის მიმართ ტრადიციულად კონფრონტაციულ პოლიტიკას ატარებენ, მისმა პოზიციამ მოწონება დაიმსახურა. შედარებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა აშშ-ის მესამე ძველი რეგიონული მოკავშირე — თურქეთი, რადგან ის წარმატებით თანამშრომლობს ირანსა და რუსეთთან სირიაში (განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ ნაწილში) და ამას ქურთებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის წინაპირობად მიიჩნევს. **ტრამპის მკვეთრად ანტიირანული პოზიცია ერდოღანს რთული დილემის წინაშე აყენებს.**

პერსპექტივაში, ახალი ადმინისტრაციის ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს რეგიონში ორი დაპირისპირებული ბლოკის ფორმირებას. ეს, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაამძაფრებს დაპირისპირებას შიიტებსა და სუნიტებს, ირანსა და საუდის არაბეთს შორის და ორივეს გარე მოთამაშეები დაუჭერენ მხარს. „არაბულ-ისლამურ-ამერიკულ სამიტზე“ ერ-რიადში აშშ-ის, საუდის არაბეთისა და 55 არაბული და ისლამური ქვეყნის წარმომადგენლებმა მიიღეს დეკლარაცია, რომლის მეორე პუნქტში ნათქვამია: „ლიდერებმა სათანადოდ დააფასეს ახლო აღმოსავლეთის სტრატეგიული ალიანსის შექმნისკენ გადადგმული ნაბიჯები, ალიანსისა, რომლის შემადგენლობაში ყოფნით მრავალი სახელმწიფო შეძლებს, თავისი წვლილი შეიტანოს მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაში რეგიონსა და მთელ მსოფლიოში“. ამ ალიანსის ოფიციალური დაფუძნება 2018 წელს იგეგმება. ექსპერტებმა უკვე უწოდეს მას „არაბული ნატო“ — აშკარაა, რომ ის აშშ-ისა და საუდის არაბეთის ეგიდით შეიქმნება და მისი მთავარი სამიზნე ირანი გახდება.

მნიშვნელოვანია დეკლარაციის მე-5 პუნქტიც, მასში ნათქვამია: „ლიდერები მიესალმებიან არაერთი ისლამური სახელმწიფოს მზაობას, მონაწილეობა მიიღონ ტერორიზმთან მებრძოლ ისლამურ სამხედრო კოალიციაში და შექმნან 34 000-კაციანი ანტიტერორისტული რეზერვი, როდესაც ამის აუცილებლობა გაჩნდება“. ეს კონტინგენტი, სავარაუდოდ, დაეხმარება აშშ-სა და საუდის არაბეთს, სირიასა და ერაყში მათთვის სასურველი პოლიტიკა გაატარონ და ის მომავალი „არაბული ნატოს“ ძირითადი ინსტრუმენტი გახდება.

ამ სამხედრო ძალისხმევას შეიარაღებით უზრუნველყოფა დასჭირდება და ამ მისიას საკუთარ თავზე, როგორც ჩანს, აშშ აიღებს. **ტრამპმა საუდის არაბეთთან შეიარაღების მიწოდებაზე უპრეცედენტოდ მასშტაბური შეთანხმება გააფორმა. ასეულობით მილიარდი დოლარის დაკვეთა, რომელსაც აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი მიიღებს, სავარაუდოდ, გააუმჯობესებს ამერიკის ეკონომიკის მდგომარეობას, რაც ტრამპის მთავარი წინასაარჩევნო დაპირება იყო.**

მნიშვნელოვანი სიახლეა, აგრეთვე, ორი ქვეყნის მიერ ახალი ფონდის შექმნა, რომელიც, სავარაუდოდ, დაიწყებს მასშტაბური პროქტების ინვესტირებას აშშ-ის ტერიტორიაზე. პირველ ეტაპზე ამ ფონდში აკუმულირებული იქნება 40 მილიარდი დოლარი, შემდგომ ინვესტიციების მოცულობამ 100 მილიარდს უნდა მიაღწიოს. ალბათ, ესეც ერთგვარ „შენიღბულ ხარკად“ უნდა ჩავთვალოთ. მთლიანობაში ტრამპმა საუდის არაბეთიდან 400 მილიარდზე მეტი დოლარი „წამოიღო“.

საუდის არაბეთი ძალზე მდიდარია, მაგრამ მისი ბიუჯეტი გადატვირთულია მეგალომანიური ხარჯებითა და სოციალური პროგრამებით; დეფიციტი საშიშ ზღვარს მიუახლოვდა. თუმცა საუდელებს, როგორც ჩანს, უღირთ ტრამპისთვის „ხარკის“ გადახდა და ათეულობით მილიარდი დოლარის შეიარაღების შეძენა, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ექსპერტების უმრავლესობა დაბეჯითებით აცხადებს, რომ ახლო პერსპექტივაში საუდის არაბეთის არმია ამ შეიარაღების დიდ ნაწილს, უბრალოდ, ვერ აითვისებს. ამის სანაცვლოდ, საუდიტები მიიღებენ თეთრი სახლის მხარდაჭერას ირანთან დაპირისპირებისა და „არაბული ნატოს“ შექმნის პროცესში, რომელიც გაზრდის მათ გავლენას რეგიონში. მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ ბოლო თვეებში ვაშინგტონმა არსებითად შეწყვიტა საუდის არაბეთის (თუნდაც რბილი) კრიტიკა ადამიანის უფლებების დარღვევის თაობაზე. თვით ტრამპმა კი თქვა, რომ „ნოტაციების კითხვის“ ნაცვლად აშშ-ის პოლიტიკა რეგიონში „პრინციპულ რეალიზმს“ დაეფუძნება. „აქ იმისთვის როდი ჩამოვედით, რომ ლექციები გიკითხოთ, მოგიყვეთ, როგორც იცხოვროთ, ვინ იყოთ და ვის სცეთ თაყვანი. ამის ნაცვლად გთავაზობთ პარტნიორობას, რომელიც ეფუძნება საერთო ინტერესებსა და ღირებულებებს“, — განაცხადა ტრამპმა. ამ „საერთო ღირებულებებს“ ამერიკელმა ლიბერალებმა საკმაოდ მკვახე კომენტარები მოაყოლეს, თუმცა ტრამპს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

საინტერესოა, რომ **არჩევნებამდე დონალდ ტრამპი „ტერორიზმის მთავარ სპონსორს“ სწორედ საუდის არაბეთს უწოდებდა და ბრალს სდებდა კორუფციულ კავშირში, როგორც ბუშებთან, ისე კლინტონებთან, თუმცა, როგორც ჩანს, ყოველივე ეს წარსულში დარჩა.**

კიდევ ერთი, ტრამპისთვის მნიშვნელოვანი სამიტი ბრიუსელში გაიმართა. ფორმალური თვალსაზრისით, ეს არ იყო სამიტი (რადგან ნატოს სამიტები ორ წელიწადში ერთხელ ტარდება), არამედ — „ლიდერების რიგგარეშე შეხვედრა“. მისი ორგანიზატორები, პრინციპში, არ მალავდნენ, რომ **ამ თავყრილობის მთავარი მიზანია, მისცეს აშშ-ის ახალ პრეზიდენტს შესაძლებლობა, გამოხატოს პოზიცია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მომავლის მიმართ.** წინასაარჩევნო პერიოდში ტრამპმა ამ თემაზე არაერთი სკანდალური განცხადება გააკეთა. მართალია, მოგვიანებით ისიც კი თქვა, რომ ნატოს „მოძველებულ ალიანსად“ აღარ თვლის, თუმცა ბევრი რამ ევროპელი პარტნიორებისთვის მაინც გაურკვეველი დარჩა. შეხვედრისთვის შესაბამისი საბაბიც მოიძებნა — ბრიუსელში ნატოს ახალი შტაბ-ბინის გახსნა, რომლის მშენებლობა 1,1 მილიარდი ევრო დაჯდა.

სამიტზე დონალდ ტრამპი ძალიან უხეშად მოიქცა, როდესაც გვერდზე გაწია ჩერნოგორიის პრემიერი **დუშკო მარკოვიჩი**, რათა უკეთესი ადგილი დაეკავებინა. მიუხედავად იმისა, რომ მარკოვიჩმა, რომლის ქვეყანა ნატოს ოფიციალური წევრი გახდება, მოგვიანებით თქვა, რომ ეს სრულიად უწყინარი ეპიზოდი იყო, რომელსაც მედიასა და სოციალურ ქსელებში საკმაოდ ნეგატიური რეაქცია მოჰყვა — უმრავლესობამ მიიჩნია, რომ დონალდ ტრამპს, უბრალოდ, სურდა, ნათლად ეჩვენებინა, ვინ არის მთავარი მოქმედი პირი ბელგიის დედაქალაქში გამართული თავყრილობისა.

აშშ-ის პრეზიდენტი ბრიუსელში ჩასვლამდე ცდილობდა, ყველასთვის ეჩვენებინა, რომ ალიანსის წევრებმა თავდაცვითი ხარჯების გაზრდის გადაწყვეტილება მისი ზეწოლის შედეგად მიიღეს. ევროპელები კი მიუთითებდნენ იმაზე, რომ შესაბამის შეთანხმებას ჯერ კიდევ 2014-ში, ნატოს უელსის სამიტზე მიაღწიეს. **ბრიუსელში გადაწყდა, რომ ალიანსის წევრი სახელმწიფოები შეიმუშავებენ თავდაცვის სფეროს დაფინანსების ყოველწლიურ გეგმებს, რომლებშიც განმარტებული იქნება, თუ როგორ აპირებენ ისინი, გაზარდონ მშპ-ს ხარჯები 2 პროცენტამდე. ამ სახსრების მინიმუმ 20% შეიარაღებისა და ტექნიკის ძირითად სახეობებზე უნდა დაიხარჯოს. ეს დოკუმენტი, აგრეთვე, უნდა შეიცავდეს ნატოს პროგრამებისა და მისიების დაფინანსების გეგმას. ამასთანავე, გადაწყდა, რომ ნატო (ალიანსი და არა ცალკეული წევრი სახელმწიფოები) შეუერთდება კოალიციას, რომელიც აშშ-მა „ისლამურ სახელმწიფოსთან“ საბრძოლველად შექმნა და ანტიტერორისტულ ქვედანაყოფს ჩამოაყალიბებს. ალიანსის წევრები ავღანეთის მისიის გაგრძელებაზეც შეთანხმდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სამხედროები ამ ქვეყანაში კიდევ კარგა ხანს დარჩებიან.**

ასე რომ, დონალდ ტრამპმა მიაღწია დასახულ მიზნებს როგორც ერ-რიადში, ისე ბრიუსელში, სადაც პარტნიორებს ლამის შანტაჟისტის როლში მოევლინა. ამ მხრივ, „პრინციპული რეალიზმის“ პოლიტიკამ კარგი შედეგი მოუტანა, მაგრამ სტრატეგიულ პერსპექტივაში ახლო აღმოსავლეთში ორი, ერთმანეთთან დაპირისპირებული ბლოკის ფორმირება დიდი ომისა და რეგიონის ტოტალური დესტაბილიზაციის საფრთხეს უკავშირდება. აშშ-მა ამ არეულობისას შეიძლება გარკვეული სარგებელი ნახოს, თუმცა ტრამპის ადმინისტრაციის გეოპოლიტიკური ეგოიზმი სავარაუდო კონფლიქტის მთავარ მონაწილეებსა და მათ მეზობლებს, მათ შორის საქართველოს, ძალიან ძვირი დაუჯდებათ.

**ლუკა ნემსაძე**

ანალიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფრაუ მერკელმა „უაღრესად მიზერული სურვილი გამოხატა“ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისადმი, რომელიც ტრამპის მიერ იყო განცხადებული; კატეგორიული უარი თქვა ავღანეთში ჯარების უფრო მეტი ოდენობით შეყვანაზე. გერმანია მზად არ არის, დაეთანხმოს ნატოს სამხედრო როლის გაძლიერებას ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ მოთარეშეების წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთი იყო მისი პოზიცია. სამაგიეროდ, საქართველოა მზად, გაზარდოს ჩვენი ჯარისკაცების რაოდენობა ისეთ „ცხელ წერტილში“, როგორიც ავღანეთია, მიუხედავად იმისა, რომ ნატოში ჩვენს მიღებას არავინ აპირებს.**

# ამერიკაში სახელმწიფო დამნაშავეს ათავისუფლებენ, პრეზიდენტს კი იმპიჩმენტით ემუქრებიან

**გაუგებარი კონტრასტების ორი კვირა იყო გასული 14 დღე, ალოგიკური. მაშინ, როცა აშშ-ის არმიის ყოფილი მოსამსახურე ბრედლი მენინგი, რომელსაც სამხედრო ტრიბუნალის მიერ ათასობით საიდუმლო დოკუმენტის „ვიკილიქსისთვის“ გადაცემის გამო 35 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, დაპატიმრებიდან 7 წლის თავზე წლეულს, 17 მაისს გაათავისუფლეს, ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის წინააღმდეგ ააგორეს „სკანდალურ-სენსაციური“ კამპანია... რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვისთვის სრულიად საიდუმლო სახელმწიფო გადაწყვეტილებების განდობის გამო. არ იკითხავთ, რა და როგორ მოხდა?**

დიდი არაფერი: ტერორისტული აქტების თავიდან ასაცილებელ პრევენციულ ღონისძიებებზე უსაუბრია პრეზიდენტს, კერძოდ, ნოუთბუქებისა და სხვა ამგვარი მობილური ტექნიკის თვითმფრინავებში შეტანის აკრძალვაზე იმ 7 ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომელთათვისაც გარკვეული შეზღუდვების დაწესებაზე იგი ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების მარათონის დროს ლაპარაკი.

**მენინგი „ვიკილიქსის“ აქტიური ინფორმატორი იყო. 28 წლის პატიმრობა აპატიეს. შეიწყალეს ბრედლი, რომელიც ციხეში კაცის „სტატუსით“ შევიდა, იქიდან გამოსული კი ტრანსგენდერად გამოეცხადა ამერიკელ საზოგადოებრიობას, განაზებულ არსებად, სახელად — ჩელსი.**

ნოუთბუქის მეშვეობით დეტონირებული ბომბი თვითმფრინავში ჯერჯერობით არ აფეთქებულა, უზნეობის ეს ბომბი კი ჩვენ თალწინ აფეთქდამეთქი, ვაპირებდი დაწერას, მაგრამ როგორც ძველი თბილისის მეიდანში იტყოდნენ, „საქმეში ხარ?!“ ასეთი „წვრილმანებით“ შტატებში ვერავის გააკვირვებ, რადგან პედერასტია იქ დაკანონებულია.

ისევე, როგორც ორმაგი სტანდარტები: **სახელმწიფო დამნაშავეს პატიმრობიდან ათავისუფლებენ, ხოლო პრეზიდენტს, რომელიც მათი არჩეულია, სახელმწიფო დამნაშავის იარლიყს აკრავენ. მოგონილ ბრალდებას თანდათან გაბერავენ, გაბუქავენ და აშშ-ის კონგრესის მსჯელობის საგნად აქცევენ. გამოვა კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრი დემოკრატიული პარტიიდან, ვინმე ელ გრინი და კოლეგებს მოუწოდებს, დაიწყონ პრეზიდენტ ტრამპის იმპიჩმენტი, თანაც თავის ამ უსაფუძვლო მოთხოვნას მართლმსაჯულების უმაღლესი პრიორიტეტულობით ახსნის; იტყვის, რომ ეს საკითხი წამოსწია არა თავისი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ „აშშ-ში არავის, პრეზიდენტის ჩათვლით, არ აქვს უფლება, კანონზე მაღლა დადგეს“.**

მაგრამ მანაც იცის და ანალიტიკოსებმა — მასზე უკეთ, რომ **პრეზიდენტ ტრამპის წინააღმდეგ აგორებული ეს და მანამდე ბევრი სხვა კამპანია, სხვა არაფერია, თუ არა ჰილარი კლინტონის ლობისტების შურისძიება გაცრუებული იმედებისა და პრეზიდენტის არჩევნებში ამ ქალზე ამაოდ დადებული მილიონობით ფსონის გამო.**

ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევასავითაა.

თუმცა „პოლიტიკური შიზოფრენიისას“, რომელმაც ამერიკაში ამჟამად განსაკუთრებით იჩინა თავი, გამორიცხული არაფერია. ისევე, როგორც, მაგალითად, კოლოსალური ზარალი, რომელიც ამ დღეებში აშშ-ისა და მსოფლიოს „მილიარდერების ელიტის“ ურყევმა ციხესიმაგრემ განიცადა და რომლის მიზეზი, როგორც ამერიკული მედია ირწმუნება, ტრამპის მიერ **სერგეი ლავროვისთვის** „ისლამურ სახელმწიფოსთან“ დაკავშირებული ზესაიდუმლო ინფორმაციის განდობა იყო (**„ვაშინგტონ პოსტი“**). ეს ერთი შემთხვევა და მეორე: რომ ტრამპმა გამოძიების ფედერალური ბიუროს ყოფილ დირექტორს **ჯეიმს კომის** სთხოვა, შეეწყვიტა ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის ყოფილი თანაშემწის — **მაიკლ ფლინის** საქმის გამოძიება (**„ნიუ იორკ თაიმსი“**). ამ ორმა კერძო ფაქტმა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური გაურკვევლობის გამოვლენამ, გამოიწვია მსოფლიოს 500 უმდიდრესი ადამიანის „გალატაკება“ 35 მილიარდი დოლარით.

ამ ახალი ამბების ფონზე, ერთ დღეში, 17 მაისს, მსოფლიო კომპანიების „ქაღალდები“ გაიაფდა.

მსოფლიოს უმდიდრესმა ადამიანმა, „მაიკროსოფტის“ კორპორაციის დამფუძნებელმა **ბილ გეითსმა**, რომლის ქონება 86 მილიარდ დოლარად არის შეფასებული, 1,01 მილიარდი დოლარი დაკარგა, რადგან „მაიკროსოფტის“ აქციების ფასი 2,8 პროცენტით დაეცა, რაც წლის განმავლობაში ყველაზე დიდი მაჩვენებელია, — წერს „ბლუმბერგი“. ონლაინ მაღაზია Amazon.com-ის დამაარსებელი **ჯეფ ბეზოსი** 1,71 მილიარდი დოლარით „გაღატაკდა“, რადგან მისი აქციები 2,2 პროცენტით გაიაფდა. ტანსაცმლის ესპანური ბრენდის — „ზარას“ პატრონმა **ამანსიო ორტეგამ** 355 მილიონი დოლარი დაკარგა. მისი ქონება 83,2 მილიარდი დოლარია.

„ფეისბუქის“ დამაარსებელმა **მარკ ცუკერბერგმა** 2,3 მილიარდი დოლარი იზარალა, კომპანია Berkshire Hathaway-ის ხელმძღვანელმა **უორენ ბაფეტმა** — 852 მილიონი დოლარი.

მილიარდერების ქონება 7,7 ტრილიონ დოლარს აღემატება.

ვერ მოგვარდა ამერიკის ურთიერთობა გერმანიასთან, რამაც კიდევ ერთხელ იჩინა თავი ნატოს გენერალურ მდივან **იენს სტოლტენბერგთან** კანცლერ **ანგელა მერკელის** შეხვედრისას. ფრაუ მერკელმა „უაღრესად მიზერული სურვილი გამოხატა“ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისადმი, რომელიც ტრამპის მიერ იყო განცხადებული; კატეგორიული უარი თქვა ავღანეთში ჯარების უფრო მეტი ოდენობით შეყვანაზე.

**სამაგიეროდ, საქართველოა მზად, გაზარდოს ჩვენი ჯარისკაცების რაოდენობა ისეთ „ცხელ წერტილში“, როგორიც ავღანეთია, მიუხედავად იმისა, რომ ნატოში ჩვენს მიღებას არავინ აპირებს.**

სტოლტენბერგმა, ისევე, როგორც მერკელმა, განაცხადა, რომ ნატო არავითარ შემთხვევაში არ მიიღებს მონაწილეობას „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში. მისი თქმით, ნატომ ისედაც დიდი წვლილი შეიტანა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ.

**ინგლისურენოვანი წყაროების ცნობით, ნატომ დიდ ბრიტანეთს მიმართა თხოვნით, განიხილოს ავღანეთში ჯარების დაჯგუფების გაზრდის საკითხი. ამას იუწყება ტელეარხი „ბი-ბი-სი“. დიდი ბრიტანეთის კონტინგენტი, რომელიც ქაბულის გარშემოა კონცენტრირებული, ამჟამად 500 სამხედრო მოსამსახურეს ითვლის. საქართველოს სამხედრო კონტინგენტის რაოდენობა კი ჯერ კიდევ 2013 წლის 1 აგვისტოსთვის 1561-ს აღწევდა.**

ლოგიკურია?!

რატომ წამოიჭრა ავღანეთის საკითხი, რომელიც აქამდე მეორე პლანზე იყო გადაწეული?

მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ **სირიის შემდეგ რუსეთი და აშშ კვლავ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს და ამჯერად ბრძოლის ველი ავღანეთი იქნება.** თეთრი სახლის მრჩევლებმა მოამზადეს წინადადებები ამ ქვეყანაში ამერიკული დაჯგუფების 3 ათასი სამხედრო მოსამსახურით გაზრდის შესახებ. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა **ჯეიმს მეტისმა** აპრილის დასაწყისში განაცხადა, რომ ამერიკა შეშფოთებულია „რუსეთის ბოლო ნაბიჯებით“, კერძოდ, მისი კონტაქტით „თალიბანის“ მოძრაობასთან, და რომ რუსეთის მიერ „თალიბანის“ მხარდაჭერა უეჭველი ფაქტია. გეგმით, რომელიც ტრამპს მაგიდაზე დაუდეს, და რომელსაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში ყველა როდი ეთანხმება, გათვალისწინებულია ავღანეთის დაჯგუფების ორჯერ გაზრდა.

ეს გააძლიერებს ამერიკელების გავლენას თალიბებზე და აიძულებს მათ, დაუბრუნდნენ მოლაპარაკების პროცესს.

ცნობილია, რომ ტრამპი აღფრთოვანებული არ იყო იმ ომებით, რომლებსაც აშშ **თავისი საზღვრების მიღმა აწარმოებდა, რადგან ისინი „ქვეყანას ჭაობში ითრევდა“. ამჟამად აშშ ავღანეთში სამხედრო წარმომადგენლობის გაზრდას აპირებს. წინასაარჩევნო დაპირებები ამერიკაში ქვიშაზე აგებული ისეთივე იმედებია, როგორც საქართველოში.**

**აღნიშნული გეგმის მოწინააღმდეგენი, ტრამპის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის მოხელენი, არ მალავენ, რომ ეს გეგმა ობამას სტრატეგიას იმეორებს და გამიზნულია „დროებითი მოხმარებისთვის“.**

ჩანაფიქრის მიხედვით, ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობა 8400-მდე უნდა გაიზარდოს. სპეციალისტები თანხმდებიან, რომ ამერიკას ეს ძალა სჭირდება არა თალიბების წინააღმდეგ საომრად, არამედ ავღანეთში რუსეთთან დაპირისპირებაში უპირატესობის მოსაპოვებლად.

ამ საკითხებზე მოლაპარაკება გაიმართა ნატოს სამიტზე, რომელიც ბრიუსელში გასულ კვირაში შედგა და რომელშიც მონაწილეობა პრეზიდენტმა ტრამპმაც მიიღო.

მას არ დაუმალავს, რომ უკმაყოფილოა ევროპელების ხელმომჭირნეობით: ალიანსის წევრ 28 ქვეყნიდან 13-ს ნატოს დიდი ვალი დაუგროვდა. თავისი მოხსენების ძირითად ნაწილში ახსენა „რუსეთისგან მომდინარე საშიშროება“, მაგრამ ეს თემა არ განუვრცია. სამაგიეროდ პარტნიორებს გულახდილად უთხრა, რომ დროა, შეკვეცონ მიგრაციის ნაკადები. ტრამპმა აქცენტი ტერორიზმთან ბრძოლის გაძლიერებაზე გააკეთა.

* * *

**დასასრულ, ერთი ინფორმაცია, რომელსაც ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებთან საერთო არაფერი აქვს.**

**იტალიის ყოფილმა პრემიერმინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი მარკონი „39 წლის ჭაბუკია, რომელსაც მუშაობის კარგი გამოცდილება აქვს და ჰყავს მომხიბვლელი დედა, რომელსაც ხელჩაკიდებული დაჰყავდა, როცა პატარა ბიჭი იყო“.**

**ცოლზე გადაუკრა.**

**ბერლუსკონი ხუმარა კაცია. ერთხელ მან იხუმრა, რომ ვლადიმერ პუტინმა რუსეთის მოქალაქეობა შესთავაზა და მინისტრის თანამდებობას დაჰპირდა.**

**არმაზ სანებლიძე**



კოალიციის კონტინგენტის ჯარისკაცები ავღანეთში



ნაკაცარი ჩელსი ბრედლი — „ვიკილიქსის“ ყოფილი ინფორმატორი

ევროდეპუტატებმა ამჯერადაც, საჩვიდმეტმაისოდ მიმართეს ევროკომისიას, ევროკავშირის სახელმწიფოებსა და ევროსაბჭოს, ხელი შეუწყონ რუსეთის სამართალდამცავ ორგანოებს ჩეჩნეთის ლგბტ მოქალაქეების უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოძიებაში. ამასთან, ჩეჩნეთის ხელისუფლებას მოუწოდა, შეწყვიტოს ჰომოსექსუალების დევნის კამპანია და გაათავისუფლოს ყველა, ვინც ჯერ კიდევ ციხეშია დარჩენილი.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

# «ვაი, თქვენ, ფარისეველნო...»

**5000 დოლარს მიიღებს ჩეჩნეთიდან ევროპაში ან ამერიკაში წასასვლელად გამზადებული ელგებეტელი, გასაგებად რომ ვთქვა, მამათმავალი.**
**გვკლავენ, გვხოცავენ, გვჩაგრავენ, გვდევნიან და იძულებულნი ვართ, გავეცალოთ აქაურობასო, — გაჰკივიან ლგბტ-თემის აქტივისტები.**

ევროპის ქვეყნებში ჩასასვლელად ვიზალიბერალიზაციით გზაგახსნილმა ჩვენმა მოქალაქეებმა ჯერ იმაზე უნდა იზრუნონ, რომ სადმე და როგორმე შეაგროვონ საკმარისი თანხა (ჯიბეგამოფხეკილს ევროპაში ვინ შეგიშვებს!), რომლის მოძიების შესაძლებლობა რომ ჰქონოდათ, საქართველოდან გასვლაზე არც იფიქრებდნენ. ამათ კი ფულს უგზავნიან გულმოწყალე დასავლელი პედერასტები, ანუ მრავალრიცხოვანი გეიორგანიზაციები.

პოტენციური „თანამესარეცელენი".

უგზავნიან და ესენიც ხარჯავენ — ტრანსპორტით გადასაადგილებლად, საცხოვრებლისთვის, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (!), დოკუმენტების დასამზადებლად, სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად...

ხარჯი დიდია.

**ახლახან 200 000 დოლარი შეუგროვეს. აქედან 62 700 უკვე დახარჯეს. მარტივი ბუღალტერიაა, ძალიან მარტივი, მაგრამ არა ბოლომდე გასაგები და სარწმუნო. ცოტა საეჭვოც — რა თქმა უნდა, ხარჯვის მუხლებთან დაკავშირებით.**

თუმცა გაუგებარი არაფერია. როგორც ჩანს, ორიენტაცია არეულთათვის ვერცხლისმოყვარულობის მიმართულება უცხო არ არის: ყველგან, სადაც ამდენი ფულია, იქ „პატარა" კორუფციაც ამოფოფხდება შავ ხოჭოსავით, სახელად ფუნაგორია და იწყებს დაგროვებას ჭუჭყიანი მატერიის, რომელსაც, ფეკალიებისგან განსხვავებით, სუნი არ ასდის.

ამიტომ შფოთავენ გეიაქტივისტები და ოფიციალურად აცხადებენ, რომ არ იციან, „კერძოდ, როგორ იქნება გახარჯული *(სპონსორების მიერ მიწოდებული)* ეს ფული, ვის და როგორ გადაერიცხება, როგორი იქნება ანგარიშგება" და ა.შ.

უნდობლობა, ეტყობა, საკმარისად მასშტაბურია, რადგან შემოწირულობათა განმკარგველები იძულებული გახდნენ, ოფიციალურადვე, „რუსეთის ლგბტ ქსელის" მეშვეობით დაემშვიდებიათ მომჩივანნი: „ჩვენ გაგიზიარებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ დავხარჯავთ მიღებულ ფულს".

კაპიკ-კაპიკ წარმოგიდგენთო, ქალბატონებო და ქალბატონებო თუ ბატონებო და ბატონებოო...

„ვაი, თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო... ბრმა წინამძღოლებო, კოღოს მწურავებო და აქლემის მშთანთქავებო!" *(მათ. 23, 23-24).*

**ევროპა ჩეჩნეთში გეების „გენოციდის" წინააღმდეგ აღდგა: დახოცეს, გაანადგურეს, გაყარეს ქვეყნიდან და ასე შემდეგო. შემოიფხრიწეს საგაზეთო გვერდები და დაახეთქეს მიკროფონები აწივლებულმა „ნოვაია გაზეტამ", რადიო „თავისუფლებამ", „სნობმა"...**

ცოცხალი არავინ გაუშვესო. მაშ, ვინ არის ის 80 ადამიანი, რომლებსაც ამათი ორგანიზატორებისთვის მიუმართავთ?! თუ დახოცეს და გაანადგურეს, ეს ოთხმოცი საიდან აღმოცენდა?! „ამჟამად დახმარებისთვის მოგვმართა 80-ზე მეტმა ადამიანმა, დახმარება უკვე გავუწიეთ 42 ადამიანს", — ვიგებთ პრესრელიზიდან, რომელიც „რუსეთის ლგბტ ქსელით" გავრცელდა.

შეკითხვა დავსვით, პასუხს ვერ მივიღებთ, რადგან „ჩეჩნეთში გეების გენოციდის" გამო ატეხილი მთელი ამ ინფორმაციული ცუნამის განმავლობაში არ დასახელებულა არც ერთი კონკრეტული ფაქტი, არც ერთი დაზარალებულის გვარი და, საერთოდ, **ამ მასშტაბური „ფეიკის" ავტორებისთვის კონკრეტიკა ისეთივე უცხოა და მიუღებელი, როგორც ნორმალური ადამიანისთვის ავადმყოფური ორიენტაციაარეულობა.**

ერთადერთხელ სცადეს, ცოცხალ მოწმედ გამოეყვანათ ვინმე ტრანსგენდერი, რომელიც საიდუმლოების იმდენი შრით დაფარეს, რომ ეტყობა, ავტორებიც დაეჭვდნენ მის რეალურობაში.

„ტრანსგენდერმა ქალიშვილმა ჩეჩნეთიდან ანონიმურობის დაცვის პირობით ინტერვიუ მისცა ტელეარხ „დოჟდს". ლეილამ (სახელი შეცვლილია) თქვა, რომ იგი იძულებული გახდა, წასულიყო აშშ-ში განუწყვეტელი მუქარისა და მოსკოვის ცენტრში მასზე თავდასხმის გამო".

ეს „პირველი ჩეჩენი ტრანსგენდერი" იტყობინება, რომ ლგბტ-თემის წარმომადგენლებზე თავდასხმები ჩეჩნეთში 2007 წელს დაიწყო, მაგრამ რის საფუძველზე ამბობს ამას, არ ამბობს.

ამტკიცებს, რომ იცის, ვინ იყო გროზნოს ცენტრში მოკლული ორი ჩეჩენი მამათმავალი, მაგრამ მათ ვინაობას არ ამხელს.

ანონიმი რესპონდენტი ყვება, რომ აპირებდა არგენტინაში ჩასვლას, გაემგზავრა კიდეც, მაგრამ მეხიკოში რეისის შეცვლის წინ მიიღო ტექსტური შეტყობინება, რომ თავდამსხმელებმა იციან, სად აპირებს დამალვას, და გადაწყვიტა, აშშ-ისთვის შეეფარებინა თავი. იქ „იპოვეს" „დოჟდის" კორესპონდენტებმა და ინტერვიუ ჩამოართვეს. თავდამსხმელებმა კი „ვერ აღმოაჩინეს".

აი, ასეთი კონსპირატიული ისტორიაა.

უნიჭობა, გასაიდუმლოების მოშველიებით სიცრუის რეალობად გასაღების მცდელობა არც პირველი და არც უკანასკნელია, რადგან ამ დაავადების რეციდივები დასავლეთის მედიას უკვე აშკარად დაეტყო. ევროპარლამენტს კი არასოდეს დაუმალავს. **ევროდეპუტატებმა ამჯერადაც, საჩვიდმეტმაისოდ მიმართეს ევროკომისიას, ევროკავშირის სახელმწიფოებსა და ევროსაბჭოს, ხელი შეუწყონ რუსეთის სამართალდამცავ ორგანოებს ჩეჩნეთის ლგბტ მოქალაქეების უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოძიებაში. ამასთან, ჩეჩნეთის ხელისუფლებას მოუწოდა შეწყვიტოს ჰომოსექსუალების დევნის კამპანია და გაათავისუფლოს ყველა, ვინც ჯერ კიდევ ციხეშია დარჩენილი, უზრუნველყოს მათი, ასევე, ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების სამართლებრივი და ფიზიკური დაცვა.**

მაშინ, როცა დასავლეთის საინფორმაციო საშუალებები ჩეჩნეთში მამათმავლების ხოცვა-ჟლეტისა და მათდამი მხეცური დამოკიდებულების „უფაქტო ფაქტების" ტირაჟირებით არიან დაკავებული და ევროპარლამენტი პლენარულ სხდომაზე ამტკიცებს რეზოლუციას ჩეჩენი გეების მხარდასაჭერად, ჩეჩნეთის მეცნიერებათა აკადემია სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ **მამათმავლობის პრობლემა მათთან საერთოდ არ დგას, უფრო მეტიც, „დასავლეთის მედიის მიერ ინიცირებული კამპანიის დაწყებამდე „ჩეჩენი ხალხისთვის უცნობი იყო ლგბტ აბრევიატურაც კი".** ისინი ამტკიცებენ, რომ ჩეჩნეთის ტრადიციული საზოგადოებისთვის ჰომოსექსუალობის არსებობა საერთოდ წარმოუდგენელია. ჩეჩენმა მწერლებმა და ჟურნალისტებმა გამოაქვეყნეს მიმართვა, რომელშიც არა მხოლოდ უარყოფენ რესპუბლიკაში ლგბტ მოქალაქეების დევნას, არამედ — საერთოდ ჰომოსექსუალების არსებობას მათ „ძველთაძველ მიწაზე". **„ერთნაირსქესიანთა შორის ინტიმური ურთიერთობა აბსოლუტური ველურობაა და მიუღებელია ჩეჩნეთის საზოგადოებისთვის. ასეთია ჩეჩნეთის ტრადიციული კულტურის ერთ-ერთი თავისებურება", — განაცხადეს ჩეჩნეთის აკადემიის წევრებმა.**

ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ აღმოაჩინა ვერც ერთი დაზარალებული გეი.

სამაგიეროდ ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ლინას ლინკიავიჩუსმა** BNS-ის აგენტს უთხრა, რომ მისმა ქვეყანამ შეიფარა ჩეჩნეთიდან დევნილი ორი(!) გეი, რა თქმა უნდა, მათი ვინაობის დაუსახელებლად.

საკრალური რიცხვი 2: ანონიმი ტრანსგენდერი იცნობს 2 დაჩაგრულ გეის, 2 ჰომოსექსუალი შეიფარა ლიტვამ. ეს არის მთელ ამ ისტორიაში ერთადერთი კონკრეტიკა — 2 და 2. რაც თავისთავად ნიშნავს არაფერს.

ფუყეა...

ფაქტებს არ ასახელებენ არც საფრანგეთის სამი უმსხვილესი ლგბტ ორგანიზაციის Stop homophobie, Mousse და Comite idaho France ხელმძღვანელები, რომლებიც ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეთაურს, **რამზან კადიროვს**, ადანაშაულებენ ჰომოსექსუალების „გენოციდში" და მოითხოვენ მის წინააღმდეგ სასამართლო პროცესის დაწყებას. ფრანგული გაზეთი „ლე მონდი" იმოწმებს ამ ორგანიზაციათაგან ერთ-ერთის პრეზიდენტს — **ალექსანდრ მარსელს**, რომელიც ამბობს, რომ თითქმის ყოველდღე იღებს ახალ და ახალ ცნობებს ჩრდილოეთ კავკასიაში გეების დევნის შესახებ. აქაც კონკრეტიკის გარეშე — სად, როდის, რამდენი?

დაბოლოს, ევროპრესა, როგორც ჩანს, 17 მაისს განსაკუთრებით აღიგზნება ხოლმე ჰომოსექსუალურ ნიადაგზე.

„გაზაფხულია, დადგა მაისი..."

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. „ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, რომლებიც გარედან კი ასუფთავებთ სასმისსა თუ ჯამს, შიგნით კი სავსენი არიან მტაცებლობით და უსამართლობით.**

**ბრმა ფარისეველნო, ჯერ შიგნიდან გაასუფთავეთ სასმისი და ჯამი, რომ გარედანაც სუფთა იყოს"** ***(მათ. 23, 25-26).***



ორი ჩეჩენი გეი, რომლებიც ლიტვამ შეიფარა

**ევროპა ჩეჩნეთში გეების «გენოციდის» წინააღმდეგ აღდგა: დახოცეს, გაანადგურეს, გაყარეს ქვეყნიდან და ასე შემდეგო. შემოიფხრიწეს საგაზეთო გვერდები და დაახეთქეს მიკროფონები აწივლებულმა «ნოვაია გაზეტამ», რადიო «თავისუფლებამ», «სნობმა»...**

## თურქეთში სამთავრობო გაზეთის მთავარი რედაქტორი მოკლეს



**თურქეთში სამთავრობო გაზეთ Yeni Akit-ის მთავარი რედაქტორი, ქადირ დემირელი, მოკლეს. ცნობილ ჟურნალისტს ცივი იარაღით რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს.**

ახალი ამბების სააგენტო „ანადოლუს" ცნობით, შემთხვევა ოჯახურ კონფლიქტს მოჰყვა. დემირელსა და მის სიძეს, იავუზ კარანფილს, შორის კამათი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა და უბედური შემთხვევით დასრულდა.

ინციდენტისას დაშავდნენ ოჯახის სხვა წევრებიც, მათ შორის, ჟურნალისტის ქალიშვილიც. თავდამსხმელი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ მასზე ძებნა გამოაცხადა.



დიქტატის წინააღმდეგ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ისლამისტური რადიკალური დაჯგუფებები კუნძულ მინდანაოზე 1970-იანი წლების ბოლოს გამოჩნდნენ. 1989 წელს სეპარატისტებმა მიაღწიეს ავტონომიური რეგიონის შექმნას, მაგრამ კუნძულზე ძალადობა დღემდე გრძელდება. მინდანაოზე ძირითადი დაჯგუფებებია „ისლამური განმათავისუფლებელი ფრონტი მორო“ და „აბუ-საიაფი“, რომელიც სისასტიკით გამოირჩევა და, რომელმაც 2014 წელს ერთგულება შეჰფიცა „ისლამურ სახელმწიფოს“.

# იქ, სადაც ეწინააღმდეგებიან აშშ-ის დიქტატს, «ისლამური სახელმწიფო» აქტიურდება

**დაკვირვებული ადამიანი, რომელიც მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს ადევნებს თვალყურს, აუცილებლად შეამჩნევდა: საკმარისია, რომელიმე ქვეყანამ ამერიკის შეერთებული შტატების დიქტატზე, მისი მოთხოვნების უსიტყვოდ შესრულებაზე უარი თქვას, რომ მყისვე აქტიურდებიან ამერიკისვე ძალისხმევით შექმნილი ათიათასობით ადამიანის სისხლში ხელგასვრილი ტერორისტული ორგანიზაციები: „ალ-ქაიდა“, „ჯებჰათ ან-ნუსრა“ და, რა თქმა უნდა, „ისლამური სახელმწიფო“. ზუსტად ასე მოხდა რამდენიმე დღის წინათ ფილიპინებზე.**

ფილიპინების პრეზიდენტი **როდრიგო დუტერტე** იძულებული შეიქნა, შეეწყვიტა ვიზიტი მოსკოვში და სასწრაფოდ დაბრუნებულიყო სამშობლოში, რადგან ძალიან გამწვავდა ვითარება პროვინცია მინდანაოში, სადაც დაიწყო შეტაკება ფილიპინების არმიასა და „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერ შეიარაღებულ დაჯგუფებას შორის.

**24 მაისს ტერორისტებმა თავი მოჰკვეთეს ქალაქ მალაბანგის პოლიციის უფროსს, ასევე, მძევლად აიყვანეს ქალაქ მარავის კათოლიკური ეკლესიის მრევლის 10 წარმომადგენელი და 3 მღვდელმსახური, ქალაქ ედვინ დე ლა პენიაში კი ეპისკოპოსი დაატყვევეს.**

რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინთან** შეხვედრისას როდრიგო დუტერტემ გამოთქვა სურვილი, რუსეთისგან შეიძინოს თანამედროვე იარაღი „ისლამური სახელმწიფოს“ „ბოევიკებთან“ საბრძოლველად, ფილიპინებზე დაბრუნებისთანავე კი დუტერტემ ამერიკელები იარაღის მიწოდების ჩაშლაში დაადანაშაულა.

დუტერტემ პროვინცია მინდანაოში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა, სადაც მიმდინარეობს ბრძოლები სამთავრობო ძალებსა და ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერ დაჯგუფება „აბუ საიაფს“ შორის.

სამშობლოში მიმავალმა დუტერტემ თვითმფრინავში ჩაწერა ვიდეომიმართვა ფილიპინების მოსახლეობისადმი. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში სამხედრო მდგომარეობა 2 წლამდე გაგრძელდება. „თუ ყველაფერი ერთ თვეში დასრულდება, ბედნიერი ვიქნები. თანამემამულენო, ძალიან ნუ შეგეშინდებათ. მე შინ ვბრუნდები და მოვაგვარებ პრობლემებს, როგორც კი ჩამოვალ“, — განაცხადა მიმართვაში დუტერტემ, რომელმაც აღნიშნა, რომ რეგიონში სამხედრო მდგომარეობის შემოღება ყველა პრობლემას გადაჭრის.

**„მე მკითხეს, როგორი იქნება თქვენი პასუხი ტერორიზმზე, და მე ვუპასუხე, რომ ვიქნები დაუნდობელი, დაუნდობელი კანონის შესრულებაში“,** — ხაზი გაუსვა ფილიპინების პრეზიდენტმა.

**ისლამისტური რადიკალური დაჯგუფებები კუნძულ მინდანაოზე 1970-იანი წლების ბოლოს გამოჩნდნენ. 1989 წელს სეპარატისტებმა მიაღწიეს ავტონომიური რეგიონის შექმნას, მაგრამ კუნძულზე ძალადობა აქამდე გრძელდება. მინდანაოზე ძირითადი დაჯგუფებებია „ისლამური განმათავისუფლებელი ფრონტი მორო“ და „აბუ-საიაფი“, რომელიც სისასტიკით გამოირჩევა და, რომელმაც 2014 წელს ერთგულება შეჰფიცა „ისლამურ სახელმწიფოს“.**

## რუსეთი თუ აშშ?

რუსული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში დუტერტემ განაცხადა, რომ სჭირდება მაღალი სიზუსტის იარაღი, რათა საომარი მოქმედებებისას თავიდან აიცილოს მსხვერპლი მშვიდობიან მოქალაქეებს შორის. მან მიანიშნა, რომ სურს, ასეთი იარაღი რუსეთისგან შეიძინოს. მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ „რუსები უფრო გონებამახვილები არიან, ვიდრე ამერიკელები, თანაც — გულუხვები დახმარებისას“.

მოგვიანებით, ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისას, რომელიც მინდანაოზე ვითარების გამწვავების გამო, დაგეგმილ თარიღზე 2 დღით ადრე გაიმართა, დუტერტემ განაცხადა, რომ რუსეთისგან შეიძენს თანამედროვე იარაღს.

„ჩვენ შევუკვეთეთ იარაღი აშშ-ში, მაგრამ ამჟამად ვითარება გამწვავდა და იმისათვის, რომ ვებრძოლოთ „ისლამურ სახელმწიფოსა“ და მის ქვედანაყოფებს, თანამედროვე იარაღი გვჭირდება. მე ჩამოვედი იმისთვის, რომ გთხოვოთ დახმარება და თქვენგან მივიღო მხარდაჭერის დაპირება, ჩვენგან კი მიიღოთ მეგობრობა“, — განუცხადა დუტერტემ რუსეთის პრეზიდენტს.

ექსპერტთა აზრით, **დუტერტე ცდილობს ფილიპინების საგარეო-პოლიტიკური ვექტორის შეცვლას და რუსეთისკენ გადატანას, მაგრამ ეს ძალიან გაუჭირდება, რადგან მისი ქვეყანა კვლავ დიდად არის დამოკიდებული აშშ-ზე — ფილიპინები აშშ-ის კოლონია იყო. 1946 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, კი აშშ-ს თავის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განლაგების უფლება მისცა.** 2016 წლის 30 ივნისს პრეზიდენტის პოსტის დაკავების შემდეგ დუტერტემ რამდენჯერმე მწვავედ გააკრიტიკა **ბარაკ ობამას** ადმინისტრაცია და თვით აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი შეურაცხმყოფელი სიტყვებითაც შეამკო. დუტერტეს, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ტრამპის მიმართ სიმპათიურად არის განწყობილი, არც აშშ-ის ამჟამინდელი ადმინისტრაციის მიმართ შეუცვლია რიტორიკა და ამერიკელები სამშობლოში ჩასვლისთანავე მიცემული სიტყვის გატეხაში — იარაღის მომარაგების პირობის შეუსრულებლობაში დაადანაშაულა. ჩანს, **აშშ-ს სურს, დასაჯოს ფილიპინების პრეზიდენტი, რადგან ის, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მსგავსად, თავდახრილი არ ასრულებს მისი სამშობლოს ინტერესების საწინააღმდეგო ბრძანებებს.**

აშშ-ის ყოფილი კოლონია ფილიპინები 102-მილიონიანი მოსახლეობით, როგორც ჩანს, მკვეთრად იცვლის საგარეო კურსს და რუსეთის მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობს.



**დუტერტე ცდილობს ფილიპინების საგარეო-პოლიტიკური ვექტორის შეცვლას და რუსეთისკენ გადატანას, მაგრამ ეს ძალიან გაუჭირდება, რადგან მისი ქვეყანა კვლავ დიდად არის დამოკიდებული აშშ-ზე — ფილიპინები აშშ-ის კოლონია იყო. 1946 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, კი მან აშშ-ს თავის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განლაგების უფლება მისცა**

**ნიკა კორინთელი**

# ქრისტიანების ხოცვა-ჟლეტა გრძელდება

## ეგვიპტეში თავს დაესხნენ ავტობუსს, რომლითაც ქრისტიანები მგზავრობდნენ. დაიღუპა 26 ადამიანი

**ეგვიპტის პროვინცია ელ-მინიაში ტრასაზე მიმავალ 2 ავტობუსს, რომლებშიც ქრისტიანი კოპტები ისხდნენ, 10-მდე შეიარაღებულმა პირმა ცეცხლი გაუხსნა. ეგვიპტის ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის — ჰალედ მოგაჰედის განცხადებით, დაიღუპა 26 ადამიანი, დაიჭრა — 35. მათგან რამდენიმე მძიმე მდგომარეობაშია.**

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ავტობუსში ისხდნენ ქრისტიანი კოპტები, რომლებიც მოსალოცად მიემგზავრებოდნენ წმინდა სამუელის მონასტერში. ერთ-ერთი ავტობუსით მგზავრობდა 40-მდე ბავშვი.

ეგვიპტეში 9 მლნ ქრისტიანი ცხოვრობს, უმრავლესობა — კოპტი. ისინი არაერთხელ ყოფილან ექსტრემისტების თავდასხმის მსხვერპლნი.

2016 წლის დეკემბერში კაიროში, კოპტების ეკლესიაში, ტერორისტებმა ბომბი ააფეთქეს, დაიღუპა 22 ადამიანი, დაიჭრა — 57.

ტერაქტების ბოლო სერია, რომელიც მიმართული იყო კოპტების წინააღმდეგ, მიმდინარე წლის 9 აპრილს მოაწყვეს. ბზობის დღესასწაულზე, საზეიმო მღვდელმსახურებისას ალექსანდრიის წმინდა მარკოზისა და ტანტეს წმინდა გიორგის ტაძრებში ექსტრემისტებმა ორი აფეთქება მოხდა. დაიღუპა 40 ადამიანი, დაიჭრა — 100-ზე მეტი. ამ ტერაქტებზე პასუხისმგებლობა „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა დაიკისრეს.



# «საქართველოში საწვავის ფასს, ბაზარი კი არა, კომპანიების მადა განსაზღვრავს»

**მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების შემცირება საქართველოში საწვავის ფასზე არ აისახება, — მიაჩნია არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ ვიცეპრეზიდენტ პაატა ბაირახტარს.**

„მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი ამ ეტაპზე შემცირებულია, მაგრამ საქართველოში ბენზინის ფასებს ბაზარზე კონკურენცია კი არ განსაზღვრავს, არამედ მსხვილი ნავთობკომპანიების მოთხოვნები“, — განუცხადა პაატა ბაირახტარმა „სპუტნიკ-საქართველოს“. მისი თქმით, როდესაც ნავთობის ფასმა მსოფლიოში ლამის მაქსიმუმს მიაღწია, ხოლო 1 დოლარის ღირებულებამ — თითქმის 2,8 ლარს, ქართულ ბაზარზე საწვავის ფასი საგრძნობლად არც მაშინ შეცვლილა და მხოლოდ რამდენიმე თეთრით განსხვავდებოდა დღეს არსებულისგან.

„თუ დღეს ბაზარზე არსებულ სიტუაციას გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ იმ სხვაობას, რომელიც მცირე და დიდი ბრენდული კომპანიების ფასებს შორის არსებობს და 23-25 თეთრს შორის მერყეობს. ეს ძალიან დიდი სხვაობაა და რამდენიც უნდა ვისაუბროთ, რომ მათ ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება სხვადასხვა თანხა უჯდებათ, მსგავსი ტიპის სხვაობა შეთანხმებებისა და არაჯანსაღი კონკურენციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა“, — ვარაუდობს პაატა ბაირახტარი.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 2017 წლის 1 მაისის ვაჭრობის შედეგებით, მსოფლიოს წამყვან ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზე ნავთობის ფასი შემცირდა. კერძოდ, ლონდონში Inter Continental Exchange Futures Europe-ზე (ICE Futures Europe)-რენტ ტიპის ნავთობის ფასმა შეადგინა 51,66 (-0,07) დოლარი/ბარელზე, ნიუ-იორკში (NYMEX) — Light Sweet ტიპის ნავთობის ფასმა — 48,84 (-0.49) დოლარი/ბარელზე.



**2017 წლის 20 მარტს „ფორბსმა“ მილიარდერების 31-ე ყოველწლიური სარეიტინგო სია გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც დედამიწაზე მილიარდერების რაოდენობამ პირველად გადააჭარბა 2000 კაცს — იყო 1810, ახლა არის 2043. ამ ადამიანების საერთო ქონებამ კი 18%-ით მოიმატა და ამჟამად ის 7,7 ტრილიონ დოლარს შეადგენს.**

**კლანი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ მართავენ მსოფლიოს «ღარიბი» როტშილდები

## რატომ არ შეიყვანა «ფორბსმა» ყველაზე მდიდარი ადამიანების სარეიტინგო სიაში როტშილდების კლანის წარმომადგენლები




**როტშილდების კლანისადმი ინტერესმა ბოლო 200 წლის განმავლობაში კიდევ ერთხელ მოიმატა — ამჯერად საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, რომელშიც 39 წლის ემანუელ მაკრონმა გაიმარჯვა. მაკრონის აღზევებას პოლიტიკურ ავანსცენაზე ბევრი ექსპერტი უკავშირებს იმ ფაქტს, რომ ამ ახალგაზრდა კაცმა 5 წლის წინათ გადადგა პირველი ნაბიჯები სახელისუფლო დერეფნებში და ეს მოხდა პარიზში მოქმედი როტშილდების ბანკიდან. სწორედ ამიტომ ამბობენ, რომ როტშილდები — „მეფეთა ბანკირები და ბანკირთა მეფეები“ — ისევე, როგორც XIX-XX საუკუნეებში, დღესაც მართავენ საფრანგეთს (და მსოფლიოს).**

არავის უარუყვია კაპიტალისტური საზოგადოების ფორმულა, რომლის თანახმად, ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის პოლიტიკური გავლენა პირდაპირპროპორციულია კაპიტალისა, რომელსაც ეს ადამიანი (ან ჯგუფი) ფლობს. შესაბამისად, ყველაზე გავლენიანად უნდა ჩაითვალონ ადამიანები, რომლებიც მოწინავე ადგილებზე არიან ჟურნალ „ფორბსის“ მილიარდერთა სარეიტინგო სიაში.

**2017 წლის 20 მარტს „ფორბსმა“ გამოაქვეყნა მილიარდერების 31-ე ყოველწლიური სარეიტინგო სია, რომლის მიხედვითაც დედამიწაზე მილიარდერების რაოდენობამ პირველად გადააჭარბა 2000 კაცს — იყო 1810, ახლა არის 2043. ამ ადამიანების საერთო ქონებამ კი 18%-ით მოიმატა და ამჟამად ის 7,7 ტრილიონ დოლარს შეადგენს.**

სარეიტინგო სიის პირველ საფეხურს, უკვე მეოთხე წელია, ზედიზედ იკავებს „მაიკროსოფის“ დამფუძნებელი **ბილ გეიტსი**. მისმა ქონებამ 75-დან 86 მლრდ-მდე მოიმატა. მეორე ადგილზეა Berkshire Hathaway-ის ხელმძღვანელი **უორენ ბაფეტი**, რომლის ქონებამაც 12 თვის განმავლობაში 14,8 მლრდ დოლარით მოიმატა და 75,6 მლრდ-ს მიაღწია. 72,8 მილიარდით მესამეა Amazon-ის დამფუძნებელი **ჯეფ ბეზოსი**, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში 5 საფეხურით წაიწია წინ.

ამ ადამიანებისთვის, სავარაუდოდ, პოლიტიკური საქმიანობა უცხო არ არის, მაგრამ პოლიტიკურ პროცესებზე მათი გადამწყვეტი გავლენის შესახებ თითქმის არავინ ლაპარაკობს.

მაგალითად, აშშ-ში 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობისას ცხარედ კამათობდნენ შესაძლო გავლენებზე, მაგრამ ამერიკულ პრესაში ვერ ნახავთ სტატიას, რომ არჩევნებზე აქტიურ გავლენას ახდენდა ბილ გეიტსი ან უორენ ბაფეტი, ან კიდევ ჯეფ ბეზოსი. მათ სახელებს კი, ვისზეც ეჭვობდნენ, რომ აქტიურად ერეოდნენ ჰილარი კლინტონისა და დონალდ ტრამპის საპრეზიდენტო პოსტისთვის ბრძოლაში, „ფორბსის“ სარეიტინგო სიის, არათუ პირველ ათეულში, ასეულშიც იშვიათად შეხვდებით. მაგალითად, **ჯორჯ სოროსი**, ერთ-ერთი ეჭვმიტანილი, 29-ე ადგილზეა 25,2 მილიარდიანი კაპიტალით. **დევიდ როკფელერი** (გარდაიცვალა 102 წლისა, 2017 წლის 20 მარტს) ამ კლანის ერთადერთი წარმომადგენელი, რომელიც სარეიტინგო სიაში მოხვდა, 581-ე ადგილზეა „მოკრძალებული“ თანხით — 3,3 მლრდ დოლარით. და **რაც ყველაზე განსაცვიფრებელია, 2043 მილიარდერს შორის ვერ იპოვით ვერც ერთ როტშილდს!** ამ დიდი ოჯახის არც ერთი წარმომადგენელი არ ფიგურირებს „ფორბსის“ მიერ 31-ჯერ გამოქვეყნებული მილიარდერების სარეიტინგო სიაში. არადა, როტშილდების მიმართ ინტერესი გაცილებით დიდია, ვიდრე ამ სიაში წარმოდგენილი მდიდრებისა, რადგან, ბევრი ექსპერტის აზრით, როტშილდები უხილავად მოქმედებენ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე.

აი ძირითადი აქტივები, რომლებსაც განკარგავენ როტშილდების იმპერიის წარმომადგენლები:

**საბანკო სფერო:** 1. ბანკი N.M.Rothchild & Son (ლონდონი). როტშილდების უძველესი ბანკი, დაარსებულია 1811 წელს. მართავს ბარონი **დევიდ დე როტშილდი; 2.** ბანკი Rothchild & Cie (საფრანგეთი). მართავს დევიდ დე როტშილდი; **3.** ბანკი შვეიცარიაში Rothchild AG (ციურიხი), რომელსაც მართავს **ელი როტშილდი; 4.** ბანკი JNR Ltd, აფინანსებს რუსულ და უკრაინულ კომპანიებს. მართავს **ნათანიელ როტშილდი.** ლონდონური, ფრანგული და შვეიცარული ბანკები გაერთიანებულია Rothchild Group-ში, რომელიც ითვლის 57 ოფისს 5 კონტინენტის 45 ქვეყანაში. ამ ოფისებში მუშაობს დაახლოებით 3 ათასი თანამშრომელი. Rothchild Group-ი კომპანიების შეერთებისა და „გადაყლაპვის“ სფეროში საქმიანობს.

**ფინანსური ჰოლდინგები და საინვესტიციო ფონდები: 1.** ჰოლდინგური კომპანია Concordia B.V., ხელმძღვანელობს ბარონი დევიდ დე როტშილდი, თანამფლობელები არიან ლონდონური და პარიზული ბანკები; **2.** სადაზღვევო ფონდი Afficus Capital Inc., რომელსაც მართავს ნათანიელ როტშილდი; 3. კომპანია „სოსიეტე დ’ენვესტისმან დიუ ნორი“; **4**. ჰეჯ-ფონდი Atticus Capital-ი, რომლის კაპიტალი 14 მლრდ-ს შეადგენს.

**მომპოვებელი საწარმოები: 1.** კომპანია „რიო ტინტო“. მოიპოვებს ქვანახშირს, რკინას, სპილენძს, ურანს, ოქროს, ალმასსა და ალუმინს; **2.** De Biers-ი, საქმიანობს ალმასების დამუშავებასა და გაყიდვის სფეროში. ხელმძღვანელია **ეველინ როტშილდი.**

**ენერგეტიკა:** Vanco International Limited-ი.

**დეველოპერული ბიზნესი, სასტუმროები და რესტორნები:**

**1.** დეველოპერული კომპანია „ტრიგრანიტი“ (უნგრეთი). აქ ნათანიელ როტშილდის აქციების წილი 12%-ია. ამ კომპანიამ რუსეთსა და უკრაინაში 5 მლრდ დოლარის ინვესტიციები განახორციელა; **2.** სასტუმროებისა და რესტორნების ქსელი RLM-ი, რომელსაც ელი როტშილდი მართავს.

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და გამომცემლობები: 1.** Economist-ი, Daily Telegraph-ი (ეველინ როტშილდი); **2.** პარიზული გამოცემა „პრეს დე ლა სიტე“, ფრანგული გაზეთი „ლიბერასიონი“, „ბი-ბი-სი“ (ამ კომპანიის ხელმძღვანელია ედმუნდ როტშილდის სიძე **მარკუს ეგიუსი**) და სხვ.

**ბიზნესის სხვა სახეობები: 1**. „ფერსტმარკ კომუნიკეიშენს ინტერნეშნლ“ და „ფილდფრეშ ფუდსი“ (მფლობელები არიან ეველინ როტშილდი და მისი მეუღლე **ლინ ფორესტერი**); **2.** სამუსიკო კომპანია F7Music-ი აშშ-ში (**ენტონი როტშილდი**); **3.** ღვინის წარმოება (ციხესიმაგრე და მამულები შატო მუტანი და შატო ლაფიტი, სადაც აწარმოებენ შატო მუტანის მარკის ღვინოს); **4.** 100-ზე მეტი პარკი და ბაღი ევროპის ტერიტორიაზე.

როტშილდების კლანის მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან მეურნეობას მართავს კომპანია Rothchild & co., რომელსაც, თავის მხრივ, აკონტროლებენ როტშილდების ფრანგული და ინგლისური შტოები. ამ კომპანიის სააქციო კაპიტალის 60%-ს როტშილდები ფლობენ, დანარჩენი აქციები ბირჟებზე თავისუფლად ბრუნავს.

საინტერესოა, რომ Rothchild & co-ის ყოველწლიური მოგება, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 1-დან 1,5 მილიარდამდეა, სუფთა მოგება — 50-დან 200 მლნ-მდე; უორენ ბაფეტის კი — შესაბამისად, 210,8 მლრდ და 24,1 მლრდ, ანუ მარტოხელა მილიარდერის, უორენ ბაფეტის, ფინანსური მაჩვენებლები რამდენჯერმე აღემატება როტშილდების იმპერიის მაჩვენებლებს. არადა, XIX საუკუნიდან დღემდე როტშილდების ქონება არ შემცირებულა, პირიქით.

**ნიკოლას ჰაგერი** თავის გახმაურებულ წიგნში „სინდიკატი. მსოფლიო მთავრობის შექმნის ისტორია და მისი ზემოქმედების მეთოდები მსოფლიოს პოლიტიკასა და ეკონომიკაზე“ (Nicolas Hagger. The Syndicate. The Story of the Coning world covermment. O books, 2004) წერს: **„როგორ შევაფასოთ როტშილდების ქონება? თუ 1850 წელს როტშილდების 6 მლრდ დოლარი (ყველაზე დაბალი შეფასება) ჰქონდათ და ყოველწლიურად 4-დან 8%-მდე მოგებას ნახულობდნენ, მაშინ მათი ქონება 1,9-დან 491 ტრილიონ დოლარს უნდა შეადგენდეს. დავუშვათ, მისი ქონება 1 ტრილიონი დოლარია. თუ გავითვალისწინებთ, რომ 300 მილიარდზე ცოტა მეტი დოლარის მფლობელს დღეს შეუძლია მსოფლიოს ყველა ბანკში დაცული ოქროს შესყიდვა, ხოლო აშშ-ის ეროვნული ვალი (2004 წელს — რედ.) 7,5 ტრილიონს შეადგენს, გასაგები იქნება როტშილდების მდგომარეობა ფინანსურ სამყაროში“.**

თანამედროვე ლიტერატურაში როტშილდების კლანის რეალური ქონებრივი მდგომარეობა შეფასებულია 3 ტრილიონ დოლარად. ანუ როტშილდების ფინანსურ-ქონებრივი მდგომარეობა ზუსტად არ არის ასახული საფინანსო ანგარიშებში, აგრეთვე, „ფორბსის“ სარეიტინგო სიებში. ჩნდება კითხვა: **რით აიხსნება ასეთი შეუსაბამობა?**

**პირველი ვერსია.** როტშილდების კლანი მრავალრიცხოვანია და სიმდიდრე, რომელიც მათ XIX საუკუნის წინაპრებისგან ერგოთ, თანაბრად ნაწილდება კლანის ყველა წევრზე.

კლანის პატრიარქის — **მაიერ ამშელ როტშილდის** (1744-1812) ანდერძის მიხედვით, როტშილდები ერთ დიდ ოჯახად უნდა შეიკრან, „გარედან“ მოსულების მიმართ კი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ. ნებისმიერი როტშილდის ქონება 1 მლრდ-ს არ უნდა აღემატებოდეს, „ზედმეტი“ ქონება კი კლანის სხვა წევრებზე უნდა გადანაწილდეს.

**მეორე ვერსია.** დიდი ხანია, როტშილდები სატრასტო კომპანიებს იყენებენ, რომლებიც საიმედო საშუალებაა კაპიტალისა და აქტივების დასამალავად. უწინარესად, საგადასახადო სამსახურებისა და სამართლებრივი ორგანოების (განსაკუთრებით, თუ კაპიტალი მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით) თვალისგან. აგრეთვე, სხვადასხვა ჯურის რევოლუციონერებისა და რადიკალებისგან, რომლებზეც გვარი როტშილდი ისე მოქმედებს, როგორც წითელი ნაჭერი ხარზე. ცნობილია, რომ სატრასტო კომპანიები ამერიკაში 100-ზე მეტი წლის წინათ გაჩნდა, იდეა ეკუთვნოდა როტშილდებს, რომლებიც დღესაც აქტიურად იყენებენ ასეთ კომპანიებს. მაგალითად, **ჯორჯ სოროსის აქტივები არის კაპიტალი, რომელიც როტშილდებმა სამართავად გადასცეს ყველასთვის უცნობ უნგრელ ებრაელს — შვარცს, და რომელიც შეთავსებით ასრულებს როტშილდების პიარსამსახურის ფუნქციებს.**

**მესამე ვერსია.** როტშილდების კლანის არსებობის 200 წლის განმავლობაში განისაზღვრა მისი სპეციალიზაცია მსოფლიოს ბიზნესში. პირველი — ეს არის ოქრო, მეორე — ნარკობიზნესი — ჩრდილოვანი მოღვაწეობა. არც ნარკოტიკებთან დაკავშირებული ოპერაციები და არც ამ ოპერაციების შედეგები ოფიციალურ საფინანსო ანგარიშებში არ აისახება. რაც შეეხება ოქროს, ისიც აქტიურად მოძრაობს ეკონომიკის ჩრდილოვან კონტურზე. ამას გარდა, დღეს ოქრო ნელ-ნელა ქრება ბანკების საფინანსო ანგარიშებიდან. ეს თავისებური საბალანსო აქტივია, რომელსაც „ოქროს მეპატრონეები“ (როტშილდები) კომერციული და პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად იყენებენ.

აი ამით აიხსნება, რატომ არიან თანამედროვე როტშილდები ასეთი „ღარიბები“.

ვებგვერდ fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

ეს უნდა გვახსოვდეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბიზანტიის იმპერიის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა მრავალი ჭირი მიაყენეს სამცხე-საათაბაგოსა, რომლის დაპყრობასაც ძლიერ ეტანებოდნენ და ამისთვის ქრისტიანობის აღმოფხვრა უნდოდათ. მაგრამ 1625 წლამდე სამცხე-საათაბაგოს მთავრებს მტკიცედ ეპყრათ ქრისტიანობა და ყოველთვის თავ-გაწირულობით, თავ-დადებით ებრძოდნენ ოსმალოთა, ასე რომ ოსმალებმა ვერ დააკლეს რა ვერც სარწმუნოებასა, ვერც ქართველობის გვარტომობასა, თუმცა მრავალი მსხვერპლი კი შეაწირვინეს“.**

# წყევლაკრულვიანი საკითხავი

## «ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს!»

ამ დღეებში საქართველოს პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი დელეგაციით ანკარაში ჩავიდა, სადაც თურქეთის პრემიერმინისტრსა და პრეზიდენტთან შეხვედრისას კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, რომ „სტაბილური და ძლიერი თურქეთი არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი“. თურქეთის ელჩმა საქართველოში კი საქართველოს პრემიერმინისტრის ანკარაში ვიზიტს ისტორიული უწოდა. „ძალიან ადვილია, იყო მეგობარი, როდესაც ყველაფერი კარგად არის. მეგობრობა კრიტიკულ პერიოდში ვლინდება. პრემიერ კვირიკაშვილის ვიზიტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველო ჩვენი სტრატეგიული მეგობარია. თურქეთ-საქართველოს მეგობრობა სამუდამოა, ამას ჩვენ არ დავივიწყებთ, ამიტომაც ვასახელებ ამ ვიზიტს ისტორიულად“, — განაცხადა ელჩმა.

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს...

„კუ და მორიელის“ იგავივითაა: კუ რომ მორიელს დაეხმარება (ამჯერადაც „მეგობრობა კრიტიკულ პერიოდში ვლინდება“), მორიელი კი გადამრჩენელს ზურგზე კბენას დაუწყებს და თავს იმით იმართლებს, რომ „რა ვქნა, არც მე მნებავს, მაგრა ასეთის გვარისანი ვართ, მტერსა და მოყვარეს ყველაყას უნდა ვუკბინოთო“.

როცა ასეთი „ისტორიული მეგობარი“ „სამუდამო მეგობრობას“ გვეფიცება, საღად მოაზროვნე ადამიანს შეიძლება გულმა რეჩხი უყოს, — ემანდ კიდევ რაღაც მზაკვრობა ხომ არ ჩაიფიქრაო...

ძველს რომ თავი დავანებოთ, განა გუშინ არ „გვთხოვა“, დიდგორობა არ იზეიმოთ და მისი უქმე დღედ გამოცხადება გულში მეორედ აღარ გაივლოთო?!

ისიც ხომ არ უთქვამს, ნეტა, რაც ისტორიულად თქვენია და ჩვენმა წინაპრებმა წაგართვეს, კი დაგიბრუნებდით, მაგრამ „ასეთის გვარისანი ვართ“ და ისევ „თქვენდამი დიდი მეგობრობის ნიშნად“ სახსოვრად დავიტოვებთო?

ან — ნუ გეშინიათ, აჭარიდან ფეხს არ მოვიცვლით, უფრო მეტნი და მეტნი ჩამოვსახლდებით, ერთი წამითაც „არ მიგატოვებთო“?..

ბოლო პერიოდში ხელისუფლება ხშირად ახსენებს „უმადურ“ მოსახლეობას, რომ ქვეყანა ილიას გზით მიჰყავს. ჰოდა, ჩვენც მანდ ვართ — მიჰყევით ილიას გზას და ეს მისი წერილიც გულდასმით წაიკითხეთ და გააანალიზეთ. ნახეთ, თურქეთის სიძლიერე რამდენად „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი“ იყო საქართველოსთვის.



წერილი „ოსმალოს საქართველო“ ერთ-ერთ ფუნდამენტურ ტექსტად ითვლება, რომელშიც ილია მკაფიოდ აყალიბებს კონცეფციას ეროვნული ერთიანობის შესახებ. წერილის ტექსტი „ივერიის“ 1877 წლის IX ნომერში გამოქვეყნდა. მისი დაწერა უკავშირდება რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომსა და ოსმალეთის შემადგენლობაში დარჩენილი ქართული ტერიტორიების დაბრუნების იმედს, რომელიც ამ ომმა გაუღვიძა ქართველებს. ილია ხაზს უსვამს ქართველი ერის ორად გახლეჩილი ნაწილის სისხლისა და ენის ერთობას, ყურადღებას ამახვილებს ისტორიულ ხსოვნაზე, როგორც ეროვნული ერთიანობის საყრდენსა და მომავალი მთლიანობის შესაძლო საძირკველზე.

# ოსმალოს საქართველო

ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისი სულის ღონეს, თავისი სულის ბგერას, თვის ზნეობით და გონებით აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული – ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. **თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო.**

„ივერიის“ წარსულ ნომერში მოხსენიებულს ნაწილებს ოსმალოს საქართველოსას დიდი პატივისცემა და ხელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვითარსებობისთვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია. **ოდეს ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალო ამ ჩვენს მშვენიერს ქვეყანას ეტანებოდნენ და ურთიერთს ეცილებოდნენ, მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალოს ხელშია, მედგრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნოების, განათლების, ერთ-მთავრობის დადგინებისთვის და მათდა და ჩვენთა სასახელოდ ძლევითაც მოსილ იქმნა.**

საკვირველს მედიდურს სანახაობას წარმოადგენს იგი საქართველოს ისტორიაში, როდესაც საქართველო დაყოფილ იყო წვრილ სამთავროებად და ერთი ნაწილი სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მეორე — ჯერ ბიზანტიისა და მერმე ოსმალოს ზემოქმედების ქვეშ, **ზემო-ქართლი, რომელსაც ეხლა ოსმალოს საქართველოს ვუწოდებთ, ხან ერთს ნაწილს მიემხრობოდა, ხან მეორეს, და თვისის მომხრეობით განაძლიერებდა ქართველებს თვით-არსებობის დასაცველად. მაშინ თითქმის მარტო მას ეჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა.**

პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში, მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპმსახურება სუფევდა. ქრისტეს აქეთ პირველ საუკუნეში ადრეკი მეფეს (60 წ.) უნდოდა კერპ-თაყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისათვის საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ ისევ წმინდა ნინოს მოსვლამდე.

როდესაც ბიზანტიის და სპარსეთის შუა ატყდა შესანიშნავი ბრძოლა „ლაზიკის“ თაობაზედ, მაშინ ეხლანდელი ოსმალოს საქართველო დიდ საისტორიო ასპარეზად შეიქმნა მათთა შორის. სპარსეთი ძლეულ იქმნა და იგი ნაწილი საქართველოსი დარჩა ბიზანტიის უფლების ქვეშ. შემდეგ ქართლ-კახეთთან შეერთების სურვილმა აღმოიჩინა თავი, მაგრამ ბიზანტიამ დაუშალა და მისცა მხოლოდ უფლება, ქართველი კათალიკოზი იყოლიონ. „რათა დასხდებოდენ კათალიკოზად ნათესავნი ქართველნი და არა ბერძენნი, და აქვნდეს უაღრესობა ყოველთა ეკლესიათა და მღვდელ-მთავართა ზედა“. ეს მოხდა 586 წ. ქრისტეს შობიდან. ამგვარად, მთელის საქართველოს ერთობის წადილს ცოტად თუ ბევრად კმაყოფილება მიეცა, სულიერად მაინც, თუ არ ხორციელად. მეექვსე საუკუნის დასასრულს კლარჯეთის და ჯავახეთის მთავარი გურამ კურაპალატი, ბაგრატიონის გვარის კაცი, ბიზანტიის შემწეობით შეიქმნა მეფედ ქართლ-კახეთისაცა და ამგვარად დიდი ნაწილი საქართველოსი შეერთდა საქართველოსვე ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შემწეობითა. თუმცა ამის შემდეგ ისევ დაირღვა საქართველო ნაწილებად, მაგრამ არტანუჯის ბაგრატიონთა გვარი გაძიერდა და ამას მოჰყვა მთელის საქართველოსათვის ნაყოფიერი და საკეთილო შედეგი.

როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ და მაჰმადიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, ეხლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისთვის ილვწოდა ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძღოლობითა. ეხლაც დარჩენილა მრავალი დიდ-შვენიერნი, თლილის ქვით ამოყვანილი და მხატვრობით შემკული ეკლესიები, იმ დროს აღშენებული იმავე დროს სამცხე-კლარჯეთის ქართველნი მიდიოდნენ საბერძნეთს სწავლის მისაღებად, ნასწავლნი მოდიოდნენ უკანვე და ჰფენდნენ სწავლასა და საქართველოს ხალხთა შორის. იმ დროს, როდესაც ტფილისსა და გარშემო ადგილებში მაჰმადიონიბის გავრცელებას მეცადინეობდნენ თავისი არაბულის წიგნების შუამავლობითა, სამცხე-კლარჯეთის ქართველნი საღმრთო და საერო წიგნებს ქრისტიანობისას ჰსთარგმნიდნენ და ქრისტეანობის განმტკიცებისთვის აწესებდნენ მონასტრებსა, რომლებშიაც ყმაწვილებისათვის სასწავლებელთ მართავდნენ.

უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ეხლანდელის ოსამლოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიქადულო „ვეფხის-ტყაოსნის“ მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხრის კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თვისი სახელმგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთს დროს.

ბოლოს ბაგრატიონთა გვარის კაცი მეფე ბაგრატ III გაძლიერდა იმოდენად, რომ 1014 წ. შეაერთა სრულიად საქართველო და ჩვენი ქვეყანა შეიქმნა ძლიერ და სახელოვან. ეხლანდელმა ოსმალოს საქართველომ იმ შეერთებისათვის დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანას, დიდი სისხლი დაანთხია, დიდი ქველობა გასწია.

თამარ მეფის შემდეგ, ე.ი. ჟამს, როდესაც ჩვენი ქვეყნის ერთობა დაირღვა, ეხლანდელს ოსმალოს საქართველოში მფლობელობდა სამცხის ათაბაგი, რომელიც ახლციხეში მკვიდრობდა და იგი ადგილი წოდებული იყო სამცხე საათაბაგოდ. **ბიზანტიის იმპერიის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა მრავალი ჭირი მიაყენეს სამცხე-საათაბაგოსა, რომლის დაპყრობასაც ძლიერ ეტანებოდნენ და ამისთვის ქრისტიანობის აღმოფხვრა უნდოდათ. მაგრამ 1625 წლამდე სამცხე-საათაბაგოს მთავრებს მტკიცედ ეპყრათ ქრისტიანობა და ყოველთვის თავ-გაწირულობით, თავ-დადებით ებრძოდნენ ოსმალოთა, ასე რომ ოსმალებმა ვერ დააკლეს რა ვერც სარწმუნოებასა, ვერც ქართველობის გვარტომობასა, თუმცა მრავალი მსხვერპლი კი შეაწირვინეს**. 1625 წ. ბექამ მოწამლა თავისი ძმისწული, უკანასკნელი ათაბაგი მანუჩარ, გადაუდგა ქრისტიანობას, ქართველობას, მიიღო ორ-თუღიანი ფაშობა ოსმალეთისგან სამცხე-საათაბაგოში და სახელად დაირქვა საფარ-ფაშა. ამის გამო ბევრნი თავადაზნაურნი და გლეხნი გადმოიხვეწნენ ქართლს, ზოგიერთებს იქ დარჩენილთა მიაღებინეს მაჰმადიანობა, ზოგს ძალდატანებით, ზოგს მოტყუებით და მაცდურობით; სამღვდელონი და ეპისკოპოსნი მოსწყვიტეს, საყდრები დასძარცვეს, და ყოველი საღმრთო-საერო წიგნები ცეცხლს მისცეს. ჩვენი მოძმე ქრისტიანი ხალხი დარჩა უწინამძღვროდ, უმოძღვროდ, უეკლესიოდ და სასოწარკვეთილი, მწარედ დაჩაგრული, უწყალოდ დევნილი და განადგურებული, ნელ-ნელად მიეცა მაჰმადიანობასა.

დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან, **ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იდუმალად აღიარებს ქრისტიანობასაო, რომ დღესაც ათისა თუ თერთმეტის წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთ მოსანათლავად, ზოგი ჩვენებურად ჯვარსაც იწერს, ოსმალების იდუმალად თურმე.**

ეგრეთ, — მთავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები – ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი. დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ დედოფლისამ, უქმად ჩაუარა ამოდენად ტანჯულს, ბედისაგან დევნულს, ერთობისათვის და ქრისტიანობისათვის სისხლდათხეულსა საქართველოსა. სარწმუნოების სხვა-და-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს, ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარ-ცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი — აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობისმყოფელს სავანესა და — სინიდისის თავისუფლებასა. **არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ. ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამ-პაპათა....**

**გაზეთი „ივერია“, 1877წ., №9**

**P.S. ამ პუბლიკაციის მიზანი თურქეთთან მტრობის გაღვივება სულაც არ არის, პირიქით — მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის მომხრე ვართ, მაგრამ არა ისტორიის გაყალბების, რეალობის მიჩქმალვის ხარჯზე. დაე, იცოდნენ თანამედროვე თურქებმაც, თუკი მართლაც სურთ ჩვენთან „სამუდამო მეგობრობა“, მათმა წინაპრებმა რა ზიანი მიაყენეს საქართველოს; იცოდნენ, რომ დიდგორის ბრძოლა იმის საუკეთესო მაგალითია, როგორ ვაჟკაცურად და თავგანწირვით იცავდა საუკუნეების განმავლობაში ქართველი ხალხი ოსმალოსაგან მამულს, ენას და სარწმუნოებას!**

**...და რომ კვლავაც იზრდებიან „ალგეთს ლეკვები მგლისანი“!**

**„იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული, მაგრამ ყველასათვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა“.**

ეს უნდა გვახსოვდეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„რუსულმა სკოლა-მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითეული ჩვენგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწაფებოდა ამ ორს წყაროს თავის სულიერ წყურვილის მოსაკლავად“.

ილია ჭავჭავაძე

# «რუსული სკოლა-მეცნიერება» და ქართველი სამოციანელები

**როცა პატრიოტი მწერალი ამას ამტკიცებდა, მას, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვდა თავისი სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი კულტურის მდიდარი ტრადიციები, მაგრამ იმ პერიოდში საქართველოში არ იყო არც უმაღლესი სასწავლებლები, არც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ხოლო რუსულ „სკოლა-მეცნიერებასა“ და საზოგადოებრივ აზროვნებას ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა მსოფლიოში.**

როგორც ცნობილია, XIX საუკუნეში კულტურული ცხოვრებისა და რევოლუციური აზრის ცენტრი გახდა პეტერბურგი, განსაკუთრებული ავტორიტეტი მოიპოვა ქართველთა შორის პეტერბურგის უნივერსიტეტმა, რომელიც 1819 წელს დაარსდა. ახალგახსნილ უნივერსიტეტს ჯერ ხუთი წელიც არ შესრულებოდა, რომ მისი კარი შეაღო ჭაბუკმა **სოლომონ დოდაშვილმა**, რომელიც აღტაცებით წერდა: **„იმპერატორის უნივერსიტეტი, საკუთრად წოდებული, არს ფრიად მაღალი სასიბრძნო ადგილი, რომელთაცა აქა აღრიცხვა შეუძლებელ არს“.**

1825 წელს პეტერბურგში სასწავლებლად ჩავიდა მომავალი გამოჩენილი ფილოლოგი **დავით ჩუბინაშვილი**, რომელიც უნივერსიტეტის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ — 40-იანი წლებიდან იმავე უნივერსიტეტში შეუდგა პედაგოგიურ და მეცნიერულ მუშაობას.

პეტერბურგის უნივერსიტეტში 1845 წელს შეიქმნა აღმოსავლური ენების ფაკულტეტი, არაბული, სპარსული, ქართული, სომხური და სხვა ენების კათედრებით. ქართული ენის კათედრამ დიდად შეუწყო ხელი ქართული მეცნიერების განვითარებას.

გასაკვირი არ არის, ქართველ ჭაბუკებს სანატრელ ოცნებად რატომ გადაექცათ სახელგანთქმულ უნივერსიტეტში სწავლა. ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან ქართველი ახალგაზრდობა მასობრივად დაიძრა „ჩრდილოეთის პალმირისაკენ“. **თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუს და ქართველ მოწინავე კულტურულ ძალთა შეხვედრების ცენტრს თბილისი წარმოადგენდა, საუკუნის მეორე ნახევრიდან ასეთ ცენტრად პეტერბურგი გადაიქცა.** ქართველ სამოციანელთა მოგონებები ნათელყოფს, თუ რა ძლიერი იყო ამ დროს პეტერბურგისაკენ სასწავლებლად ლტოლვა.

„არა ერთსა და ორს ჩვენს ყმაწვილკაცს გაიტაცებს ხოლმე თავგამომეტებით თავის საყვარელ სამშობლოდან, რომ იქ, სადმე დაეწაფოს ცოდნის ანკარა წყაროს, რადგანაც ახლო იგი წყარო ნეტარებისა ჯერ არ სჩქეფს“, — წერდა **ი. ჭავჭავაძე** (ტ. IV, გვ. 336).

**აკაკი წერეთლის** მოგონებებში ვკითხულობთ: „დამდეგ მაისს გამოვეთხოვე დედ-მამას, იმერეთს და დავადექი გზას. სრულიად გამოუცდელს ცხოვრებაში, ბევრის არა მცოდნეს და სრულიად არაფრის მნახველს უნდა ზღვა გამევლო, ხმელეთი გადამელახა და ერთი ბიჭის ამარა ჩავსულიყავ პეტერბურგში“ (თხუთმეტტომეული, ტ. VII, გვ. 77).

ასევე დიდი სიყვარულით იგონებდა 1861 წლის გაზაფხულს **ნიკო ნიკოლაძე**, როცა გაემგზავრა „პეტერბურგისკენ, უნივერსიტეტში შესასვლელად“.

პეტერბურგის უნივერსიტეტში გატარებული „ოთხი ოქროს წელი“ (1857-1861) **ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა „ცხოვრების საძირკვლად, ცხოვრების წყაროს სათავედ“.**

„იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! — მგზნებარედ მიმართავდა იგი თანამემამულეებს რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, — პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული, მაგრამ ყველასათვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა“.

ისინი იქ ისმენდნენ გამოჩენილი რუსი პროფესორების ლექციებს, გატაცებით კითხულობდნენ ჟურნალ „სოვრემენნიკს“, ხარბად ეწაფებოდნენ რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს, პირადად ხვდებოდნენ ჩერნიშევსკისა და მის თანამებრძოლებს, მათთან ერთად მონაწილეობდნენ 1861 წლის ცნობილ „სტუდენტთა მღელვარებაში“.

ყოველივე ამაზე მგზნებარედ და დაწვრილებით მოგვითხრობს ნიკო ნიკოლაძე თავის შესანიშნავ მემუარებში **„სტუდენტობის პირველი დრო“, „მოგონებანი სამოციან წლებზე“** და **„სხვათა შორის“.**

„...კალმით ვერ ავწერ იმ აღტაცებას, რომელიც ჩვენ გამოვცადეთ მაშინ, როცა უნივერსიტეტში მიგვიღეს. ...პეტერბურგი ის ქალაქია, სადაც მე პირველი ახალგაზრდული აღტაცება და ყმაწვილური ოცნების ეშხი გამიცვნია, სადაც პირველათ აყვავებულა ჩემი გრძნობა და იმედი, სადაც პირველი ნათელი და მძლავრი შთაბეჭდილება ღირსებია ჩემს ტვინსა და გულს“, — ნიკო ნიკოლაძის ეს სიტყვები კარგად გამოხატავს პეტერბურგში განათლებამიღებულ ქართველ სამოციანელთა აზრსა და გრძნობას.

**თავისი რუსი მასწავლებლების მსგავსად, პეტერბურგში მოსწავლე ქართველი სტუდენტები დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით განიმსჭვალნენ საკუთარი ხალხისა და სამშობლოს წინაშე, სტუდენტობის დროიდანვე ჩაებნენ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის პროგრესისთვის ბრძოლაში.** პეტერბურგმა, რევოლუციური იდეების ამ აკვანმა და კულტურის უდიდესმა კერამ, პუშკინისა და ჩერნიშევსკის შესანიშნავმა ქალაქმა სამუდამოდ წარუშლელი კვალი დატოვა თერგდალეულთა გულსა და სულში. ისინი ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარულითა და აღფრთოვანებით, ამაღლებული და მგზნებარე სიტყვებით იგონებდნენ იქ გატარებულ დროს.

ბუნებრივია, ჩვენი სამოციანელებისა და ხალხოსნების მრავალმხრივი შემოქმედების დაუშრეტელი წყარო საქართველოს რეალური სინამდვილე და მდიდარი კულტურული ტრადიციები იყო, მაგრამ არც ერთი ლიტერატურა არ ვითარდება სხვა ქვეყნების ლიტერატურისგან იზოლირებულად. ქართველ სამოციანელებსა და მოწინავე რუსულ ლიტერატურაზე შემდეგ ნომერში ვისაუბრებთ.

# უკვდავი სახელები: ნიკო ცხვედაძე

**„ჩვენი ხსოვნიდან არ უნდა ამოიშალოს ამ ქართველის სახელი. მართალია, მას არ ჰქონია ისეთი ბრწყინვალე, მომადლებული ნიჭი, როგორიც ილიასა და აკაკის, მაგრამ სამაგიეროდ, სული ჰქონდა წმინდა, გული წრფელი და დაუშრეტელი სიყვარული სამშობლო ერისა. ეს სიყვარული შთანერგილი ჰქონდა პატარაობიდანვე. გაჭირვება, ტანჯვა, სიღარიბე წიგნებიდან კი არ ჰქონდა გაცნობილი, არამედ თვით ცხოვრებამ, თვით სინამდვილემ გამოატარა ამ ჭახრაკში“ (იაკობ მანსვეტაშვილი, „ნახული და გაგონილი“, 1936 წ.).**



ეს ქართველი იყო ნიკო ცხვედაძე — სოფლის ღარიბი მღვდლის შვილი, სიღარიბეში დაბადებული, სიღარიბეში აღზრდილი.

დაიბადა 1845 წელს ცხინვალის რაიონში, პირველდაწყებითი განათლება მიიღო თბილისის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო საშუალო — სასულიერო სემინარიაში. 1865-1869 წლებში სწავლობდა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ პედაგოგად მუშაობდა თბილისის ქალთა ინსტიტუტსა და წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელში. აქ იგი დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძეს, დიმიტრი ყიფიანს, იაკობ გოგებაშვილსა და 40 წლის მანძილზე დაუღალავად ემსახურებოდა ქვეყანას. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი, მისი წესდების პროექტის ავტორი და გამგეობის წევრი, 1899-1907 წლებში კი — ამ საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე.

„მას არ ჰქონდა მწერლობის ნიჭი, არ იყო კალმის პატრონი, მაგრამ, **თუ რაიმე საქმეს ხელს მოჰკიდებდა, გზიდან არ გადაუხვევდა. ჭირვეული იყო, ფანატიკოსი საქმისა. არ იცოდა, რა იყო დამცირება, არაკადნიერად მოქცევა, დაცინვა, — ყველას აიტანდა, ყველაფერს მოისმენდა, ოღონდ მიზნისათვის მიეღწია, განსაზღვრული საქმე საქმეზე მოეყვანა.**

**თუ დღეს ჩვენ გვაქვს ის საუცხოვო, დიადი შენობა, რომელიც ვაკედგან ამაყად ქალაქს დაჰყურებს და ამშვენებს, მტერს თვალებს უყენებს და მოყვარეს გულს უხარებს, ის შენობა, სადაც დღეს ქართული უნივერსიტეტი იმყოფება, — ეს უნდა დავუმადლოთ ნიკო ცხვედაძეს, იმის მხნეობას, იმის ერთგულებას, იმის თავის განწირვას“ (იაკობ მანსვეტაშვილი**).

როდესაც სათავადაზნაურო სკოლა საყოველთაო საშუალო სასწავლებლად გადაკეთდა, მას საკუთარი თავშესაფარი არ ჰქონდა — ხან ერთ შენობაში გადაიტანდნენ, ხან მეორეში, მაგრამ სწავლებისთვის ყველა უვარგისი და გამოუსადეგარი იყო; საკუთარი შენობის შეძენაზე უნდა ეფიქრათ, მაგრამ შესაფერისი თბილისში იმხანად არაფერი იყო. ვაკეში მიწის შეძენა მოახერხეს, მაგრამ ახლა შენობის ასაგებად ფული არ ჰქონდათ. იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს, რომ „გადავწყვიტეთ, ჩვენი საწყალი ჯიბეები გადმოგვებრუნებინა და, რაც გვქონდა, ამოგვებერტყაო“. შეადგინეს ქართველ მოხელეთა, მსახურთა სიები და ასე გროშობით, სწორედ გროშობით შეკრებილი ფულით ჩაუყარეს საძირკველი ამ საშვილიშვილო საქმეს. 1898 წელს ნიკო ცხვედაძის ინიციატივით დაიწყო სათავადაზნაურო სკოლის მშენებლობა, რომელიც მას შემდგომში თბილისის უნივერსიტეტის შენობად ჰქონდა წარმოდგენილი. ცხადია, გროშებით შორს ვერ წავიდოდნენ და სწორედ აქ იჩინა თურმე ცხვედაძის მოხერხებულობამ თავი, შენობის ასაგები თანხა მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეგროვდა.

**„ამოიღებდა ნიშანში, ვისაც კი რაიმე ქონებას შეამჩნევდა, შეუჩნდებოდა და, მინამ ფულს არ გამოაღებინებდა, არ მოეშვებოდა. არც ერთი შეძლებული ქართველი არ გადაურჩებოდა ცხვედაძის ხარკს. ჩვენში იქნებოდა, რუსეთში თუ უცხოეთში, ყველგან ხელს მიაწვდენდა, ყველას გამოამეტინებდა რასმე.** ხერხი იცოდა, ვისთან როგორ უნდა მისულიყო, ვისთვის საიდამ მოევლო. რაც უფრო შორს მიდიოდა, მით უფრო მეტი მადა ეშლებოდა ჩვენს ნიკოს. ჯერ განზრახული იყო მხოლოდ ორ-სართულიანი შენობა, მერე მადა გაეხსნა და ორი სართული ოთხად გადააქცია. ახლა კი წვრილ-წვრილად მოგროვებული შემოწირულებანი ხარჯებს ველარ ჰფარავდა. უნდა სხვა გზას დასდგომოდა და ამ გზამ ნიკო მიიყვანა დავით სარაჯიშვილთან და ჩვენს ბანკთან.

**სარაჯიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უხვად გაშალა ხელი და არას ზოგავდა ამ საქმისათვის. მის თამასუქებს ანაღდებდნენ ხოლმე საკომერციო ბანკებში ასი ათასი მანეთობით“.**

სათავადაზნაურო ბანკი კი თავიდან ადვილად იძლეოდა ფულს, მაგრამ, როდესაც დაინახეს, რომ ხარჯი სულ უფრო მატულობდა, ბანკის პატრონი თავადაზნაურობა აჯანყდა. გაიძახოდნენ თურმე — „სწორედ გიჟია ეგ ვიღაც ცხვედაძეა, გადარეულა, ლამის მთელი ბანკის შემოსავალი სულ იმ შენობაში ჩაგვაყრევინოსო“. ილიას საყვედურობდნენ: შენ აქებ იმ ვიღაცა ცხვედაძეს და ისიც, რასაც უნდა, იმას აკეთებს. ჩვენ ათასი გაჭირვება გვაქვს, ყველაფერზე უარს გვეუბნები და იქ კი უანგარიშოდ აბნევთ აუარებელ ფულსო. „ილია, ცოტა არ იყოს, შეკრთებოდა ხოლმე და გასაგლეჯად გაბრაზებულ თავადაზნაურობას ცხვედაძეს მიუგდებდა.

— ნიკო! მოდი კრებაზე, შენ თითონ მიეცი პასუხი და ანგარიში, — ეტყოდა ხოლმე ილია ცხვედაძეს.

ცხვედაძეც უარის უთქმელად გამოვიდოდა, თუმცა კარგად იცოდა, რამდენი უსიამოვნება მოელოდა გაბრაზებული ყრილობისაგან, მაგრამ წარმოგიდგინეთ, **ეს აღელვებული ხალხი ერთბაშად მიჩუმდებოდა ხოლმე, როდესაც თვალწინ წამოუდგებოდა გულკეთილი, გულუბრყვილო, მუდამ მომღიმარი კაცი და დაიწყებდა ლაპარაკს ტკბილად, როგორც მოკეთე, თანაც გატაცებული იმ აღმაფრენი რწმენით, რომ ეს საქმე საშვილიშვილოა, საჭიროა მთელი ქართველობისათვის და ხარჯს არ უნდა შეუშინდეთ, საქმეს არ ელალატებაო.**

...დაგვიჯერეთ, არ ინანებთ, მერე მადლობასაც გვეტყვით. **აგერ ხმები ისმის და იქნებ კიდეც გამართლდეს, რომ ტფილისში უნივერსიტეტის გახსნის ნებას გვაძლევენო. დეე, შენობა მზად გვქონდეს, იქნება როდისმე ქართულ უნივერსიტეტსაც ველირსოთ“.**

ამ სიტყვებით ბევრის გულს მოინადირებდა ხოლმე და ფულსაც აძლევდნენ, მაგრამ იყვნენ ისეთი ავყიებიც, რომლებიც ლანძღავდნენ, ჭკუაზე შერყეულს ეძახდნენ, ბანკის დამღუპველად სთვლიდნენ. ნიკო მათ ყურადღებას აღარ აქცევდა, ფული მიეღო და მათი ქება-დიდება მისთვის საჭირო არ იყო.

„საწყალი ნიკო! ფანტაზიორს ეძახდნენ, გიჟს, ჭკუაზე შეშლილს. რად? რად და იმად, რომ ოცნებობდა ქართულ უნივერსიტეტზე. იქნება, ეს ოცნება იყო. ოცნება ფანატიკოსისა, რომელსაც მტკიცედ სწამს, რომ ოდესმე ეს ოცნება ასრულდება. დღეს ხომ ვხედავთ, რომ ეს ოცნება სინამდვილედ გადაიქცა, ეგ არის, რომ საწყალ ნიკოს არ დასცალდა ამის ნახვა“, — ამ ნაღველგარეული სიტყვებით ასრულებს მანსვეტაშვილი ამ დიდ მამულიშვილზე საუბარს.

ნიკო ცხვედაძე 1911 წელს გარდაიცვალა, დაკრძალეს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში, 2008 წლის 26 ნოემბერს კი მისი ნეშტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში გადაასვენეს.

გვერდები მოამზადა **დარეჯან ანდრიაძემ**

თეთრი ყვავი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბრიუსელში 25 მაისს გამართულ ნატოს სამიტზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების მეთაურთა ცოლებმა, ტრადიციისამებრ, ერთობლივი ფოტოები გადაიღეს. მათ შორის თეთრი ყვავივით იყო ლუქსემბურგის გეიპრემიერის, ქსავიე ბეტილის, ქმარი (თუ ცოლი? — ნ.კ.), ლუქსემბურგის „პირველი ჯენტლმენი“ გოტიე დესტენეც. გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის მეუღლე კი არსად ჩანდა.**



# ივანკა ტრამპს ფოტოზე გამოსახული ფეხბურთელი წმინდანი ეგონა





**აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ქალიშვილს იტალიის დედაქალაქ რომის წმინდა ეგნატეს სახელობის კაფეში სტუმრობისას კურიოზი შეემთხვა. ივანკა ტრამპმა რომის საფეხბურთო კლუბ „ლაციოს“ ფორვარდის, ჯორჯო კინალიას, ფოტო წმინდანის გამოსახულებად მიიჩნია.**

ამერიკის პრეზიდენტის ქალიშვილმა დაწესებულების მფლობელს ჰკითხა, რომელი წმინდანი იყო გამოსახული ფოტოზე. „ეს წმინდანი არ არის, ეს „ლაციოს“ ლეგენდარული ფეხბურთელია“, — აუხსნა კაფეს მფლობელმა ივანკა ტრამპს.

**ჯორჯო კინალია** (1947-2012) „ლაციოს“ ღირსებას 1969-1976 წლებში იცავდა. 263 თამაშში გაიტანა 140 გოლი, იყო იტალიის ნაკრების წევრი, 1976 წლიდან თამაშობდა ამერიკის საფეხბურთო ჩემპიონატში და ნიუ-იორკის „კოსმოსის“ მაისურით გამოდიოდა.

# შემოყვანილი ამერიკული ავტომობილების 50%-ს საბუთში უწერია, რომ ჯართია

**რეგისტრაციის აკრძალვამ იმ ავტომობილებისა, რომლებსაც საჭე მარჯვენა მხარეს აქვთ, რეალიზაცია მინიმუმამდე დაიყვანა. ავტომობილების იმპორტი კი, რომლებსაც საჭე მარცხენა მხარეს აქვთ, საქართველოში 40%-იან ზღვარს გადასცდა.**

ყველაზე დიდი ზარალი ამ რეგულაციის გამო ავტოდილერებმა განიცადეს.

„იაპონური, ანუ მარჯვენასაჭიანი ავტომობილები ხარისხითაც სჯობია ამერიკულს და გაცილებით ახალიც არის, ამიტომ ისინი ძალიან კარგად იყიდებოდა. ამჟამად რა ხდება? — ბაზარზე მომატა ამერიკიდან შემოსული ავტომობილების რაოდენობამ, რომელთა 50%-ს საბუთში უწერია, რომ ეს არის „ჯუნკ“, ანუ ჯართი. ესე იგი, ჩვენ, ქართველები, მეჯართეები ვყოფილვართ — შემოგვაქვს ჩამოწერილი, ჯართად ქცეული მაქანები და მერე ამ ჯართით დავდივართ“, — განაცხადა ერთ-ერთმა დილერმა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას.



# ლუქსემბურგის «პირველი ჯენტლმენი» ნატოს ქვეყნების ლიდერთა ცოლებთან ერთად პოზირებდა



ფოტოზე: პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ): საფრანგეთის პრეზიდენტის ცოლი ბრიჯიტ მაკრონი; თურქეთის პრეზიდენტის ცოლი ემინე ერდოღანი; აშშ-ის პრეზიდენტის ცოლი მელანია ტრამპი; ბელგიის დედოფალი მატილდა; ნატოს გენერალური მდივნის ცოლი ინგრიდ შულერუდი; ბულგარეთის პრეზიდენტის ცოლი დესისლავა რადევა; ბელგიის პრემიერმინისტრის მეგობარი ქალი ამელი დერბოდრანგიენი; მეორე რიგში (მარცხნიდან): ლუქსემბურგის პრემიერმინისტრის მეუღლე გოტიე დესტენე, სლოვენიის პრემიერმინისტრის მეგობარი ქალი მოიკა სტროპნიკი და ისლანდიის პრემიერმინისტრის ცოლი ტორა მარგრეტ ბალდვინსდოტირი.

**ბრიუსელში 25 მაისს გამართულ ნატოს სამიტზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების მეთაურთა ცოლებმა, ტრადიციისამებრ, ერთობლივი ფოტოები გადაიღეს. მათ შორის თეთრი ყვავივით იყო ლუქსემბურგის გეიპრემიერის, ქსავიე ბეტილის, ქმარი (თუ ცოლი? — ნ.კ.), ლუქსემბურგის „პირველი ჯენტლმენი“ გოტიე დესტენეც. გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის მეუღლე კი არსად ჩანდა.**

ფოტოები გადაღებულია ბრიუსელის ერთ-ერთ რაიონ ლაკენში, ბელგიის სამეფო ოჯახის სასახლეში.

ლუქსემბურგის პრემიერმინისტრი ბეტილი და დესტენე 2015 წელს დაქორწინდნენ, მას შემდეგ, რაც ლუქსემბურგის ხელისუფლებამ დააკანონა ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს შორის ქორწინება და მათ მიერ ბავშვის შვილად აყვანა.



**ნიკა კორინთელი**

# პენტაგონი უკრაინას მოკავშირედ არ მიიჩნევს



**ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების „მეგობრობა“ რომ დროებითია და ეს ქვეყანა მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის ზრუნავს, კიდევ ერთხელ დაადასტურა აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელის, გენერალ-ლეიტენანტ ვინსენტ სტიუარტის რამდენიმე დღის წინანდელმა განცხადებამ.**

„უკრაინა აშშ-ის პარტნიორია, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ ის მოკავშირეთა კატეგორიაშია. ვიცი, რომ ის ძლიერი პარტნიორია, მაგრამ არაფერი მსმენია იმაზე, რომ ჩვენ უკრაინასთან ალიანსში ვარ“, — განაცხადა ამერიკელმა გენერალმა **ვინსენტ სტიუარტმა**.

ექსპერტთა აზრით, აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმარველოს ხელმძღვანელის განცხადება იმას ნიშნავს, რომ უკრაინა დამოუკიდებლად ველარ მიიღებს გადაწყვეტილებებს (ან როდის იღებდა? — ლ.მ.) და იძულებული შეიქნება, ვაშინგტონის მითითებები უსიტყვოდ შეასრულოს. აშშ სამხედრო დახმარებას უკრაინას მხოლოდ მაშინ გაუწევს, თუ სანაცვლდ რამე დასჭირდება, მაგალითად, ტერიტორია ან უკრაინის მზადყოფნა, დაემორჩილოს ვაშინგტონის წესებს.

ვინსენტ სტიუარტის განცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე The Wall Street Journal-ი იუწყებოდა, რომ აშშ-ს განზრახული აქვს, უარი თქვას იმ ქვეყნების უანგარო დახმარებაზე, რომლებსაც ფული სამხედრო მიზნებისთვის სჭირდებათ.

ამ ქვეყნებს შორის არის უკრაინა. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ბიუჯეტის მიხედვით, სახელმწიფოს ხარჯი 32%-ით, ანუ 3,5 ტრილიონი დოლარით უნდა შემცირდეს.

**ლუკა მაისურაძე**

**აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმარველოს ხელმძღვანელის განცხადება იმას ნიშნავს, რომ უკრაინა დამოუკიდებლად ველარ მიიღებს გადაწყვეტილებებს (ან როდის იღებდა? — ლ.მ.) და იძულებული შეიქნება, ვაშინგტონის მითითებები უსიტყვოდ შეასრულოს. აშშ სამხედრო დახმარებას მხოლოდ მაშინ გაუწევს უკრაინას, თუ სანაცვლდ რამე დასჭირდება, მაგალითად, ტერიტორია ან უკრაინის მზადყოფნა, დაემორჩილოს ვაშინგტონის თამაშის წესებს**

**ბროწეული მდიდარია A, C, E, B1, B2, PP ვიტამინებით, რკინით, იოდით, კალციუმით, კალიუმითა და სილიციუმით. თესლის წვნიანი გარსი ბროწეულის მთავარი ღირსებაა. მასში არის გლუკოზა, ფრუქტოზა, ლიმონის, ვაშლისა და სხვა ორგანული მჟავები, ტანინი, მიკროელემენტები.**

ფერმერის სკოლა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბროწეულის ნერგის წარმოება და ბაღის გაშენება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

**ბროწეული (Punica granatum) ფოთოლმცვენი ეკლიანი ბუჩქი ან ტანდაბალი ხეა (სიმაღლით 2-6 მეტრი). ბროწეულის სამშობლოა ირანი და ანატოლია (თურქეთი), თუმცა დღეს, ამ ქვეყნების გარდა, იგი დიდი რაოდენობით მოჰყავთ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მშრალ რეგიონებში, ინდოეთში, აშშ-ში, ტროპიკულ აფრიკაში, ისრაელში, ავღანეთში, სირიაში, მაროკოში, ესპანეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.**



ევროპას ბროწეულით, ძირითადად, ესპანეთი ამარაგებს. ევროკავშირის ბაზარზე ბროწეულის მსხვილი მიმწოდებლები არიან, აგრეთვე, თურქეთი და ისრაელი. ევროკავშირი ბროწეულის იმპორტს მთელი წლის განმავლობაში ახორციელებს, საბითუმო ფასი კილოგრამზე 1,80 ევრომდე (ჯიშის მიხედვით) მერყეობს.

საქართველოში ბროწეული ხარობს როგორც დასავლეთ (ტენიანი ჰავის პირობებში), ისე აღმოსავლეთ (მშრალი ჰავის პირობებში) ნაწილში, მაგრამ ამ გემრიელ და სასარგებლო ხილზე მოთხოვნა მეტწილად იმპორტით კმაყოფილდება. საქართველოში ბროწეულის წარმოების კარგი პოტენციალია, დიდია მოთხოვნა სხვა ქვეყნებშიც, სწორედ ამ გარემოებათა გათვალისწინებით ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში ბროწეულის პლანტაციების გაშენება დაიწყო.

## სასარგებლო თვისებები

ბროწეული მდიდარია A, C, E, B1, B2, PP ვიტამინებით, რკინით, იოდით, კალციუმით, კალიუმითა და სილიციუმით. თესლის წვნიანი გარსი ბროწეულის მთავარი ღირსებაა. მასში არის გლუკოზა, ფრუქტოზა, ლიმონის, ვაშლისა და სხვა ორგანული მჟავები, ტანინი, მიკროელემენტები.

**ბროწეულის წვენი აღძრავს მადას, მატებს ჰემოგლობინს სისხლში, ასუფთავებს სისხლს და ხელს უწყობს ორგანიზმის გასუფთავებას რადიაციისგან. სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისას. გამოიყენება როგორც გამაჯანსაღებელი საშუალება. ეხმარება ორგანიზმს აღდგენაში ავადმყოფობისა და ოპერაციების შემდგომ.**

ბროწეულის კანი, ფოთლები, ხის ქერქი მდიდარია მთრიმლავი ნივთიერებებით. მათ თხელი ტყავების დასამუშავებლად და საღებავების წარმოებაში იყენებენ.

## მოთხოვნები გარემო პირობებისადმი

ბროწეული მშრალი სუბტროპიკული ჰავის მცენარეა, მაგრამ მრავალ ფორმათა წარმოქმნის უნარის გამო მას სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში გავრცელების ფართო დიაპაზონი აქვს. ბროწეული უხვ და მაღალხარისხიან მოსავალს ცხელი და მშრალი ჰავის პირობებში იძლევა. იგი მაღალხარისხიან პროდუქციას იძლევა იმ რაიონებში, რომლებშიც აქტიური ტემპერატურების ჯამი 40000 აღემატება. აქტიური ტემპერატურების ჯამი დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ მოსავლიანობასა და მის ხარისხზე, არამედ იგი წარმოადგენს ბროწეულის კულტურისთვის ადგილის შესარჩევ ერთ-ერთ ძირითად აგროკლიმატურ მაჩვენებელსაც.

**ბროწეული ვრცელდება ადგილებში, სადაც მცირე რაოდენობით მოდის ნალექი (180-560 მმ). კარგად ხარობს ტენიან რაიონებშიც, სადაც ნალექების რაოდენობა 1200-2000 მმ-ია.**

მცენარის გვალვაგამძლეობა მკვეთრად ეცემა გენერაციული ორგანოების წარმოქმნის სტადიაში. ამ დროს, ჯერ ერთი, მცენარეს დიდი რაოდენობით უვითარდება უნაყოფო ზარისებრი ყვავილები და, მეორე მხრივ, ყვავილები და ნასკვები გაძლიერებულად ცვივა.

## ნერგის წარმოება

ბროწეული მრავლდება თესლით და ვეგეტატიური ნაწილებით. თესლით გამრავლების დროს თაობა არაერთგვაროვანია. ბროწეულის ნერგის გამოყვანა და მაღალპროდუქტიული ერთგვაროვანი ნარგაობის მიღება, რომელიც ადრე შედის მსხმოიარობაში, შესაძლებელია ვეგეტატიური ნაწილებით გამრავლების გზით.

პრაქტიკული და ეკონომიური თვალსაზრისით, ყველაზე მოხერხებული და გამართლებული წესი კალმებით დაფესვიანებაა, რომლისთვისაც გამოიყენება, როგორც მწვანე, ისე გამერქნებული კალმები.

ბროწეულის გამრავლებისა და ნერგის წარმოების გადიდებისთვის, ჯიშებისა და ფორმების დიდი რაოდენობით სარგავი მასალის მიღებისთვის გთავაზობთ ჩვენ მიერ შემუშავებულ პროგრესულ მეთოდს: კალმების დაფესვიანება და ნერგის აღზრდა წარმოებს წაკვეთილი კონუსური ფორმის, საკვები სუბსტრაქტით (ნიადაგი + ნაკელი 1:1-თან შეფარდებით) შევსებული პოლიეთილენის ტომრების გვერდით ზედაპირზე.

დასაფესვიანებლად გამოიყენება ერთწლიანი 20-25 სმ სიგრძისა და 0,9-1,1 სმ დიამეტრის კალმები, რომლებიც ტომრის ზედაპირზე უნდა განვალაგოთ 15X15 სმ კვების არით. სუბსტრატში მოთავსებულ კალმის ნაწილზე კვირტები დაბრმავებულია. სტანდარტული ნერგის გამოსავლიანობა 1 მ2-ზე 160-170 ცალი ნერგია.

## ბაღის გაშენება

ადგილის შერჩევისას გასათვალისწინებელია ფართობის რელიეფი. ბაღი შეიძლება გაშენდეს როგორც ვაკე ადგილებში, ისე სხვადასხვა დაქანებისა და ექსპოზიციის ფერდობებზე. Gგანსხვავებული რელიეფის პირობებში უპირატესობა ვაკე ან მცირე დაქანების ფერდობებს ენიჭება, სადაც გაადვილებულია სამუშაოთა მექანიზებულად ჩატარება, უკეთესია მცენარეთა კვების პირობები. ფერდობი ადგილებიდან ბაღის გასაშენებლად პირველ რიგში სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის დაქანებები უნდა გამოიყოს.

ბაღის გაშენებისას, დარგვის წინ, შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე ნიადაგი 40-45 სმ სიღრმეზე უნდა მოიხნას. უმჯობესია, პირველ წელს გასაშენებელ ნიადაგზე სიდერატების ან ერთწლიანი მცენარეების თესვა.

ბაღის გაშენებისას ნაკვეთის დაგეგმვა კვადრატული წესით ტარდება. ასეთი წესით გაშენებულ ბაღში ნიადაგის დამუშავებისას მექანიზაციის გამოყენება იზრდება, როდესაც მცენარეთა შორის მანძილი ჯიშებისათვის — 5X3; 4 X 2,5 მ-ია;

**ბროწეულის კულტურის გაშენება შეიძლება როგორც შემოდგომაზე, ასევე გაზაფხულზე; მცენარის გახარებისათვის დარგვა უმჯობესია ადრე გაზაფხულზე. დასარგავად საუკეთესო პერიოდია მარტი, რადგან ნიადაგში საკმაო ტენია და მცენარის ვეგეტაცია არ არის დაწყებული.**

არ უნდა დავუშვათ ნერგების ფესვების მექანიკური დაზიანება და მისი გამოშრობა, ამიტომ ნერგები დარგვამდე მიმარხულ მდგომარეობაში უნდა შევინახოთ, ამგვარად ფესვები საკმაო რაოდენობის ტენით იქნება უზრუნველყოფილი. ნერგის მიმარხვისას ნიადაგი ირწყვება.

ბაღის გაშენებისას ერთ-ერთი საკითხია მინერალური სასუქების დოზებისა და საკვები ელემენტების შეთანაწყობით გამოყენება. სარწყავ ნიადაგზე ბროწეულის ბაღის ქვეშ კარგ შედეგს იძლევა სრული მინერალური სასუქის გამოყენება — N120P120 K120 დოზით (მოქმედი ნივთიერება).

**ბროწეული აღმოსავლეთ საქართველოში უნდა გაშენდეს ზღვის დონიდან 500 მ სიმაღლემდე — ქვემო ქართლისა და კახეთის რაიონებში, ხოლო დასავლეთ საქართველოში 300-400 მეტრამდე — იმერეთის, აჭარა-გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის რაიონებში.**

აღმოსავლეთ საქართველოში რეკომენდაცია ეძლევა შემდეგ ჯიშებსა და ფორმებს: **ფიროსმანი, შირვანი, აფშერონის წითელი, ვეძისური, ქართული №1, თენგო, იალია, ფორმა №8, ბურაჩნი, გიულნარი, სულუ-ნარი, ზაქათალას წითელი, ფრანცისი;**

დასავლეთ საქართველოში: **იმერეთის საუკეთესო, მაღლაკი, ზუგდიდი, ხორშა, ბუკისციხე, ერკეთი, ფორმები №5, №11, №63, №70,** რომელთა მოსავალი 161-224 ც/ჰა.

**ფიროსმანი, ბურაჩნი, სულუ-ნარი, ზაქათალას წითელი, ფრანცისი, ვეძისური, ქართული №1, თენგო, იალია, იმერეთის საუკეთესო, მაღლაკი, ფორმა №11 და №70** — მომჟავო-მოტკბო, უნივერსალური დანიშნულების ჯიშები და ფორმებია. ისინი გამოყენებული უნდა იქნას, როგორც ნედლი ხილის სახით, ასევე წვენების დასამზადებლად. **შირვანი, ფორმა №8, №63 და ბუკნარი,** როგორც ტკბილი ჯიშები და ფორმები, გამოიყენება სადესერტო ხილის სახით, ხოლო **გიულ-ნარი, მაღლაკი, ერკეთი, ბუკისციხე და ფორმა №1,** როგორც მჟავე ჯიშები და ფორმები, მოიხმარება კერძების საკმაზად, საწებლების დასამზადებლად, ლიმონმჟავის მისაღებად და სხვ.

ჯიშები და ფორმები: **ფიროსმანი, შირვანი, აფშერონის წითელი, ვეძისური, ქართული №1, თენგო, იალია, ფორმა №70, ბურაჩნი, სულუ-ნარი, ზაქათალას წითელი, ბურაჩნი, იმერეთის საუკეთესო** — საშუალოდ მოზარდი ჯიშებია და უნდა გაშენდეს ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით 5X3; 4X2,5 მეტრზე, ხოლო **ფრანცისი და გიულ-ნარი** 4X2; 3X2 მეტრზე.

ბაღები შენდება ერთშტამბიანი ნერგებით. მცენარეებს მიეცემა დაბალტანიანი ხის ფორმა. შტამბის სიმაღლე იქნება 50-70 სმ-ია; ნიადაგი ყოველთვის უნდა იყოს ფხვიერ მდგომარეობაში, ორგანული და მინერალური სასუქებით განოყიერებული.



## მავნებელ-დაავადებები

სხვა მრავალწლოვანი კულტურებისგან განსხვავებით, ბროწეულს წამლობა ნაკლებად სჭირდება. ბროწეულს ძირითადად აზიანებს ნაყოფჭამია, ბუგრი, ტკიპა. ავადდება ფომოფსისით (ტოტების კიბო).

**ღონისძიებები:** გამხმარი ტოტებისა და მკვდარი ფესვების მოცილება და დაწვა. Gგაზაფხულზე 1%-იანი ბორდოს სითხის, შემოდგომაზე 5%-იანი სპილენძის აჯასპის შესხურება.

## მოსავალი

ბროწეული პირველ მოსავალს მესამე წელს იძლევა, მაგრამ სრულ პოტენციალს მეხუთე-მეექვსე წლიდან ავლენს. ბროწეულის ხე 15-20 წლის განმავლობაში კარგად ისხამს, შემდეგ კი შეიძლება მისი განახლება როგორც ახალი ნარგავით, ასევე ძველი ნარგავის ტოტების გადაჭრით. კარგი მოვლისას და შესაბამისი ჯიშის პირობებში ერთი ხის მოსავალი 50-60 კგ-ს აღწევს.

## შენახვა

დაუზიანებელი, საღი ბროწეული, ჩვეულებრივ, ერთ თვეს ინახება, მაცივარში კი შვიდ თვესაც ძლებს. სპეციალისტების რეკომენდაციით, უკეთესი შედეგისათვის უპრიანია, ბროწეული სათითაოდ შეახვიონ ქაღალდში და დაბალტენიან მაცივარში შეინახონ 00-50 C ტემპერატურაზე 80-85%-იან ტენიანობით.

**იუზა ვასაძე,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
**ნადეჟდა მიროტაძე,**
**ლალი გოგინავა,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორები,
**ნატრული მიქაძე,**
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

# საჩუქარი მადლიერების ნიშნად



**„ჯერ კიდევ თბილისის სამხატვრო აკადემიის მისაღებ გამოცდაზე მიიპყრო ჩვენი ყურადღება, როგორც უაღრესად ნიჭიერმა და განსხვავებული ხედვის ახალგაზრდამ. ჩვენ თვალწინ ყალიბდებოდა წარსულის კულტურული მემკვიდრეობის სამაგალითო წარმომადგენელი, შემდგომში კი უახლესი დინამიკით წარმოჩნდა და განვითარდა ემოციურ-ესთეტიკურობით დატვირთული მისი შემოქმედებითი გზა“, — ამ სიტყვების ავტორი გამოჩენილი ქართველი მხატვარი, მოქანდაკე, საზოგადო მოღვაწე მერაბ ბერძენიშვილია, ადრესატი კი საქართველოში დაბადებული და აღზრდილი, მამით ბერძენი, დედით ქართველი, მოქანდაკე გელა კესიდი.**

ნიშანდობლივია ცნობილი იაპონელი არტკრიტიკოსისა და გალერისტის — **შუიჩი ტაკაგაკის** შეფასება: „**გელა კესიდის** დიდი ჰუმანიზმით აღსავსე ნამუშევრების მიერ შექმნილ სივრცეზე დაკვირვებისას ხელოვნების შემფასებლებისა და მაყურებელთა გულებში სიმშვიდე ისადგურებს. ამასთანავე, ნამუშევრები სამყაროსეული სილამაზისკენ მისწრაფებასაც აკმაყოფილებს, — ეს მის სისხლში არსებული ტრადიციების ნაწილი უნდა იყოს, თუმცა ნამუშევრებს რაღაც აუწერელი თავისებურებაც აქვს. თუ ვეცდებით ამ თავისებურების სიტყვებით გამოხატვას, ალბათ, უმჯობესი იქნება, თუ ამას აღმოსავლურ-დასავლური სივრცის აღქმის ერთიანობას დავარქმევთ. საგულისხმოა, რომ ბერძენ მოქანდაკე გელა კესიდიში ქართული სისხლიც ჩქეფს. ძალიან პრიმიტიულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ვიტყვით, რომ გელას შემოქმედების თავისებურება იმ ქვეყნის თავისებურებით განისაზღვრება, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის შეხვედრის ადგილას არის განლაგებული. თუმცა „თავისებურება“, რომელიც მე შევიგრძენი საქართველოში მოგზაურობისას, და გელას ნამუშევრებიდან გამოჟონილი „თავისებურება“ ჩემს გულში ერთმანეთს ემთხვევა. ადამიანის მადიდებელი ჰიმნი, რომელიც მის ნამუშევრებში შეიგრძნობა, რომელიც მოგვითხრობს სიხარულსა და მწუხარებაზე, ჟღერს მშვიდად და ძლევამოსილად“.



თბილისის სამხატვრო აკადემიაში ცნობილი ხელოვანის — **გიორგი ოჩიაურის** მიერ ხელდასხმული გელა კესიდი, უკვე კარგა ხნის სახელმოხვეჭილი, საერთაშორისო აღიარების მქონე შემოქმედია. მისი ქანდაკებები ამშვენებენ მსოფლიოს არაერთ ქალაქს (ათენი, პარიზი, რომი, ლონდონი, პეკინი და ა. შ.) და გალერეას. გელა კესიდი, 25 წელიწადია, რაც ისტორიულ სამშობლოში, საბერძნეთში, ცხოვრობს და მოღვაწეობს, თუმცა, ცხადია, საქართველოსთან არც პიროვნული და არც შემოქმედებითი კავშირი არ გაუწყვეტია, პირიქით, მის მოღვაწეობაში პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული ქართული ხელოვნების საზღვარგარეთ პოპულარიზაციას, ქართულ-ბერძნული ურთიერთობების განვითარებას, რაზეც მისი საქმენი მეტყველებენ.

ამჯერად გელა კესიდიმ სხვა რაკურსით წარმოაჩინა საკუთარი დამოკიდებულება საქართველოსადმი — თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული მადლიერების ნიშნად საჩუქრად გადასცემს თბილისს თავის ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებას.

შემოდგომაზე კი ეროვნულ გალერეაში გაიმართება მოქანდაკის პერსონალური გამოფენა, გამოიცემა მისი ნამუშევრების ალბომი-კატალოგი. ყოველივე ეს ხორციელდება ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“-ის (პრეზიდენტი **ვალერი ასათიანი**) და საქართველოს კულტურის ფონდის (თავმჯდომარე **თამაზ შილაკაძე**) მიერ, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების, საზოგადოებრიობის თანადგომით.

**ზურაბ ოიკაშვილი**

# ფოიერვერკის გამოყენება მხოლოდ თვითმმართველობის ნებართვით დღესასწაულებსა და ოფიციალურ სახელმწიფო ღონისძიებებზე იქნება დაშვებული



**ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისთვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ე.წ. პიროტექნიკის გამოყენებით გამოწვეულ ხმაურზეც გავრცელდება.**

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები, რომლებიც დღისა და ღამის საათებში საცხოვრებელ სახლებსა და საზოგადოებრივ/საჯარო შენობებში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას ითვალისწინებს, დაჯარიმებას პიროტექნიკური ნაკეთობების მიერ გამოცემულ ხმაურზეც გამოიწვევს.

პიროტექნიკის გამოყებით გამოწვეულ ხმაურთან დაკავშირებული პუნქტი პროექტს განხილვის პროცესში დაემატა. „ეს არის პრობლემა, რომელიც საკმაოდ აქტუალურია. გაჩნდა ორგანიზაციები, რომლებიც მოქალაქეებს ამ სერვისს სთავაზობენ და ადამიანები, მაგალითად, საზურთალოზე, საკუთარ პარტნიორებსა და მეგობრებს ფოიერვერკებს უწყობენ. კანონით კონკრეტდება, რა შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მათი გამოყენება — მხოლოდ თვითმმართველობის ნებართვით დღესასწაულებსა და ოფიციალურ სახელმწიფო ღონისძიებებზე“, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა და ინიციატორმა, პარლამენტის წევრმა **ლევან გოგიჩაიშვილმა.**

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების პროექტი დღეს პირველი მოსმენით იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა განიხილა და მხარი დაუჭირა. პროექტის ავტორები არიან პარლამენტის წევრები: ეკა ბესელია, ლევან გოგიჩაიშვილი, ბექა ოდიშარია, გედევან ფოფხაძე, აკაკი ზოიძე, ირაკლი ბერაია, სალომე ზურაბიშვილი.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები პირველ ჯერზე ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისათვის ითვალისწინებს ფიზიკური და იურიდიული პირის გაფრთხილებას. სამართალდარღვევის ჩადენიდან ერთი წლის განმავლობაში სამართალდარღვევის მეორედ ჩადენა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისას — 500 ლარის ოდენობით.

ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებასთან დაკავშირებული სამართალდარღვევის მესამედ და მეტჯერ ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას ფიზიკური პირის — 300 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისას — 1000 ლარის ოდენობით.

პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას დღის (07.00-23.00 საათამდე) და ღამის საათებში (23.00-07.00 საათამდე) ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისათვის.

ასევე, კანონპროექტის გათვალისწინებით, 2018 წლის 1 აპრილამდე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენენ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეს განიხილავენ შინაგან საქმეთა ორგანოები — საპატრულო პოლიცია, რომელიც განხორციელებულ სამართალდარღვევებზე შესაბამისი ხმაურმზომი ხელსაწყოებით უზრუნველყოფს პირის მიმართ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

2018 წლის 1 აპრილიდან ეს ფუნქცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გადაეცემა.

# საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს ახალი დირექტორი ჰყავს



**შინაგან საქმეთა მინისტრმა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან საგანგებო თათბირი ჩაატარა და მათ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ახალი დირექტორი წარუდგინა.**

შსს-ს ინფორმაციით, გიორგი მღებრიშვილმა შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე **ალექსანდრე ხვადაგიანი** დანიშნა. შს მინისტრმა მასთან ერთად საპატრულო პოლიციის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილა, დავალებები მისცა და წარმატებები უსურვა.

„საპატრულო პოლიციაში არსებითი რეფორმა იწყება. ეს ნიშნავს იმას, რომ, საკადრო ცვლილებებთან ერთად, რიგი კომპლექსური ღონისძიებები განხორციელდება, რაც საპატრულო პოლიციისთვის ახალი იმპულსი იქნება. ეს ღონისძიებები მოიცავს, ასევე, გადამზადების მასშტაბურ პროგრამას, ახალი სახეების, ახალგაზრდების მოზიდვას და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვას“, — განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნამდე ალექსანდრე ხვადაგიანი ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის პოსტს იკავებდა. ხვადაგიანის დანიშვნამდე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს გოგა რაზმაძე ხელმძღვანელობდა.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894